შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2016) განათლების ნაწილის შეფასება

კოალიცია **„განათლება ყველასათვის - საქართველო“** 2013 წლის შემოდგომაზე ჩამოყალიბდა. კოალიციაში გაწევრიანებულია განათლების სფეროში მოღვაწე ცამეტი, სხვადსხვა თემატური პროფილის მქონე, ადგილობრივი და საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომლებიც იზიარებენ განათლება ყველასათვის მსოფლიო დეკლარაციის პრინციპებს. კოალიცია ადვოკატირებას უწევს განათლება ყველასათვის მიზნების განხორციელებას საქართველოში. ორგანიზაციის მიზანია ხელი შეუწყოს ზოგადი განათლების ხარისხის გაუმჯობესებას და ხარისხიან განათლებაზე თანაბარ წვდომას ჩვენს ქვეყანაში.

კოალიცია სამოქალაქო საზოგადოების საერთაშორისო მოძრაობის **გლობალური კამპანია განათლებისთვის** წევრია. საერთაშორისო კოალიციის მისიაა ზეგავლენა მოახდინოს მთავრობებზე, რათა მათ უზრუნველყონ თითოეულის უფლების რეალიზება მიიღოს ხარისხიანი განათლება. მოძრაობა მოქმედებს იუნესკოს ეგიდით, **განათლება ყველასათვის დეკლარაციის** ფარგლებში (www.campaignforeducation.org). კოალიცია განათლება ყველასათვის - საქართველო საქმიანობას ახორციელებს **სამოქალაქო საზოგადოების განათლების ფონდის** ფინანსური მხარდაჭერით.

2015 წლის გაზაფხულიდან კოალიციამ წამოიწყო კამპანია **„აირჩიე განათლება“**, რომელიც მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს სახელმწიფოს მხრიდან განათლების აღიარებას ქვეყნის განვითარების პრიორიტეტულ დარგად, აღიარებული პრიორიტეტის შესაბამისი დაფინანსების გამოყოფას და განათლების განვითარების გრძელვადიანი ხედვის ჩამოყალიბებას.

მისამართი: თბილისი, ოთარ ჩხეიძის #5.

ტელეფონი: (+995 32) 220-67-74, (+995 32) 220-67-75

ვებგვერდი: www.efageorgia.ge

ბროშურა გამოიცა კამპანია **„აირჩიე განათლების“** ფარგლებში, განათლების სპეციალისტ რუსუდან ჭანტურიასტან თანამშრომლობით კოალიციის **„განათლება ყველასათვის - საქართველო“** მიერ სამოქალაქო საზოგადოების განათლების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

სარჩევი

შესავალი 1

მეთოდოლოგია 3

- კვლევის ეტაპები 3
- შერჩევა და მიზნობრივი ჯგუფები 4

შეფასების ძირითადი შედეგები 7

- გეგმის დიზაინი, რელევანტურობა და მონაწილეობითობა 7
- ინკლუზიური განათლების სამართლებრივი ჩარჩო 9
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა და სტუდენტთა განათლების მართვის რეგულაციების შემუშავება 17
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა და სტუდენტთა განათლების დაფინანსების ადეკვატური სისტემის დანერგვა 20
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა უწყვეტი და ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების საფეხურებზე 24
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების მონიტორინგის მექანიზმის შემუშავება 43

დასკვნები 65

რეკომენდაციები 71

გამოყენებული ლიტერატურა: 75

დანართი 79

შესავალი

საქართველოში კანონმდებლობით ყველა ადამიანის თანასწორუფლებიანობაა გათვალისწინებული. 1994 წელს საქართველო მიუერთდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ასამბლეის მიერ მიღებულ ბავშვის უფლებათა კონვენციას, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ბავშვის უფლების დაცვას, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის უფლებასაც - ცხოვრობდეს სრულფასოვანი და ღირსეული ცხოვრებით იმგვარ პირობებში, სადაც უზრუნველყოფილი იქნება მისი ღირსების დაცვა, მასში თვითრწმენის ამაღლება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი აქტიური მონაწილეობა.

ინკლუზიური განათლების დანერგვა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაციისა და სოციალიზაციისათვის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიაა. უკვე 10 წელია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის პრიორიტეტული გახდა ინკლუზიური პროცესის განვითარება, რაც გულისხმობს სახელმწიფოებრივი მიდგომის დანერგვას ამ პროცესის მიმართ, ინკლუზიური განათლების გამოყვანას ლოკალური ჩარჩოებიდან და მისთვის მასშტაბური ხასიათის მიცემას.

2006 წლიდან განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ინკლუზიური განათლების დანერგვა დაიწყო ზოგადი განათლების საფეხურზე. ამის შედეგად საქართველოს მასშტაბით ინკლუზიურ განათლებაში 216 სკოლაა ჩართული, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა რაოდენობა კი 3,439-ია (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2015). 2013 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ განათლებაში ჩართვის პროგრამაც დაიწყო. ამ ეტაპზე პროფესიულ განათლების საფეხურზე (პროფესიულ სასწავლებლებში) 246 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირია ჩართული.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში 2014 წელს მოხდა გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის (CRPD) რატიფიცირება. 2014 წელს საქართველოს მთავრობის განკარგულებით დამტკიცდა 2014-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფისათვის“[1], რაც სხვა მიმართულებებთან ერთად, საქართველოს კანონ-

1 საქართველოს მთავრობის №76 განკარგულება, 20 იანვარი, 2014.

მდებლობის CRPD კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანასაც ითვალისწინებს, მათ შორის განათლების მიმართულებით.

წინამდებარე შეფასების დოკუმენტი მიზნად ისახავს იმ პოლიტიკის შეფასებას, რომელსაც სახელმწიფო ინკლუზიური განათლების მიმართულებით ატარებს. შეფასების დოკუმენტში განხილულია „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის“ განათლების ნაწილის (სამოქმედო გეგმის VI ნაწილი) შესრულების შეფასება ინკლუზიური განათლების განვითარების ოთხი პრიორიტეტული მიმართულებით: 1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების სამართლებრივი ჩარჩოს განსაზღვრა; 2. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა და სტუდენთა განათლების დაფინანსების ადეკვატური მექანიზმის დანერგვა; 3. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა უწყვეტი და ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების საფეხურებზე; 4. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების მონიტორინგის მექანიზმის შემუშავება.

შეფასებაში წარმოჩენილი და გაანალიზებულია ინკლუზიური განათლების განვითარების პროცესში განხორციელებული პროგრამებისა და ინტერვენციების რელევანტურობა, ეფექტურობა და გავლენა, ინკლუზიური განათლების დანერგვისა და განხორციელების პროცესის თანმიმდევრულობა, ასევე ის პოზიტიური და ნეგატიური ტენდენციები, რომლებიც სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში იკვეთება ან ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება.

შეფასების მთავარი კითხვები

შეფასება მიზნად ისახავს, პასუხი გასცეს შემდეგ კითხვებს:

1. რამდენად მონაწილეობითი და თანამშრომლობითი იყო სამოქმედო გეგმის გაწერის პროცესი?
2. რამდენად რელევანტურია სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული და განხორციელებული აქტივობები?
3. რამდენად ეფექტურად სრულდება სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები?

მეთოდოლოგია

კვლევის ეტაპები

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის“ განათლების ნაწილის შეფასების დოკუმენტზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა კვლევის ისეთი მეთოდები, როგორიცაა სამაგიდო კვლევა და ემპირიული – ფოკუსჯგუფები და ჩაღრმავებული (ნახევრადსტრუქტურირებული) ინტერვიუები.

შეფასება ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველოს, პროექტის „ინკლუზიური განათლების განვითარება საქართველოს პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში“ და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებულ პროგრამულ ანგარიშებს, ასევე სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მომზადებულ შეფასებებსა და კვლევებს და ფოკუსჯგუფებიდან და ინტერვიუებიდან მიღებულ მონაცემთა ანალიზს.

შეფასებისთვის მონაცემები შეგროვდა 2015 წლის 10 სექტემბრიდან 15 ოქტომბრის ჩათვლით. შეფასების პირველ ეტაპზე ჩატარდა სამოქმედო გეგმის შეფასებისთვის შესაბამისი დოკუმენტაციის/ანგარიშებისა და სამართლებრივი ბაზის მოძიება (მათ შორის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან ინკლუზიური განათლების მიმართულებით პროგრამული ანგარიშების გამოთხოვა) და სამაგიდო კვლევა. სამაგიდო კვლევის პროცესში მოპოვებულმა მასალამ ემპირიული მონაცემების განზოგადების შესაძლებლობა მოგვცა.

შეფასების მეორე ეტაპზე გაიწერა ჩაღრმავებული ინტერვიუს პროტოკოლი/სადისკუსიო გეგმა და ჩატარდა 22 ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუ (KIIs) 4 სხვადასხვა ჯგუფთან: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამშრომლებთან, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თანამშრომლებთან, ინკლუზიური განათლების ექსპერტებთან და არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მუშაობენ (იხ. დანართი 1: ჩაღრმავებული ინტერვიუს რესპონდენტების სია). ინფორმირებული თანხმობის მოსაპოვებლად და ინტერვიუს დასაგეგმად ყველა რესპონდენტს წინასწარ მიეწოდა ინფორმაცია შეფასების მიზნის შესახებ. რესპონდენტების თანხმობით გაკეთდა ინტერვიუების

აუდიოჩანაწერი. ნახევრადსტრუქტურირებულმა ინტერვიუებმა მოგვცა საშუალება, ერთი მხრივ, მივყოლოდით წინასწარ შემუშავებულ პროტოკოლს და მეორე მხრივ, რესპონდენტებისთვის მიგვეცა შესაძლებლობა, ელაპარაკათ საკითხებზე, რომლებსაც პრობლემურად და მნიშვნელოვნად მიიჩნევდნენ.

შეფასების მესამე ეტაპზე განისაზღვრა ფოკუსჯგუფები, გაიწერა ფოკუსჯგუფის სადისკუსიო გეგმა (FGD Guide); ჩატარდა ფოკუსჯგუფები 3 სხვადასხვა ჯგუფთან: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მშობლებთან, ინკლუზიური განათლების სპეციალისტებთან (სკოლებისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტები) და ზოგადი განათლების (სხვადასხვა საგნის) პედაგოგებთან. მშობლებთან ფოკუსჯგუფი ჩატარდა მოძრაობა „ხელმისაწვდომი გარემო ყველასათვის“ ოფისში, ხოლო მასწავლებლებისა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტების ჯგუფთან - კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრში (CTC). ფოკუსჯგუფის შეხვედრები დაახლოებით საათ-ნახევარს გრძელდებოდა. შეხვედრას ფასილიტაციას უწევდა მკვლევარი, მართავდა ჯგუფური ინტერვიუს პროცესს, სვამდა კითხვებს და აფიქსირებდა პასუხებს (ჩანაწერის გაკეთებით). შეფასების მესამე ეტაპზე დამუშავდა და გაანალიზდა მონაცემები (კოდირებისა და კონტენტანალიზის გამოყენებით), ასევე დაიწერა შეფასების დოკუმენტის საბოლოო ვერსია.

შერჩევა და მიზნობრივი ჯგუფები

შეფასებაში მონაწილეობა მიიღო 51-მა რესპონდენტმა. ფოკუსჯგუფების მიზნობრივ ჯგუფებად განისაზღვრა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მშობლები, ინკლუზიური განათლების სპეციალისტები (სპეციალური მასწავლებლები, სკოლის ფსიქოლოგები, ინკლუზიური განათლების კოორდინატორები) და საგნის მასწავლებლები. შეფასების მიზნებიდან გამომდინარე, 29 რესპონდენტი 3 ფოკუსჯგუფისათვის შეირჩა საფეხურებრივი კლასტერული შერჩევის საფუძველზე თბილისის საჯარო და კერძო სკოლებიდან, ასევე იმ პროფესიული სასწავლებლებიდან, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ინკლუზიური განათლების დანერგვის პილოტირების პროცესში პროფესიული განათლების საფეხურზე.

„განათლება ყველასათვის საქართველოს“ ოფისთან და კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრთან შეთანხმებით ჩაღრმავებული პირისპირ ინტერვიუებისთვის განისაზღვრა 4 სხვადასხვა ჯგუფი: 1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლები; 2. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თანამშრომლები; 3. ინკლუზიური განათლების ექსპერტები; 4. არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

პირების ან მათი მშობლების მიერ დაფუძნებული ორგანიზაცები (DPOs). ინ-ტერვიუებისათვის რესპონდენტების შეირჩა „ხელსაყრელი“ შერჩევის გზით (convenience sampling).

შეფასების ძირითადი შედეგები

გეგმის დიზაინი, რელევანტურობა და მონაწილეობითობა

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის“ განათლების ნაწილი ძირითადად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველომ შეიმუშავა. ფინანსური და მეთოდოლოგიური მხარდაჭერის კუთხით, სტრატეგიის მომზადების ფაზაში განსაკუთრებული კონტრიბუცია შეიტანა პროექტმა ,,ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს 9 რეგიონის საჯარო სკოლებში.“ როგორც სამინისტროში აცხადებენ, სამოქმედო გეგმის გაწერა მონაწილეობითი და თანამშრომლობითი იყო.

შეფასების შედეგად დადგინდა, რომ რესპონდენტების უმრავლესობა იცნობს ან სმენია სამოქმედო გეგმის შესახებ. კითხვაზე: „გსმენიათ ან იცნობთ თუ არა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის განათლების ნაწილს?“ რესპონდენტების 80% პასუხობს, რომ სმენია და/ან აქვს გარკვეული ინფორმაცია გეგმის შესახებ. დაინტერესებული მხარეების მონაწილეობითობას ადასტურებს შეფასების რესპონდენტების დაახლოებით 70%. მონაწილეობითობაზე ისიც მიუთითებს, რომ შეფასებაში ჩართული რესპონდენტების უმრავლესობისათვის ინკლუზიურ განათლებაში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციის მთავარი წყარო განათლების სამინისტროს მიერ ორგანიზებული სამუშაო შეხვედრები და სამინისტროსთან ოფიციალური კომუნიკაციაა (მათ შორის ელ.ფოსტით მიღებული ინფორმაცია). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტების აზრით, სამოქმედო გეგმის გაწერის პროცესში რეგიონებისა და მშობლების ჯგუფების ჩართულობა საკმარისი არ იყო.

განათლების სამინისტროში აღნიშნავენ, რომ სამოქმედო გეგმის გაწერას წინ უძღოდა ინკლუზიური განათლების წინა (2010) სამოქმედო გეგმის შეფასების ანალიზი და ფოკუსჯგუფები მშობლებთან, მასწავლებლებთან, სკოლის დირექტორებთან. სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიის მომზადების შემდეგ, ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მუდმივი გაზიარება და განხილვები არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან. მთავრობის დადგენილებით აღნიშნული სა-

კითხის კოორდინირება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინიტროს დაევალა და სპეციალური სამდივნოც შეიქმნა. ამ ინფორმაციას ნაწილობრივ ადასტურებენ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები, მასწავლებლები და მშობლები. სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ გეგმის გაწერისას მათი შენიშვნები არ იქნა სათანადოდ გათვალისწინებული და მონაწილეობითობას ხშირად ფორმალური ხასიათი ჰქონდა. რესპონდენტების უმრავლესობა მიუთითებს იმაზეც, რომ გეგმის გაწერისას სათანადოდ არ იყო უზრუნველყოფილი უწყებათაშორისი (ქროს-სექტორული) თანამშრომლობა და კოორდინირება.

სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების აზრით, გეგმის დიზაინის დროს ძირითადი პრობლემა ის იყო, რომ გეგმაში მითითებული აქტივობები სიტუაციურ ანალიზს არ ეყრდნობოდა. ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად, რესპონდენტების აზრით, რჩება სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ინსტრუმენტის არარსებობა. როგორც დაინტერესებული მხარეები აღნიშნავენ, გეგმის დიზაინის დროს არ იქნა მითითებული გაზომვადი ინდიკატორები და გეგმის მონიტორინგისა და შეფასების გეგმა, რაც საბოლოო ჯამში ხელს უშლის სამოქმედო გეგმით განხორციელებული აქტივობების პროგრესისა და მიღწეული შედეგების შეფასებას.

როგორც შეფასებისას დადგინდა, ინკლუზიური განათლების მიმართულებით იდეების ინიცირება უმრავლეს შემთხვევაში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქვედა რგოლის (ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველო) მიერ ხდება. ექსპერტები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები აღნიშნავენ იმასაც, რომ ის ძალისხმევა, რომელიც ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფისკენ არის მიმართული, დიდწილად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქვედა რგოლის დამსახურებაა. რესპონდენტების ნაწილი აღნიშნავს, რომ ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველო ყოველთვის ღიაა და მზად არის, მოისმინოს დაინტერესებული მხარეების მოსაზრებები. თუმცა კონკრეტული ცვლილების აუცილებლობის გაზიარების შემდეგ, ბიუროკრატიული მექანიზმისა და ზედა რგოლის არასაკმარისი მხარდაჭერის გამო, პროცესები ფერხდება. „ნებისმიერი ინიციატივა, რომელიც მხარდაჭერილია დაბალი რგოლის მიერ, ყოველთვის არ არის მხარდაჭერილი ზედა რგოლის მიერ“, აღნიშნავს ჯაბა ნაჭყებია, გაეროს ბავშვთა ფონდის ბავშვთა დაცვისა და სოციალური კეთილდღეობის სპეციალისტი. ამ აზრს რესპონდენტების უმრავლესობა იზიარებს.

კითხვაზე: „ბოლო 2 წლის განმავლობაში გაიზარდა თუ არა პოლიტიკური ნება გადაწყვეტილების მიმღებების მხრიდან ინკლუზიური განათლების პროცესების დაჩქარების კუთხით“ რესპონდენტების დაახლოებით 60% აღნიშნავს, რომ „არა“ და თუ ხდება, მხოლოდ დეკლარირებისა და აღიარების დონეზე.

მიუთითებენ, რომ ის, რაც ინკლუზიურ განათლებაში ხდება, ძირითადად ქვედა რგოლისა და სამოქალაქო სექტორის, საერთაშორისო ორგანიზაციების, განსაკუთრებით მშობელთა ჯგუფების ადვოკატირებისა და ძალისხმევის შედეგია.

რესპონდენტთა 40% ფიქრობს, რომ ინკლუზიური განათლების დანერგვის მიმართულებით პოლიტიკური ნება გაიზარდა და ამის დასადასტურებლად ასახელებენ კონვენციის რატიფიცირებას, სპეციალური მასწავლებლების შეყვანას სკოლებში, სახელმწიფოს მხრიდან ინკლუზიურ განათლებაზე გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ზრდას და პროფესიული განათლების საფეხურზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების ჩართულობის გაზრდას.

მთლიანობაში, რესპონდენტების 75% ამბობს, რომ ის მიმართულებები და აქტივობები, რომლებიც სამოქმედო გეგმაშია მითითებული, რელევანტური და საკმაოდ ოპტიმალურია იმ დროისთვის, რაზეც არის გაწერილი. გამოკითხულთა 25% ამ მოსაზრებას არ ეთანხმება და თვლის, რომ სამოქმედო გეგმა მინიმალურია და არ ეხმიანება იმ გამოწვევებს, რომლებიც ინკლუზიური განათლების მიმართულებით არსებობს.

ინკლუზიური განათლების სამართლებრივი ჩარჩო

საქართველოში ყველა ადამიანის თანასწორუფლებიანობის დაცვა კანონმდებლობითაა უზრუნველყოფილი. ასევე დაცულია განათლების მიღების უფლება ყველასთვის, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის.

საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის თანახმად, ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება (პუნქტი 1). ეს კი გულისხმობს ყველა ადამიანის თანასწორობას ამ უფლებით სარგებლობისას. 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „სკოლამდელ აღზრდას სახელმწიფო უზრუნველყოფს კანონით დადგენილი წესით. დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა. ზოგად განათლებას კანონით დადგენილი წესით სრულად აფინანსებს სახელმწიფო. მოქალაქეებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით, სახელმწიფოს დაფინანსებით მიიღონ პროფესიული და უმაღლესი განათლება“.

უკვე ათეული წლებია, საქართველო მიუერთდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ასამბლეის მიერ მიღებულ ბავშვის უფლებათა კონვენციას (1990), რომელიც უზრუნველყოფს ყველა ბავშვის უფლების დაცვას, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის უფლებასაც - ცხოვრობდეს სრულფასოვანი და ღირსეული ცხოვრებით, იმგვარ პირობებში, სადაც უზრუნველყოფილი იქნება მისი ღირსების დაცვა, მასში თვითრწმენის განვითარება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი აქტიური მონაწილეობა.

2013 წელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის, მათ შორის ინკლუზიური განათლების საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესების კუთხით გარდამტეხი წელი იყო. 2013 წლის 23 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ (CRPD) რატიფიცირების შესახებ. რატიფიცირება 2014 წლის 13 მარტს შევიდა ძალაში, ხოლო 2014 წლის 12 აპრილიდან კონვენცია ამოქმედდა. ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ მიზანია, ხელი შეუწყოს, დაიცვას და უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა რეალიზება, მათი თანდაყოლილი პიროვნული ღირსების პატივისცემა (CRPD, გვ. 6). კონვენციის 24-ე მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებას განათლებაზე. ამ უფლების რეალიზებისათვის მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ინკლუზიური განათლების სისტემის დანერგვასა და მთელი ცხოვრების მანძილზე განათლების მიღების ხელმისაწვდომობას (CRPD, გვ. 12).

გარდა ზემოაღნიშნული სამართლებრივი დოკუმენტებისა, საქართველოში ინკლუზიური განათლება რეგულირდება სამი ძირითადი კანონით - „საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ“, „საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ“ და „საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ“.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი აღიარებს ზოგადი განათლების თანაბრად ხელმისაწვდომობას ყველასთვის და ავალდებულებს სკოლას, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს ხარისხიანი განათლება შესთავაზოს. ამ კანონის მე-2 მუხლის „უ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინკლუზიური განათლება განმარტებულია, როგორც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ჩართვა ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში თანატოლებთან ერთად. ამავე კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოში ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია ინკლუზიური განათლების დანერგვა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია შექმნას პირობები ინკლუზიური განათლებისათვის.

ზოგადი განათლების დონეზე ინკლუზიური განათლება ასევე რეგულირდება ეროვნული სასწავლო გეგმის მე-5 თავით – „ინკლუზიური განათლება“. ეროვნული სასწავლო გეგმა განმარტავს, ვინ შეიძლება იყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, რას ნიშნავს ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირება და სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია,

როგორ უნდა გაიწეროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ეროვნული სასწავლო გეგმის 28-ე მუხლის თანახმად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის შექმნილი, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული სასწავლო გეგმა, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია. ეროვნული სასწავლო გეგმის 29-ე მუხლი განსაზღვრავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების, დასწრებისა და გაცდენების საკითხს და ასევე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შინ დასწრებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

რაც შეეხება საქართველოს კანონებს პროფესიული განათლების შესახებ და უმაღლესი განათლების შესახებ, მათში ჯერჯერობით არ არის გათვალისწინებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის განათლების ხელმისაწვდომობისა და უზრუნველყოფის საკითხი.

> მთლიანობაში, ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ჩარჩო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისა და სტუდენტების ინკლუზიური განათლების უზრუნველსაყოფად გასაუმჯობესებელია, ვინაიდან იგი არ ქმნის ბავშვისა და სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ მოქნილ სისტემას. აუცილებელია, განათლების შესახებ ყველა კანონში თანაბრად იქნეს ინკლუზიურობის საკითხი ასახული. გარდა ამისა, საჭიროა კანონქვემდებარე აქტების შემუშავება, რომელიც კონტრეტული 'ქეისების' მართვის ეფექტურობას გააძლიერებს.

მთლიანობაში თუ შევხედავთ, ორგანული კანონების დონეზე ინკლუზიური განათლების საკითხი მეტ-ნაკლებად ასახულია ზოგადი განათლების ნაწილში, რასაც ვერ ვიტყვით სკოლამდელ, პროფესიულ და უმაღლესი განათლების საფეხურებზე.

გარდა განათლების სფეროში მოქმედი ორგანული კანონების გადახედვისა, ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება განათლების ყველა საფეხურზე მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავება. როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები, ისე ექსპერტები და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ აუცილებელია ინკლუზიური განათლების დანერგვის პროცესის გამარტივება და მისი რეგულირების დაჩქარება სხვადასხვა, მათ შორის კანონქვემდებარე აქტებით განათლების ყველა საფეხურზე.

მაგალითად, ზოგადი განათლების კანონში არსებული ზემოაღნიშნული

განსაზღვრებები არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ დარეგულირდეს ინკლუზიური განათლების პროცესი, მათ შორის ისეთ საკითხებთან მიმართებით, როგორიცაა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მიღების, რეგისტრაციის, ჩარიცხვის წესი და პროცედურები, სკოლის ადმინისტრაციის ვალდებულებები, მასწავლებლის, სპეციალური მასწავლებისა და მშობლის როლი, სწავლის შედეგების შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი. ეს ყველაფერი კი თავისთავად სისტემის მოუქნელობას და პროცესის შეფერხებას იწვევს. კანონქვემდებარე აქტების არარსებობა შეიძლება ბავშვის უფლებების დარღვევისა და მათი დისკრიმინაციის საფუძველი გახდეს.

სამართლებრივი ბაზის მოწესრიგებისა და დახვეწის მიზნით სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი ნაწილი სწორედ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების სამართლებრივი ჩარჩოს განსაზღვრას ითვალისწინებს.

- განისაზღვრა თუ არა 2014-2015 წლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების სამართლებრივი ჩარჩო?
- რა გამოწვევები რჩება ინკლუზიურ განათლებაში სამართლებრივი ჩარჩოს გაუმჯობესების კუთხით?

საქართველოს არ აქვს მოწესრიგებული სამართლებრივი ჩარჩო ადრეული და სკოლამდელი განათლების დონეზე ისე, რომ განათლების ამ საფეხურზე უზრუნველყოფილ იქნეს ინკლუზიურ განათლებაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების ჩართულობა. არსებული საკანონმდებლო ბაზის მოსაწესრიგებლად საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და სხვა სახელმწიფო უწყებებთან, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან ერთად, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით, მუშაობს ***„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე.*** აღნიშნული კანონპროექტი ჯერჯერობით ინიცირებული არ არის და მისი პირველადი განხილვა 2015 წლის ოქტომბერში იგეგმება.

კანონპროექტის არსებულ ვერსიაში (2015 წლის 22 ოქტომბრის მდგომარეობით) ნაწილობრივ არის ინტეგრირებული ინკლუზიური განათლების საკითხები. დოკუმენტი ადრეულ განათლებას განმარტავს, როგორც დაბადებიდან 2 წლამდე ასაკის ბავშვებისა და მათი მშობლებისთვის მიწოდებულ მომსახურებას, რომელიც სხვა სერვისებთან ერთად ინკლუზიური განათლების მიწოდებასაც მოიცავს. სამუშაო ვერსიის თანახმად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კომპეტენციაში შედის საგან-

მანათლებლო და მეთოდოლოგიური რესურსების მომზადება ინკლუზიური განათლების პრინციპების გათვალისწინებით და ამ რესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტებისთვის. ამავე დოკუმენტის მე-10 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის კომპეტენციაა თანაბრად ხელმისაწვდომი და ინკლუზიური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიწოდების უზრუნველყოფა. 23-ე მუხლის თანახმად, რომელიც ეხება ინკლუზიურ ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებას, სკოლამდელი დაწესებულება უზრუნველყოფს ინკლუზიურ განათლებას ბავშვებისთვის, მიუხედავად მათი ფიზიკური, შემეცნებითი, სენსორული, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური, გენდერული თუ სხვა მახასიათებლებისა. უნდა აღინიშნოს, რომ პრობლემურია 23-ე მუხლის მე-2 პუნქტი, სადაც ვკითხულობთ: „დაწესებულება ვალდებულია, გააგრძელოს ინკლუზიური განათლების პროგრამაში ჩართული ბავშვისთვის განათლების მიწოდება, თუკი, ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, ჯერ კიდევ არ არის მიზანშეწონილი მისი სკოლაში შესვლა, მიუხედავად შესაბამისი ასაკისა“. მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ კანონპროექტში კონკრეტული დებულებები ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებით არ არის სათანადოდ მითითებული, მათ შორის არ არის განმარტებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვი, არ არის ჩანაწერი ინკლუზიური განათლების სპეციალისტზე და ა.შ.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონით (28 ნოემბერი 2014 წ., N2822-Iს) განხორციელდა ცვლილება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის მიხედვითაც დაიხვეწა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან დაკავშირებული რეგულაციები. კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინურ გუნდს მიენიჭა უფლებამოსილება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების განსაზღვრისა და განათლების საუკეთესო ფორმის შერჩევის მიზნით, გარდა მოსწავლისა, შეაფასოს ნებისმიერი პირი, რომელსაც არ გააჩნია საგანმანათლებლო ისტორია. ამასთან, ნებისმიერ პირს, რომელსაც არ გააჩნია საგანმანათლებლო ისტორია და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეა, მიეცა შესაძლებლობა, მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე ჩაირიცხოს სკოლაში ან გააგრძელოს სწავლა ექსტერნატის ფორმით გამოცდების ჩაბარების გარეშე, ასაკის შესაბამის კლასში ან მაქსიმუმ ორი კლასის ქვემოთ (განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ანგარიში, 2015).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ტექნიკური დახმარებით, შეიმუშავა ინკლუზიური განათლების მარეგულირებელი დოკუმენტი ***„საქართველოს სკოლებში ინ-***

კლუზიური განათლების განხორციელების წესი“ (წესი შეეხება როგორც საჯარო, ისე კერძო სკოლებს). დოკუმენტი ჯერჯერობით განხილვის პროცესშია და მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული არ არის. როგორც სამინისტროს წარმომადგენლები აცხადებენ და ნაწილობრივ რესპონდენტებიც ადასტურებენ, ამ დოკუმენტის შემუშავება მონაწილეობითი იყო და მასში ჩართული იყვნენ სპეციალური მასწავლებლები, სკოლის დირექტორები, მშობლები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ეს წესი განსაზღვრავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სტატუსის მაძიებელთა სკოლაში ჩარიცხვისა და რეგისტრაციის წესს, სკოლაში ინკლუზიური განათლების განხორციელების წესსა და პირობებს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სკოლის უფლებამოსილებებსა და ვალდებულებებს, სკოლაში ინკლუზიური განათლების განხორციელებაზე მონიტორინგის წესსა და პირობებს, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის წესს.

ზემოაღნიშნულ რეგულაციაზე (სამუშაო ვერსიაზე) დაყრდნობით და მის გასამყარებლად განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) დახმარებით, მუშაობს ასევე ***„ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების პაკეტზე.*** მიმდინარეობს ზოგადი განათლების შესახებ კანონის რევიზია, რამდენად მოდის ის თანხვედრაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციასთან (24-ე მუხლთან). ცვლილებების პაკეტი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: სკოლის მიერ ინკლუზიური კულტურის დანერგვის ხელშეწყობა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის (საჭიროების შემთხვევაში) ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, ჟესტური ენისა და ბრაილის შრიფტის შემოტანა არა მხოლოდ სპეციალიზებული პროფილის, არამედ ყველა სკოლაში, სადაც ამის საჭიროებაა, სკოლის სამეურვეო საბჭოში მინიმუმ ერთი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მშობლის ჩართვა და ა.შ.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ასევე მუშაობს ***მულტიდისციპლინური გუნდის დებულების შემუშავებაზე*** (ჯერჯერობით განხილვის პროცესშია და არ არის დამტკიცებული). მულტიდისციპლინური გუნდი ერთ-ერთი უმთავრესი რგოლია ინკლუზიური განათლების დანერგვის პროცესში. ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდი წარმოადგენს სპეციალისტთა გუნდს, რომლის შემადგენლობაში შედიან: ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი და სპეციალური პედაგოგი. მულტიდისციპლინური გუნდის ფუნქციაა სკოლებისთვის საჭიროების შემთხვევაში კვალიფიციური დახმარების გაწევა ინკლუზიური განათლების განვითარების პროცესში. მულტიდისციპლინური გუნდის წევრებს აკისრიათ ისეთი მნიშვნელოვანი ფუნქციები, როგორიცაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმა-

ნათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების იდენტიფიკაცია და შეფასება, მათი ინდივიდუალური საჭიროებისა და შესაძლებლობების განსაზღვრა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მშობლებისათვის რეკომენდაციის გაწევა (უკუკავშირის გაკეთება) ბავშვის საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის, ასევე სასწავლო პროცესში ჩართული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების აკადემიური და სოციალური მიღწევების შეფასება და მონიტორინგი („მულტიდისციპლინური გუნდის ხელშეწყობის ქვეპროგრამა“, 2015).

როგორც ინკლუზიური განათლების ექსპერტები აღნიშნავენ, ეროვნული სასწავლო გეგმა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მოდიფიკაციისა და ადაპტაციის მწირ შესაძლებლობებს იძლევა. ეროვნული სასწავლო გეგმა არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ბავშვებს ყველა შემთხვევაში განუვითარონ ფუნქციური და აკადემიური უნარები. ასევე არ იძლევა განსხვავებული ტიპის სასწავლო მოწყობის საშუალებას, რაც ხშირად აუცილებელია ღრმა ინტელექტუალური და მრავალმხრივი დარღვევის მქონე ბავშვების სასწავლო პროცესში ეფექტური ჩართვისათვის. როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის ინკლუზიური განათლების კოორდინატორი თათია პაჭკორია აღნიშნავს, „მრავალმხრივი დარღვევის მქონე ბავშვების შემთხვევაში, ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაცია საკმარისი არ არის და რთულია იმაზე საუბარი, რომ მრავალმხრივი ღრმა ინტელექტუალური დარღვევის მქონე ბავშვი სათანადოდ ჩართულია სასწავლო პროცესში“. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად და დეტალურად გასაწერად ***ეროვნული სასწავლო გეგმის მე-5 თავში ცვლილებების შეტანის საკითხი განიხილება.*** ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტი მუშაობს ალტერნატიულ (გაფართოებულ) ფუნქციურ კურიკულუმზე, როგორც ინტელექტუალური და მრავალმხრივი დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის, ისე სენსორული დარღვევის მქონე (სმენა და მხედველობა) მოსწავლეებისათვის.

საკონონმდებლო დონეზე დაურეგულირებელი რჩება ინტეგრირებული კლასების საკითხი. ***არ არსებობს ინტეგირებული კლასების კონცეფცია და მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი,*** რომელიც განსაზღვრავს ინტეგრირებული კლასების მიზანს, ფუნქციას, მოწყობას, სტრუქტურას, შეფასების სისტემას და ა.შ. ამიტომ, როგორც ექსპერტები და დაინტერესებული მხარეები აცხადებენ, არსებობს საშიშროება, რომ ინტეგრირებული კლასების გამოყენება და მასში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ჩართვა არასათანადოდ მოხდება.

აღსანიშნავია, რომ ზოგადი განათლების საფეხურის დასრულების პრო-

ცესში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის გარკვეული ცვლილებების შეტანაა საჭირო. დღეს გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული სკოლის გამოსაშვები გამოცდების (CAT) ჩატარების ფორმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის განსხვავებულია. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის ტესტების შემუშავებას უზრუნველყოფს არა გამოცდების ეროვნული ცენტრი (რომელიც ყველა დანარჩენი მოსწავლეებისთვის ადგენს ტესტებს), არამედ ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის საგნობრივი ექსპერტები ან სპეციალიზირებული პროფილის სკოლების მასწავლებლები, რაც თავისთავად არასწორი მიდგომაა. ინკლუზიური განათლების სამმართველოში აცხადებენ, რომ მათი ხედვით, ყველასთვის ერთი და იმავე შინაარსის გამოცდა უნდა არსებობდეს და ტესტი განსხვავებული არ უნდა იყოს თანაბარი სირთულის (უნდა იყოს). უბრალოდ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის შესაბამისი გარემო უნდა შეიქმნას (მაგ.: უსინათლო მოსწავლისთვის არსებული ტესტი ბრაილით უნდა დაიბეჭდოს, ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლისთვის, თუ საჭიროა, დრო გახანგრძლივდეს და ა.შ.).

რაც შეეხება პროფესიული განათლების სამართლებრივ ჩარჩოს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 31 მარტის N389 ბრძანებით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პროექტის მოსამზადებლად. ამ სამუშაო ჯგუფმა მოამზადა ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, რომელშიც გათვალისწინებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლებასთან დაკავშირებული საკითხები. ეს ცვლილებები ჯერჯერობით ინიცირებული არ არის და გაურკვეველია, როდის შევა ძალაში. აუცილებელია, რომ შესაბამისი ცვლილებები დროულად შევიდეს, რათა მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უწყვეტი განათლების უფლების რეალიზება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N152/ნ ბრძანებით ,,პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ განსაზღვრულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამაში ჩარიცხვის განსხვავებული წესი, რომელიც ითვალისწინებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა მიერ შერჩეული პროგრამის პრაქტიკული აქტივობების მოსინჯვას, რომლის პროცესშიც სპეციალურად შექმნილი საგამოცდო კომისია აფასებს აპლიკანტს. საგამოცდო კომისია, სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის ტესტირებისას გაკეთებულ შეფასებებზე დაყრდნობით, პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე პროფესიული სტანდარტით დადგენილი დამატებითი

მოთხოვნების, ექსპერტთა გუნდის დასკვნისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის ინტერესების გათვალისწინებით, მინისტრს წარუდგენს რეკომენდაციას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პირველად ან შემდგომ საფეხურზე ჩარიცხვის თაობაზე.

პროფესიული განათლების საფეხურზე, გარდა ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანისა, აუცილებელია შემუშავდეს მარეგულირებელი კანონქვემდებარე აქტები, რათა სისტემა უფრო მოქნილი გახდეს და დარეგულირდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის მიღების წესი, შეფასების საკითხები, პროფესიული სასწავლებლის, მათ შორის ადმინისტრაციისა და აკადემიური პერსონალის, ვალდებულება და როლი, მონიტორინგის მექანიზმი და ა.შ.

უმაღლეს განათლებაში, ზოგად განათლებასთან შედარებით, გაცილებით მძიმე ვითარებაა საკანონმდებლო ჩარჩოს განსაზღვრის კუთხით. შეიძლება ცალსახად ითქვას, რომ არსებული კანონმდებლობა სრულად არ უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების უფლებას განათლების უმაღლეს საფეხურზე. ერთადერთი, რაც „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონშია მითითებული, არის ის, რომ ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ზრუნავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისათვის სწავლის პირობების შესაქმნელად“, ხოლო უმაღლესი საგანამანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის მე-10 მუხლის ,,ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ,,უმაღლეს საგანამანათლებლო დაწესებულებას უნდა ჰქონდეს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის“. ჯერჯერობით რაიმე კონკრეტული ძალისხმევა უმაღლესი განათლების დონეზე საკანონმდებლო ჩარჩოს მოსაწესრიგებლად არ გაწეულა.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა და სტუდენტთა განათლების მართვის რეგულაციების შემუშავება

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ანგარიშის თანახმად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №19/ნ ბრძანებით (18.02.2011) დამტკიცებული ,,ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“ მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №227 ბრძანებით (22.02.2009) დამტკიცებული ,,სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულების“ მე-16 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, საგამოცდო ცენტრი უზრუნველყოფს იმ აბიტურიენტებისა და მაგისტრანტობის კანდიდატების განთავსებას სპეციალურად მოწყობილ საგამოცდო სექტორში, რომლებსაც სპეციფიკური საგამოცდო გარემო სჭირ-

დებათ. ამასთან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 12 ივნისის №61/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,პრაქტიკოსი მასწავლებლისათვის საგნის გამოცდის ჩატარების წესის“ მე-13 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ცენტრი უზრუნველყოფს სპეციალურად მოწყობილ საგამოცდო სექტორში იმ აპლიკანტების განთავსებას, რომლებისთვისაც სპეციფიკური საგამოცდო გარემოა საჭირო.

სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით ყოველწლიურად მტკიცდება ,,ფუნქციონალური დარღვევის მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი ცნობების განხილველი კომისია“, რომელსაც ევალება აბიტურიენტების/სტუდენტების/მაგისტრანტობის კანდიდატებისა და მასწავლებლების მიერ ფუნქციონალურ დარღვევებთან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების სსიპ - გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორისთვის მიწოდება.

2014-2015 წლების ერთიან ეროვნულ, საერთო-სამაგისტრო და მასწავლებელთა სასერტიფიკაციო/საგნის გამოცდის, აგრეთვე სტუდენტთა საგარანტო კონკურსის მიმდინარეობისას აბიტურიენტებს, სტუდენტებს, მაგისტრანტობის კანდიდატებსა და მასწავლებლებს (შემდგომში - აპლიკანტებს), წარმოდგენილი სამედიცინო დოკუმენტების საფუძველზე, ,,ფუნქციონალური დარღვევის მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი ცნობების განხილვის თაობაზე შექმნილი კომისიის“ დასკვნების საფუძველზე, ინდივიდუალურად შეექმნათ შესაბამისი პირობები (დაემატათ საგამოცდო დრო საჭიროებიდან გამომდინარე 20 წუთიდან გაორმაგებულ საგამოცდო დრომდე, განთავსდნენ სარეზერვო სექტორებში, მიეცათ გამოცდაზე ურიგოდ შესვლის უფლება, დახმარება გაეწიათ გადაადგილებაში, გამოეყოთ კომფორტული სკამი, მიეცათ უფლება, გამოცდის მსვლელობის დროს გადაადგილდნენ დერეფანში საჭიროების შემთხვევაში, ასეთ შემთხვევაში დაემატათ შესაბამისი საგამოცდო დრო).

გამოწვევები:

- საქართველოს კანონმდებლობის რევიზია და ჰარმონიზაცია „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციასთან“ (ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტების გათვალისწინებით და არა არსებულ რესურსებზე მორგებით).
- კანონმდებლობის გადახედვა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების, მოსწავლეებისა და სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებით (გონივრული მისადაგება, ფიზი-

კური გარემოს ადაპტაცია, ტრანსპორტირება, ფუნქციური მხარდაჭერა და ზრუნვა).

- სკოლამდელი განათლების დონეზე საკანონმდებლო ჩარჩოს განსაზღვრა - „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ საქართველოს კანონის“ დროულად დამტკიცება და ინკლუზიური განათლების სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა.
- ზოგადი განათლების დონეზე ინკლუზიური განათლების მარეგულირებელი კანონქვემდებარე აქტის „საქართველოს სკოლებში ინკლუზიური განათლების განხორციელების წესის“ დროულად დამტკიცება.
- ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანა.
- ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანა.
- პროფესიული განათლების საფეხურზე ინკლუზიური განათლების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების შემუშავება და დამტკიცება.
- ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის გადახედვა და ცვლილებების შეტანა.
- გაფართოებული ფუნქციური კურიკულუმის შემუშავება და დამტკიცება მძიმე და მრავალმხრივი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის.
- ალტერნატიული კურიკულუმის შემუშავება და დამტკიცება სენსორული დარღვევის მქონე მოსწავლეებისათვის.
- ინტეგრირებული კლასების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტის შემუშავება და დამტკიცება.
- სწავლის პროგრესის მონიტორინგის მექანიზმის დანერგვა (კანონმდებლობით).
- ზოგადი განათლების საფეხურის დასრულების (სკოლის დამამთავრებელი გამოცდების პროცესის) არსებული მიდგომის გადახედვა.
- სკოლების ფიზიკურ ადაპტაციასთან დაკავშირებით ნორმატიული კანონქვემდებარე აქტის შემუშავება და დამტკიცება.
- განათლების მართვის რეგულაციების რევიზია და დახვეწა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა და სტუდენტთა განათლების დაფინანსების ადეკვატური სისტემის დანერგვა

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის“ განათლების ნაწილი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა და სტუდენტთა განათლების დაფინანსების ადეკვატური სისტემის დანერგვას ითვალისწინებს. გეგმაში ნათქვამია, რომ უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა და სტუდენტთა ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების დაფინანსების სისტემის/ფორმულის შემუშავება კვლევაზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებით; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა და სტუდენტთა განათლების დაფინანსების მექანიზმის პილოტირება; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა და სტუდენტთა განათლების დაფინანსების სისტემის დანერგვა ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სისტემაში.

- რამდენად ეფექტურად ხდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა და სტუდენტთა განათლების დაფინანსების სისტემის დანერგვა?
- რამდენად უზრუნველყოფს დაფინანსების არსებული მექანიზმი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის ხარისხიანი განათლების მიწოდებას?
- რა გამოწვევები არსებობს ეფექტური დაფინანსების მექანიზმის დასანერგად და გასაუმჯობესებლად?

დღეს ინკლუზიური განათლება სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამიდან ან გრანტებიდან ფინანსდება. უფრო კონკრეტულად, როგორც 2014, ისე 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებული პროგრამების ფარგლებში დამტკიცებული იყო „განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების საგანმანათლებლო და საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა და ინკლუზიური განათლების განვითარების“ პროგრამა (პროგრამული კოდი 32 02 05), რომლის ფარგლებშიც 2014 წელს გაწეული ხარჯი 3 684.9 ათასი ლარი იყო, ხოლო 2015 წლის 6 თვის ხარჯი 1 974.1 ათასი ლარია (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2015). „ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის პროგრამა“ მოიცავს 4 ქვეპროგრამას: 1. „მულტიდისციპლინური გუნდის ხელშეწყობის ქვეპროგრამა“; 2. ინკლუზიური განათლების დანერგვის ხელშეწყობა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებ-

ში“; 3. „საჯარო სკოლებში ინტეგრირებული კლასების დაფინანსების ქვეპროგრამა“; 4. „სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობის ქვეპროგრამა“.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის №244 დადგენილების ,,პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“ საფუძველზე სრულად ფინანსდება პროფესიული განათლების მიღება სახელმწიფოს მიერ/მონაწილეობით დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში. დაფინანსების წესი ვრცელდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტებზეც.

სახელმწიფო სოციალური პროგრამის ფარგლებში ახორციელებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში სწავლის საფასურის დაფინანსებასაც საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 აგვისტოს №501 და №504 დადგენილებების შესაბამისად. 2014 წელს სოციალური პროგრამების ფარგლებში ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სახელმწიფო დაფინანსება, შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობის ვადით, მოიპოვა 39-მა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტმა, რომლებმაც განცხადებით მომართეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

გარდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსი და მის დაქვემდებარებაში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა, ინკლუზიურ განათლებაში გარკვეული ფინანსური რესურსები საერთაშორისო დონორების მხრიდანაც იხარჯება. საქართველოში ინკლუზიური განათლების დანერგვის ერთ-ერთი ყველაზე მუდმივი მხარდამჭერია ნორვეგიის მთავრობა, რომელიც 2006 წლიდან ინტენსიურად თანამშრომლობს განათლების სამინისტროსთან. ამ ეტაპზე პროფესიული განათლების საფეხურზე ინკლუზიური განათლების მიმართულებით განხორციელებული აქტივობების 90% ხორციელდება ნორვეგიასა და საქართველოს შორის არსებული კოოპერაციის ფარგლებში არსებული გრანტის მხარდაჭერით (გრანტის წლიური ოდენობა წელიწადში 300, 000 აშშ დოლარის ეკვივალენტია). ასევე, საერთაშორისო დონორებიდან სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან (USAID), გაეროს ბავშვთა დაცვის ფონდთან (UNICEF) და მაკლეინის ასოციაციასთან (MAC).

სახელმწიფოს მხრიდან ბოლო 2 წლის განმავლობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძალისხმევა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა და სტუდენტთა განათლების დაფინანსების სისტემის გაუმჯობე-

სების მიზნით იყო „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 იანვრის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანა (ცვლილება შეიდა 2013 წლის 27 სექტემბერს). დადგენილებაში მიღებული ცვლილების თანახმად განისაზღვრა, რომ საჯარო სკოლებს, დადგენილებით გათვალისწინებული დაფინანსების გარდა, გამოეყოფა დამატებითი დაფინანსება შემდეგი ოდენობით: ა) 1-დან 6-ის ჩათვლით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლებისთვის - 4,200 ლარი; ბ) 7-დან 13-ის ჩათვლით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლებისათვის - 8,400 ლარი; გ) 14-დან 23-ის ჩათვლით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლებისათვის - 12,600 ლარი; დ) 23-ზე მეტი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლებისათვის - 16,800 ლარი (მუხლი 1, პუნქტი 13).

დღევანდელი სისტემა მოკლედ ასე გამოიყურება: მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროების შეფასების მოთხოვნას აგზავნის სკოლა (მშობელთან შეთანხმებით) ან მშობელი. მოთხოვნის შესაბამისად, მულტიდისციპლინური გუნდი აფასებს მოსწავლეს და ადგენს, არის თუ არა მოსწავლე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე. თუ გუნდი აღიარებს ბავშვის სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებს, ის ხვდება სამინისტროს განათლების მართვის ერთიანი სისტემის (EMIS) ბაზაში, როგორც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე და სკოლაც ამის შემდეგ იღებს დაფინანსებას (2013 წლის მე-9 დადგენილების შესაბამისად). უფრო კონკრეტულად, საჯარო სკოლებისთვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების დამატებით დაფინანსების მიზნით, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა შესაბამისი თვის 20 რიცხვის მდგომარეობით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემებზე დაყრდნობით, არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა უზრუნველყოფს სამინისტროსათვის შემდეგი ინფორმაციის მიწოდებას:

ა) იმ საჯარო სკოლის დასახელება და საიდენტიფიკაციო მონაცემები, სადაც სწავლობენ საქართველოს მოქალაქეობის მქონე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები;

ბ) იმ საჯარო სკოლის საბანკო რეკვიზიტები, სადაც სწავლობენ საქართველოს მოქალაქეობის მქონე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები;

გ) საქართველოს მოქალაქეობის მქონე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი და შესაბამისი კლასი.

წარმოდგენილი შეფასების რესპონდენტების აზრით (ამასვე ადასტურებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების სამმართველო), დაფინანსების არსებული მოდელი არ მუშაობს და ვერ პასუხობს ყველა ბავშვის საგანმანათლებლო საჭიროებებს. როგორც სამინისტროში აცხადებენ, იგეგმება ექსპერტის აყვანა, რომელიც დაითვლის და სამინისტროს წარუდგენს დაფინანსების მოდელს, რომელიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის საჭიროებებზე იქნება მორგებული.

ამ ეტაპზე ინკლუზიური განათლების დაფინანსება ფრაგმენტულია, არ არსებობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისა და სტუდენტის დაფინანსების ერთიანი და კონსოლიდირებული მექანიზმი/მოდელი.

პრობლემა ის არის, რომ, როგორც წესი, სკოლა მიღებულ თანხას სპეციალური მასწავლებლის ან ფსიქოლოგის ხელფასზე ხარჯავს. თანხების განკარგვა არ ხდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ინდივიდუალური შეფასების შესაბამისად, იმის მიხედვით, თუ რა საჭიროებები აქვს კონკრეტულ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს (ეს შეიძლება იყოს საგანმანათლებლო რესურსი და ადაპტური ტექნოლოგიები, სკოლის ფიზიკური ადაპტირება, სკოლის სხვა დამხმარე სპეციალისტები - სანიტარი, მეტყველების თერაპევტი, სურდო პედაგოგი, ასისტენტი, ტრანსპორტირება და ა.შ.).

აუცილებელია, საჭიროების მიხედვით განისაზღვროს, რა დაფინანსება სჭირდება თითოეულ მოსწავლეს.

ჩვენ არ ვიცით, რა გვიჯდება და რამდენი თანხა გვჭირდება თითოეული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის განათლებისათვის.

გაეროს ბავშვთა ფონდის ბავშვთა დაცვისა და სოციალური კეთილდღეობის სპეციალისტის ჯაბა ნაჭყებიას აზრით, სანამ არ მოხდება ფუნქციურ მოდელზე გადასვლა, მანამდე რთულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების, მოსწავლეებისა და სტუდენტების საჭიროებებზე მორგებულ დაფინანსების მოდელზე ლაპარაკი. შეფასებაში მონაწილე ყველა დაინტერესებული მხარე აღიარებს, რომ აუცილებელია, გაკეთდეს დაფინანსების სქემა, რომელიც გაითვალისწინებს თითოეული ბავშვის საჭიროებებს, აუცილებელ სერვისებს და მასწავლებლების დაფინანსების საკითხს. ასევე, დაფინანსების ეფექტურობისთვის აუცილებელია უწყებათაშორისი თანამშრომლობა და კო-

ორდინაცია - უწყებათაშორის დონეზე ერთიანი ფორმულის განსაზღვრა. უნდა მოხდეს ბავშვის მრავალმხრივი შეფასება, განისაზღვროს, რა საჭიროებები აქვს თითოეულ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვს, მოსწავლეს და სტუდენტს და რაც მთავარია, გადაწყდეს, რომელი უწყება რა მიმართულებით მიმართავს თანხებს და რა საჭიროებებს დაფარავს.

გამოწვევები:

- არსებული ფინანსური მოდელის შეფასება – თუ რამდენად უზრუნველყოფს არსებული მოდელი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისა და სტუდენტების უწყვეტ და ხარისხიან განათლებას.
- თითოეული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისა და სტუდენტის კონკრეტულ საჭიროებების დადგენა.
- თითოეული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისა და სტუდენტის კონკრეტულ საჭიროებებზე მორგებული დაფინანსების მოდელის დანერგვა.
- უწყებათაშორისი თანამშრომლობა და კოორდინაციის გაუმჯობესება დაფინანსების ერთიანი მოდელის განსაზღვრის პროცესში.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა უწყვეტი და ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების საფეხურებზე

ალტერნატიული საგანმანათლებლო სერვისები - ინტეგრირებული კლასები

სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ინკლუზიური განათლების განვითარების მიზნით 2013-2014 სასწავლო წელს დაიწყო დამატებითი სერვისის შექმნა აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე და სმენადაქვეითებული მოსწავლეებისთვის ინტეგრირებული კლასების სახით (I-VI კლასები). განათლების სამინისტროს ინფორმაციით, 2013-2014 სასწავლო წელს 2 საჯარო სკოლაში გაიხსნა ინტეგრირებული კლასები: 64-ე საჯარო სკოლაში სმენადაქვეითებული, ხოლო 166-ე საჯარო სკოლაში აუტისტური სპექტრის მქონე მოსწავლეებისთვის.

2014 სასწავლო წელს დამატებით გაიხსნა სამი ინტეგრირებული კლასი აუტისტური სპექტრის მქონე მოსწავლეებისთვის ქ. თბილისის 41-ე, 72-ე და ქ. თელავის მე-9 საჯარო სკოლებში. ამ კლასებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები განათლებასთან ერთად დამატებით

იღებენ ფსიქოლოგის, სპეციალური მასწავლებლის, მეტყველების თერაპევტის მომსახურებას და გადიან მათი განვითარებისთვის საჭირო პროგრამებს. ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ კლინიკაში 147-ე სკოლის ბაზაზე გაიხსნა კლასი, სადაც ხანგრძლივი მკურნალობის დროს ბავშვები განათლებას ადგილზე (კლინიკაში) მიიღებენ.

> სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ამ ეტაპზე სამინისტრომ უზრუნველყო 6 ინტეგრირებული კლასის ფუნქციონირება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი ინიციატივის საფუძველზე მიმდინარეობს საჯარო სკოლების ბაზაზე დღის ცენტრების ფუნქციონირებისათვის საჭირო საკითხების მოგვარება, რათა მომზადდეს ნიადაგი დღის ცენტრების აღსაზრდელების ფორმალურ განათლებაში ჩართვისათვის და მოხდეს მათი განათლების მიღების უფლების რეალიზაცია.

ინტეგრირებული კლასების შემთხვევაში, ექსპერტებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების დიდი ნაწილის აზრი ერთმანეთს ემთხვევა. ჩაღრმავებული ინტერვიუების რესპონდენტთა 90% პროცენტი ფიქრობს, რომ ინტეგრირებული კლასების არსებობა საჭიროა, განსაკუთრებით მძიმე ინტელექტუალური და ქცევითი დარღვევის შემთხვევაში. მაგალითისთვის რესპონდენტებს მოჰყავთ აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე მოსწავლები და აღნიშნავენ, რომ ასეთი ტიპის შეზღუდულობის დროს, სანამ ქცევის გარკვეული მოდიფიცირება არ მოხდება, შეიძლება არ იყოს მიზანშეწონილი მოსწავლის ჩვეულებრივ კლასში ყოფნა. ამავდროულად, რესპონდენტთა უმრავლესობა აცხადებს, რომ ინტეგრირებული კლასი მხოლოდ გარდამავალი ეტაპისთვის უნდა იყოს მოაზრებული და გამოყენებული ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით ისე, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის იყოს გზა ინკლუზიისაკენ.

> ამავდროულად, რესპონდენტთა უმრავლესობა აცხადებს, რომ ინტეგრირებული კლასი მხოლოდ გარდამავალი ეტაპისთვის უნდა იყოს მოაზრებული და გამოყენებული ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით ისე, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის იყოს გზა ინკლუზიისაკენ.

ინტეგრირებული კლასების საჭიროების აუცილებლობაში ეჭვი შეაქვს ორგანიზაცია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის“ დამფუძნებელს

ანა არგანაშვილს, რომელიც აღნიშნავს, რომ ვერავინ ვერ დაარწმუნებს იმაში, რომ ის ბავშვები, რომლებიც დღეს ინტეგრირებულ კლასში არიან, „მეინსტრიმ“ კლასში ვერ იქნებოდნენ, თუ შესაბამისი მხარდაჭერა ექნებოდათ.

ინტეგრირებულ კლასში ბავშვების ჩართვას მშობლების ნაწილიც სკეპტიკურად უყურებს. გამოკითხული მშობლების უმრავლესობა თვლის, რომ მათი შვილებისთვის ჩვეულებრივ კლასში ყოფნა უკეთესია, როგორც აკადემიური, ისე სოციალური და ადაპტური უნარების განვითარებისათვის. მაგალითად, ფოკუსჯგუფში მონაწილე აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე მოსწავლის დედა აცხადებს, რომ მისი შვილი თუ 2–3 წელს დაყოფს ინტეგრირებულ კლასში, მისი ჩვეულებრივ კლასში გადაყვანა კიდევ უფრო რთული იქნება. იქვე აკონკრეტებს, რომ მისი შვილი ჩვეულებრივ კლასში სწავლობს და ხელშესახები პროგრესი აქვს კლასში ინტეგრირების კუთხით. ამ აზრს იზიარებს გამოკითხული მშობლების უმრავლესობა და ისინი თვლიან, რომ უმჯობესია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე თავიდანვე ჩვეულებრივ საკლასო გარემოში იმყოფებოდეს.

როგორც წარმოდგენილი შეფასების პირველ ნაწილში (სამართლებრივი ჩარჩო) აღინიშნა, ინტეგრირებული კლასების შემთხვევაში ერთ-ერთ მთავარ პრობლემად რჩება ის ფაქტი, რომ არ არსებობს ინტეგრირებული კლასების ერთიანი მოდელი/კონცეფცია და მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი, რომელიც განსაზღვრავს ინტეგრირებული კლასების მიზანს (ფუნქციური უნარების განვითარება, აკადემიური ცოდნის მიცემა), ფუნქციას, მოწყობას, სტრუქტურას (მაგ., რამდენ საათს ატარებენ თანატოლებთან), შეფასების სისტემას და ა.შ.

> არ არსებობს ინტეგრირებული კლასების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი, რომელიც განსაზღვრავს ინტეგრირებული კლასების მიზანს, ფუნქციას, მოწყობას, სტრუქტურას, შეფასების სისტემას და ა.შ.

როგორც ექსპერტები და დაინტერესებული მხარეები აცხადებენ, არსებობს საშიშროება, რომ ინტეგრირებული კლასების გამოყენება და მასში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ჩართვა არასათანადოდ მოხდეს. როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინკლუზიის პოლიტიკის ექსპერტი მაგული შაღაშვილი აღნიშნავს, „არსებობს საშიშროება, რომ ეს სკოლამ ცუდად გამოიყენოს და ბავშვმა ინტეგრირებულ კლასში იმაზე მეტი დრო დაყოს, ვიდრე მას რეალურად სჭირდება ჩვეულებრივ კლასში ტრანზიციისთვის“.

ინტეგრირებული კლასების შემთხვევაში, მშობლები და ექსპერტების ნა-

წილი ეჭვით უყურებენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შეფასებისა და ამ შეფასების საფუძველზე ბავშვის ინტეგრირებულ კლასში განთავსების საკითხსაც. მშობლები ამბობენ, რომ მათ იციან შემთხვევები, როცა დაახლოებით ერთი და იმავე შეზღუდულობისა და სიმძიმის მქონე ბავშვების შემთხვევაში ერთი ინტეგრირებულ კლასში ხვდება, ხოლო მეორე - ჩვეულებრივში .

საჯარო, მათ შორის, სპეციალიზებული პროფილის მქონე სკოლებში დისტანციური განათლების უზრუნველყოფა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის

როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში აცხადებენ, რაიმე ქმედითი აქტივობა დისტანციური სწავლების დასანერგად არ განხორციელებულა. ჯერჯერობით საქართველოს კანონმდებლობაც კი არ აღიარებს დისტანციური სწავლების საკითხს. ამიტომ დისტანციური სწავლების დანერგვის საკითხი 2016 წლის ბოლომდე სავარაუდოდ ვერ მოგვარდება.

ალტერნატიული საგანმანათლებლო სერვისის/ების დანერგვა საჯარო, მათ შორის, სპეციალიზებული პროფილის მქონე სკოლებში

დღეისთვის სკოლამდელ განათლებას პოლიტიკის დონეზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო განსაზღვრავს, თუმცა სკოლამდელი დაწესებულებები ადგილობრივი თვითმმართველობების დაქვემდებარებაში იმყოფება. კერძოდ, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებაა „მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა“.

სკოლამდელ აღზრდაზე ხელმისაწვდომობა მთელ საქართველოში ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება. სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით (2005-2006 წლების მონაცემები), სკოლამდელი ასაკის ბავშვების მხოლოდ 55% სწავლობს სკოლამდელ დაწესებულებებში. სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის საკითხი სასოფლო დასახ-

„ბავშვი, რომელსაც ადრეული განვითარება აქვს გავლილი, სულ სხვა მზაობით მოდის სკოლაში და ბევრად უფრო ადვილად ადაპტირდება“

ლია ტაბატაძე
დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა მშობლებისა და პროფესიონალების კავშირი “ჩვენი ბავშვები”

ლებებში კიდევ უფრო მწვავედ დგას (ქალაქში – 67%, სოფელში – 43%). გაეროს ბავშვთა ფონდის მონაცემებით,[2] 2005-2006 წლების მონაცემები მნიშვნელოვნად გაიზარდა და 2010 წელს 5 წლის ასაკის ბავშვების თითქმის ორი მესამედი (63%) დადიოდა სკოლამდელი განათლების დაწესებულებაში.

მიუხედავად ამისა, ადრეული განვითარება და სკოლამდელი განათლება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მიმართებით ერთ-ერთ ყველაზე დიდ გამოწვევად რჩება. განათლების ამ მნიშვნელოვანი საფეხურის ჩავარდნა კი თავისთავად სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების განათლების უწყვეტობის საკითხს გამორიცხავს.

> შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმის სკოლამდელი განათლების მიმართულებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან ჯერჯერობით ქმედითი აქტივობები არ განხორციელებულა და საჯარო სკოლებში (მათ შორის სპეციალიზებული პროფილის სკოლებში) სკოლამდელი მოსამზადებელი სააღმზრდელო სერვისები არ დანერგილა.

2014-2015 წლებში სამოქმედო გეგმის ამ კონკრეტული მიმართულებით რაიმე ქმედითი და სისტემური აქტივობები არ განხორციელებულა, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე მცირე ძალისხმევას. კერძოდ, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) დახმარებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ განავითარა სასკოლო მზაობის პროგრამა 5 წლის ბავშვებისთვის, რომელიც თავისი შინაარსითა და სტრუქტურით ინკლუზიურია. 2015 წლის ბოლომდე სამინისტრო გეგმავს თბილისის ერთ სკოლაში სენსორული დარღვევის მქონე ბავშვებისათვის სკოლის ბაზაზე სასკოლო მზაობის კლასის გაკეთებას.

უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანი ძალისხმევა სკოლამდელი განათლების საფეხურზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების ჩართვისათვის სამოქალაქო სექტორის მხრიდან არის მიმართული. კითხვაზე, „მოხდა თუ არა სკოლების დონეზე სკოლამდელი სააღმზრდელო სერვისების დანერგვა?“, ყველა რესპონდენტი პასუხობს, რომ „არა“. ერთადერთი, რასაც რესპონდენტთა დიდი ნაწილი აღნიშნავს სკოლამდელ განათლებასთან მიმართებაში და დადებითად აფასებს, არის ასოციაცია „პორტიჯის“ ინიციატივა სკოლამდელი ინ-

2 http://unicef.ge/10/სკოლამდელი-განათლება/25

კლუზიური განათლების მიმართულებით. კონკრეტულად, 2008 წლიდან ასოციაცია „პორტიჯი“ ახორციელებს პროექტს თბილისში, რომელიც მიმართულია სკოლამდელ საფეხურზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების ჩართვისაკენ. ორგანიზაციის დამფუძნებელი ნინო ცინცაძე აცხადებს, რომ პროექტის დაწყების დროს (2008 წელს) სკოლამდელ განათლებაში ჩართული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების რაოდენობა 20 იყო, 2015 წლისთვის ბავშვების რაოდენობა 500-მდეა.

> მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ ამ ეტაპზე საქართველოში სისტემური მიდგომა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ადრეულ და სკოლამდელი განათლების დონეზე ჩართვისათვის არ არსებობს.

სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებებს კანონი არ ავალდებულებს მიიღონ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვი – მხოლოდ მათ კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, ჩაერთვება თუ არა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვი სკოლამდელ განათლებაში.

შეფასების რესპონდენტები იმასაც აღნიშნავენ, რომ სკოლამდელი ინკლუზიური განათლების საკითხი რეგიონებში სავალალოა და ბევრად უფრო მწვავედ დგას, ვიდრე თბილისში. კლასების ზომა, მასწავლებლებისა და აღმზრდელების კვალიფიკაცია და კომპეტენცია, ჰიგიენის, სანიტარული ნორმების, კვების საკითხი მთავარ გამოწვევებად რჩება, რასაც ემატება ეფექტური პროგრამებისა და მონიტორინგის არარსებობის საკითხებიც.

ქვეყანაში არ არსებობს ზუსტი სტატისტიკური მონაცემი და ერთიანი ბაზა, თუ რამდენი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვი არის ჩართული სკოლამდელ აღზრდაში (მათ შორის არ არსებობს სტატისტიკა სკოლამდელი ასაკის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების მთლიანი რაოდენობის/პოპულაციის შესახებ).

სკოლამდელი განათლების საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სკოლამდელი განათლების მნიშვნელობა მოსწავლის სოციალურ-კოგნიტიური, ემოციური და ენობრივი კომპეტენციების განვითარების თვალსაზრისით გადამწყვეტია. ყველა ექსპერტი და დაინტერესებული მხარე ერთმნიშვნელოვნად აცხადებს, რომ სკოლამდელი ინკლუზიური განათლების არსებობა უმნიშვნელოვანესია ზოგადი განათლების დონეზე ხელშესახები შედეგების მისაღებად. ამიტომ, თუ ინკლუზიურ განათლებაში რაიმე შედეგის მიღება გვინდა, აუცილებელია,

სახელმწიფომ დიდი ძალისხმევა სწორედ სკოლამდელი ინკლუზიური განათლებისაკენ მიმართოს.

სპეციალიზებული პროფილის მქონე საჯარო სკოლებში თანამედროვე კვლევებზე დაფუძნებული სწავლა-აღზრდის მეთოდოლოგიების დანერგვა

საქართველოში 8 სპეციალიზებული პროფილის საჯარო სკოლა[3] ფუნქციონირებს, რომელშიც, 2013 წლის მონაცემით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე 471 მოსწავლე სწავლობს (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2015). სკოლები სპეციალიზდება საგანმანათლებლო საჭიროებების მიხედვით, მათ შორისაა სენსორული დარღვევები, ქცევითი დარღვევები და ინტელექტუალური დარღვევები.

მასწავლებელთა პროფესიული ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად (კვაჭაძე, არავიაშვილი, 2009) სპეციალურ სკოლებში დასაქმებულია 340 მასწავლებელი; მასწავლებელთა 29% 21-იდან 45 წლამდეა, 49% - 55 წლის ზემოთ, აქედან 31% - 60 წლის ზემოთ. მასწავლებელთა 50%-ს სკოლაში, სადაც დღემდე ასწავლის, მუშაობის მინიმუმ 25-წლიანი გამოცდილება აქვს.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმის“ ამ ნაწილის შესრულების მიზნით მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა თბილისსა და რეგიონების სპეციალიზებულ სკოლებში „წერა-კითხვისა და მათემატიკის სწავლების დამხმარე პროგრამის“ პილოტირება და დანერგვა დაიწყო. პროგრამის ფარგლებში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების მეთოდოლოგიური გაძლიერება გულისხმობდა სპეციალიზებული სკოლების მასწავლებლებისა და პროგრამის სუპერვიზორების მიერ ერთობლივად შედგენილი განმავითარებელი სავარჯიშოებისა და სწავლების სტრატეგიების კრებულის აპრობირებას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან ერთად არაფორმალურ გარემოში. „წერა-კითხვისა და მათემატიკის სწავლების დამხმარე პროგრამის“ განხორციელება 2013 წლის ოქტომბერში დაიწყო 5 სპეციალიზებულ და ერთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში და 2013 წლის დეკემბერში დასრულდა. პროგრამას 27 მასწავლებელი 40-მდე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან ახორციელებდა (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ანგარიში, 2013).

3 2006 წელს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #448 ბრძანების საფუძველზე ყველა სპეციალური სკოლა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დაფუძნდა.

2014 წელს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით სპეციალიზებული პროფილის სკოლების 20-მდე პედაგოგი მონაწილეობდა მხედველობის, სმენისა და ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის განმავითარებელი პროგრამების შემუშავებასა და პილოტირებაში. ამ პროგრამებში ჩართული იყო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე 45 მოსწავლე მხედველობის, სმენისა და ინტელექტუალური განვითარების დარღვევით.

გარდა ამისა, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით მიმდინარეობს პროექტი „წიგნიერება უკეთესი მომავლისთვის“, რომლის მიზანია სმენისა და მხედველობის პრობლემების მქონე მოსწავლეთა დაწყებითი განათლების სასწავლო პროგრამებისა და მეთოდოლოგიის გაუმჯობესება. ასევე მომზადებული და დაბეჭდილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების შეფასების პორტფოლიოს ნიმუში (პორტფოლიოს საკვანძო საკითხებია: პორტფოლიოს შინაარსი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის იდენტიფიცირება და შეფასება, ინფორმაციის შეგროვება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და სხვა).

განათლების სამინისტროს ინფორმაციით, ინგლისურიდან ითარგმნა შენობების მოწყობის უნივერსალური დიზაინის საერთაშორისო დოკუმენტი, მოხდა მისი სტილისტური და სამეცნიერო-ტერმინოლოგიური რედაქტირება და ეს დოკუმენტი გადაიგზავნა სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში.

ზემოაღნიშნული აქტივობების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი თანმიმდევრულად ცდილობს სპეციალიზებული პროფილის სკოლებში თანამედროვე სასწავლო მეთოდოლოგიების დანერგვას იმ მასშტაბით, რის შესაძლებლობასაც არსებული რესურსები იძლევა. განათლებისა და მეცნიერების პროგრამული ანგარიშები და კვლევები (ჭინჭარაული, ჯავახიშვილი, 2013) ცხადყოფს, რომ სპეციალიზებული პროფილის სკოლებში გამოცდილება და კონკრეტულად ადაპტური ტექნოლოგიების გამოყენების პრაქტიკაც მეტია, ვიდრე ჩვეულებრივ საჯარო სკოლებში. როგორც „ინკლუზიური განათლების მაჩვენებლები საქართველოში“ კვლევის ანგარიშშია (ჭინჭარაული, ჯავახიშვილი, 2013) მითითებული, სენსორული დარღვევების მქონე (მხედველობა, სმენა) მოსწავლეებისათვის ბრაილისა და ჟესტური ენის სწავლება ძირითადად სპეციალიზებულ სკოლებშია შესაძლებელი. ამავე ანგარიშის თანახმად, სპეციალიზებული პროფილის სკოლებში კომუნიკაციისა და აუგმენტური და ალტერნატიული ფორმების

სწავლებაც მიმდინარეობს (პილოტირების ეტაპზე) (ჭინჭარაული, ჯავახიშვილი, 2013, გვ. 13-14).

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ზოგადად სპეციალიზებული პროფილის სკოლების არსებობაა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პოზიციაა, რომ სახელმწიფომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების ინკლუზიური განათლების პრიორიტეტულობის აღიარების პარალელურად უნდა გააცნობიეროს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ვერ უზრუნველყოფს ყველა სახის საგანმანათლებლო საჭიროების დაკმაყოფილებას. სწორედ ამიტომ სპეციალური (არაინკლუზიური) სწავლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა აუცილებელია სპეციალიზებული სკოლების საშუალებით. „მსოფლიოს ალბათ ყველა ქვეყანაში არსებობს სპეციალური/ალტერნატიული სკოლები. სპეციალური სკოლები არსებობს იმ ქვეყნებშიც, სადაც ინკლუზიური განათლება საკმაოდ მაღალ დონეზეა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მაქსიმალურად არის გათვალისწინებული ყველა და მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ინდივიდუალური და განსხვავებული საჭიროებები“, ნათქვამია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ჩატარებულ კვლევაში (კვაჭაძე, არავიაშვილი, 2009). ამ აზრს შეფასების რესპონდენტების ნაწილი არ იზიარებს და ცალსახად აღნიშნავს, რომ სპეციალიზებული სკოლების არსებობა გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის კონვენციასთან წინააღმდეგობაში მოდის.

საჯარო, მათ შორის, სპეციალიზებული პროფილის მქონე სკოლებში პროფესიული (სახელობო) განათლების სისტემის დანერგვა

სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ მიმართულებად მითითებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებით და ბაზარზე ორიენტირებული პროფესიების დაუფლების მიზნით სახელობო-პროფესიული პროგრამების დანერგვა საჯარო, მათ შორის სპეციალიზებული პროფილის 8 სკოლაში და 10 საჯარო სკოლის საშუალო საფეხურზე.

დღეს საქართველოში სახელობო განათლების პროგრამები საერთოდ არ ფუნქციონირებს[4]. ამიტომ გაურკვეველია, საერთოდ რატომ ჩაიწერა გეგმის გაწერის დროს ეს ვალდებულება.

4 პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის თანახმად, „2011 წლიდან დაუშვებელია პროფესიულ სტუდენტთა მიღება სახელობო საგანმანათლებლო პროგრამაზე“.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩართვა პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში მათთვის შრომის ბაზრის მოთხოვნებზე დაფუძნებული კონკურენტუნარიანი პროფესიების შესწავლისა და შემდგომი დასაქმების მიზნით

ნორვეგიასა და საქართველოს შორის არსებული კოოპერაციის ფარგლებში არსებული გრანტის მხარდაჭერით, „ინკლუზიური განათლების განვითარება საქართველოს პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში“ პროექტის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2013 წელს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ განათლებაში ჩართვის პროცესი დაიწყო. ამ ეტაპზე პროფესიულ განათლებაში (პროფესიულ სასწავლებლებში) 246 პირია ჩართული.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის მსურველად 2015 წელს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 204 აპლიკანტი დარეგისტრირდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წელს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტუდენტები მხოლოდ ექვს პროფესიულ დაწესებულებაში ირიცხებოდნენ, 2015 წელს აბიტურიენტები 22 დაწესებულებაში 50-მდე საგანმანათლებლო პროგრამაზე დარეგისტრირდნენ (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2015).

პროექტის „ინკლუზიური განათლების განვითარება საქართველოს პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში“ (ნორვეგიის გრანტის ფარგლებში) და „ინკლუზიური განათლების დანერგვის ხელშეწყობა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში“ (სახელმწიფო ქვეპროგრამა) ფარგლებში 2014-2015 წლებში სამინისტრომ დაიწყო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა საჭიროების დაკმაყოფილება და დამატებითი სერვისების უზრუნველყოფა (მაგ.: ინკლუზიური განათლების სპეციალისტის დაქირავება, ჟესტური ენის თარჯიმნის დაქირავება, მობილობისა და ორიენტაციის ტრენერის აყვანა, ასისტენტის აყვანა, სტუდენტთა ტრანსპორტირების მხარდაჭერა, საგანმანათლებლო რესურსების შექმნაზე მუშაობის დაწყება და ა.შ.); ასევე, 5 პროფესიულ სასწავლებელში პროფესიული სასწავლებლების ადაპტირება უნივერსალური დიზაინის პრინციპების მიხედვით.

პროექტის გუნდი მუშაობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის პროფესიული ორიენტაციის მექანიზმსა და პროგრამაზეც. პროექტი თანამშრომლობს სოციალურ პარტნიორებთან და ად-

გილობრივ თვითმმართველობასთან, რათა პროფესიული ინკლუზიური განათლების დანერგვის პროცესი უფრო ეფექტური გახადოს.

სამოქმედო გეგმის ამ ნაწილის ეფექტურობას თუ შევაფასებთ, ხელმისაწვდომობისა და შეღწევადობის კუთხით პროფესიული განათლების საფეხურზე ბოლო 2-3 წლის განმავლობაში მზარდი დინამიკაა. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. 2013 წლის შემოდგომაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რიცხვი მხოლოდ 51 იყო, 2014 წლის შემოდგომაზე კი პროფესიულ სასწავლებლებში 109 სტუდენტი დარეგისტრირდა.

დიაგრამა 1



წყარო: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2015.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო თანამშრომლობს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს დასაქმების დეპარტამენტთან, რათა ხელი შეუწყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმების საკითხს (იგეგმება 10 დასაქმების სპეციალისტის (job coach) რეკრუტირება, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს დასაქმებაში ეხმარებიან). თუმცა, როგორც ქვემოთ მითითებულ დიაგრამაში ჩანს, დასაქმების მაჩვენებელი ჯერჯერობით დაბალია და მხოლოდ 8%-ს აღწევს.

დიაგრამა 2

დასაქმების მაჩვენებელი - 7.4 %



წყარო: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2015

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაქმების დაბალ მაჩვენებელზე მიუთითებს 2015 წელს ჩატარებული სიტუაციური ანალიზიც - „მოწყვლადი ჯგუფების პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა საქართველოში“, სადაც ნათქვამია: „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის/საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის შეზღუდული შესაძლებლობის ფორმის მიუხედავად (ფიზიკური, სენსორული თუ გონებრივი), უმუშევრობა ერთნაირად აქტუალური პრობლემაა. სხვა მოწყვლადი ჯგუფების მსგავსად უმუშევრობა მათ შორის გავრცელებულია, თუმცა დასაქმების თითქმის ნულოვანი პერსპექტივა აქვთ“. აუცილებელია, რომ ამ მიმართულებით მუშაობა და დამსაქმებლებთან თანამშრომლობა როგორც სახელმწიფო უწყებებმა, ისე პროფესიულმა სასწავლებლებმაც გააქტიურონ.

როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინკლუზიური და სპეციალური განათლების კონსულტანტი აღნიშნავს, მასწავლებელთა პროფესიული გადამზადება პროფესიული განათლების საფეხურზე უფრო კომპლექსური და მრავალმხრივია, რაც თავის მხრივ ფინანსური რესურსების არსებობას უკავშირდება.

რესპონდენტები იმასაც აღნიშნავენ, რომ ზოგადი განათლების საფეხურზე არსებულმა 10-წლიანმა გამოცდილებამ დადებითი ასახვა პოვა პროფესიული განათლების საფეხურზე განხორციელებულ ინიციატივებზე. იქმნება შთაბეჭდილება, რომ პროფესიულ განათლებაში მიმდინარე აქტივობები უფრო კომპლექსური და გააზრებულია, აღნიშნავენ რესპონდენტები. თუმცა იქვე იმასაც მიუთითებენ, რომ მასშტაბების გათვალისწინებით, ზოგადი და პროფესიული საფეხურების შედარება სწორი არ იქნება, ვინაიდან სკოლების შემთხვევაში ბევრად დიდ მასშტაბთან გვაქვს საქმე.

მიუხედავად სამინისტროს მხრიდან გაწეული ძალისხმევისა, პროფესიული განათლების საფეხურზეც ბევრი გამოწვევა რჩება ზოგადად ხარისხთან მიმართებაში. გამოწვევების არსებობას ადასტურებს ის ფაქტი, რომ შეწყვეტილი სტატუსის მქონე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების მაჩვენებელი 2013-2015 წლებში 15%-ს აჭარბებს.

დიაგრამა 3

სსსმ სტუდენტთა სტატუსი პროფესიულ სასწავლებლებში



წყარო: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2015

მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების არარსებობა, პროგრამები (როგორც არსებული პროგრამების ხარისხი, ისე ახალი პროგრამების დამატება), პროფსასწავლებლების ფიზიკური ადაპტაცია, მასწავლებელთა კვალიფიკაცია, საგანმანათლებლო რესურსები, შეფასება ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება. შესაბამისად, ხელმისაწვდომობისა და შეღწევადობის გაზრდის პარალელურად სამინისტრომ კიდევ უფრო მეტად უნდა იზრუნოს მიწოდებული საგანმანათლებლო პროგრამებისა და ზოგადად სასწავლო პროცესის ხარისხზე და რაც მთავარია, შეიმუშაოს მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტი, რომელიც თითოეულ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთან მიმართებით მიღწეული შედეგების გაზომვასა და პროგრესის შეფასებას გახდის შესაძლებელს.

ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული მეთოდური სახელმძღვანელოების, გზამკვლევების შემუშავება

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმის“ ერთ-ერთი მიმართულებაა ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული მეთოდური სახელმძღვანელოებისა და გზამკვლევების შემუშავება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტი ინკლუზიური განათლების დანერგვის საწყისი ეტაპიდანვე მუშაობს მასწავლებლებისათვის სხვადასხვა ტიპის გზამკვლევების შემუშავებაზე.

გეგმის შესაბამისად, სამინისტრომ 2014-15 წლებშიც გააგრძელა ამ მიმართულებით მუშაობა. 2014 წელს ორგანიზაცია „გადავარჩინოთ ბავშვებისა“ და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით გამოიცა „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გზამკვლევი მასწავლებლებისათვის“, რომელიც მასწავლებლებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განსაზღვრასა და შედგენაში დაეხმარება. სკოლის მასწავლებლებისათვის ასევე დაიბეჭდა ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული გზამკვლევი - „მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლება“ (უსინათლო მასწავლებლებისთვის ბრაილით და ჩვეულებრივი შრიფტით). შეიქმნა და დაიბეჭდა ინკლუზიური განათლების საკითხებზე საინფორმაციო ტრიპლეტი საჯარო სკოლების მოსწავლეების მშობლებისათვის - „აქტუალური კითხვები ინკლუზიური განათლების შესახებ“ ქართულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე.

2014 წელს დაიწყო ვებგვერდის www.inclusion.ge შექმნა, 2015 წელს ვებგვერდი ხელმისაწვდომი გახდა.

ერთ-ერთი კითხვა, რომლის გარკვევას წინამდებარე შეფასება მოიაზრებდა, იყო ის, თუ რამდენად იყენებენ მასწავლებლები არსებულ მეთოდოლოგიურ რესურსებს. უშუალოდ სამინისტროს წარმომადგენლები აცხადებენ, რომ არ არსებობს მონიტორინგის მექანიზმი იმისათვის, რათა შეფასდეს, რამდენად ეცნობა კონკრეტული მასწავლებელი მეთოდურ რესურსებს და რაც მთავარია, აისახება თუ არა ეს ცოდნა მასწავლებლის მიერ განხორციელებულ სწავლებაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან მიმართებით. უნდა აღინიშნოს, რომ შეფასების ფარგლებში გამოკითხული მასწავლებლები არსებულ რესურსებს დადებითად აფასებენ. კითხვაზე: „იყენებთ თუ არა სამინისტროს მიერ მომზადებულ გზამკვლევებს/სახელმძღვანელოებს სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად?“ გამოკითხული მასწავლებლების 80% აცხადებს, რომ იყენებს და საკმაოდ ეფექტურად.

„ინდივიდუალური გეგმის გაწერის დროს ყოველთვის უამრავი კითხვა მქონდა და სამინისტროს მიერ მომზადებული გზამკვლევი ძალიან დამეხმარა; თითქმის ყველა კითხვაზე ვიპოვე პასუხი.“ - ფოკუსჯგუფის მონაწილე

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ინკლუზიური განათლების სპეციალისტების, ისე საგნის მასწავლებლების ფოკუსჯგუფის შეხვედრებზე წამოიჭრა საკითხი, რომ ეს სახელმძღვანელოები ყოველთვის არ მიდის მათ სკოლამდე. კერძო სკოლების მასწავლებლებიც აცხადებენ, რომ მათ სკოლამდე ხშირად მეთოდოლოგიური რესურსები არ აღწევს. სასურველია, სკოლებში არსებული რესურსების განაწილების საკითხს სამინისტრომ უფრო მეტი ყურადღება დაუთმოს.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის, მათი საჭიროებების გათვალისწინებით, სახელმძღვანელოებისა და სასწავლო მასალების შემუშავება, დაბეჭდვა და გავრცელება

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, პროფესიულ განათლებაში ჩართული უსინათლო სტუდენტებისათვის შეიქმნა სახელმძღვანელოების აუდიოვერსიები (სპეციალური წამკითხავი ხმოვანი პროგრამის საშუალებით).

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა სწავლების უზრუნველსაყოფად და პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის გზამკვლევების ადაპტირების მიზნით 2014 წელს ბრიტანელი და ნორვეგიელი ექსპერტების ავტორობით სპეციალურად საქართველოსთვის შეიქმნა და გამოიცა გზამკვლევი „შეფასება სწავლისათვის ინკლუზიურ სკოლებში“.

2013-2014 სასწავლო წელს ქ. თბილისის 202-ე საჯარო სკოლის სენსორული დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის ბრაილის შრიფტით დაიბეჭდა ყველა საგნის სახელმძღვანელო, მათ შორის, ქართული ანბანი (თვალსაჩინოება); 2014 სასწავლო წლისთვის VI–XII კლასებისთვის დაიბეჭდა ქართულის, მათემატიკისა და ინგლისურის სახელმძღვანელოები. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მუშაობს უსინათლო მოსწავლეების განათლების სტრატეგიაზეც.

სამინისტროს ინფორმაციით, 2013-2014 სასწავლო წელს ქ. თბილისის 203-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის საპილოტედ შეტანილია დამხმარე ლიტერატურა ქართულ ენაში, ჟესტურ ენასა და მათემატიკაში. განათ-

ლებისა და მეცნიერების სამინისტრო ამერიკის მთავრობის მხარდაჭერით მუშაობს სმენის არმქონე მოსწავლეების სწავლების სტრატეგიაზე, დამხმარე სახელმძღვანელოებზე და ჟესტური ენის განვითარებაზე.

მიუხედავად სამინისტროს მხრიდან გაწეული ძალისხმევისა, ადაპტირებული სახელმძღვანელოების დაბეჭდვა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებზე მორგებული სასწავლო მასალების შემუშავება ერთ-ერთ გამოწვევად რჩება. ამას ადასტურებს განათლების სამინისტროც. სამინისტროს ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველოში აცხადებენ, რომ ადაპტური სახელმძღვანელოების შექმნაზე მუშაობის დასაწყებად 2016 წელს ელოდებიან[5], რათა უკვე ახალ სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით მოხდეს რესურსების შესაბამისი ადაპტირება.

ჟესტების ენის და/ან ბრაილის ანბანის მცოდნე, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პედაგოგების ჩართვა სწავლებისპროცესში ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების საფეხურზე

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმის“ ერთ-ერთ აქტივობად მითითებულია ჟესტების ენის და/ან ბრაილის ანბანის მცოდნე, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პედაგოგების ჩართვა სწავლების პროცესში ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების საფეხურზე.

განათლების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ პროფესიულ სტუდენტთა 2014 წლის საგაზაფხულო მიღების დროს ჩარიცხული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისათვის აყვანილ იქნა ჟესტური ენის თარჯიმანი. ჟესტური ენის თარჯიმანი ახორციელებდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისათვის სასაწავლო პროცესის თარგმნას ჯესტურ ენაზე როგორც მასწავლებლებთან, ისე სტუდენტებთან.

2014 წელს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა შეიმუშავა ტრენინგმოდულები - ჟესტური ენის კურსი - პირველი დონე და ბრაილის სისტემა. ჟესტური ენის კურსი გაიარა 203 სკოლის 24-მა პედაგოგმა, ბრაილის სისტემა კი - 13-მა სპეციალურმა პედაგოგმა. ასევე, რამდენიმე შემთხვევაა, როცა სპეციალიზებული პროფილის სკოლაში ასწავლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პედაგოგი (მაგ., მხედველობის დარღვევის მქონე სკოლაში მხედველობის

5 განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განცხადებით, 2016 წლისთვის სამინისტრო ახალი სახელმძღვანელოების დაბეჭდვას გეგმავს.

დარღვევის მქონე რამდენიმე მასწავლებელი ასწავლის).

როგორც სამინისტროს მიერ მოწოდებული პროგრამული ანგარიშებიდან და ფოკუსჯგუფებიდან მიღებული ინფორმაციიდან ჩანს, სამინისტრო უზრუნველყოფს პროფესიულ სასწავლებლებს ჟესტური ენის თარჯიმნით მათი მომართვის საფუძველზე (ამ დროისთვის პროფესიულ სასწავლებელში 14 თარჯიმანი ემსახურება 27 სტუდენტს).

პროფესიული განათლების სისტემაში ჟესტური ენის თარჯიმნების ჩართვა სისტემური ხასიათისაა. რაც შეეხება ზოგადი განათლების საფეხურს, აღნიშნული მიმართულებით რაიმე თანმიმდევრული და სისტემური აქტივობა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან არ განხორციელებულა.

შეფასების რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ აუცილებელია სკოლებში ჟესტური ენის თარჯიმნებისა და ბრაილის ანბანის მქონე პედაგოგების დასაქმება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სენსორული დარღვევების მქონე მოსწავლეების სათანადო მხარდაჭერა. თუმცა საჯარო სკოლები (გარდა სპეციალიზებული პროფილის სკოლებისა) ამ საკითხების მოგვარებას ვერ ახერხებენ ისევ და ისევ დაფინანსების გაუმართავი მექანიზმის გამო. ის ფინანსური რესურსი, რაც სახელმწიფოს მხრიდან სკოლებში ინკლუზიური განათლებისათვის არის გამოყოფილი, უმრავლეს შემთხვევაში სპეციალური პედაგოგის ან ფსიქოლოგის აყვანას ხმარდება და არ არის მორგებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის საჭიროებებზე მათ შორის სენსორული დარღვევების მქონე მოსწავლეებზე, ჰყავდეთ ჟესტური ენისა და ბრაილის ანბანის მცოდნე პედაგოგები.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა, სტუდენტთა საჭირო საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფა

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციის თანახმად, მხედველობადაქვეითებულ პროფესიულ სტუდენტებს გადაეცათ სპეციალური ტექნიკური აღჭურვილობა, რომელიც მათ მასალის წაკითხვაში ეხმარება.

საჯარო სკოლებში ინტეგრირებული კლასების დაფინანსების ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა 3 ასისტენტ-მძღოლის მომსახურება ეტლით მოსარგებლე და გადაადგილების სირთულის მქონე 3 სტუდენტისათვის; ინკლუზიური განათლების 1 სპეციალისტის მომსახურება ფიზიკური და გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე 1 სტუდენტისათვის; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა 1 ასისტენტის მომსახურება სპეციალური საგანამათლებლო საჭიროების მქონე 8 სტუდენტისათვის; 1 სანიტრის მომსახურება გადაადგილების სირთულის მქონე 1 სტუდენტი-

სათვის; 1 ასისტენტ-მომვლელის მომსახურება ქცევითი აშლილობის მქონე 1 სტუდენტისათვის.

სამინისტროს ინფორმაციით, პროფესიული განათლების სისტემაში ჩართული უსინათლო სტუდენტებისათვის გამოყოფილია მობილობისა და ორიენტაციის ტრენერი, ხოლო ფიზიკური შეზღუდვის მქონე სტუდენტებს ემსახურებათ პირადი ასისტენტი, რომელიც მათ ტრანსპორტირებასაც უზრუნველყოფს. პროცესში ჩართულია ინკლუზიური განათლების 20 სპეციალისტი და სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი, რომელიც სასწავლო პროცესში პედაგოგებს დახმარებას უწევს ინდივიდუალური მიდგომების განხორციელებაში.

საჯარო სკოლებში ინტეგრირებული კლასების დაფინანსების ქვეპროგრამის ფარგლებში 2015 წელს ქვეპროგრამაში ჩართული საჯარო სკოლების მიერ წარმოდგენილი განაცხადების შესაბამისად, სამინისტრომ უზრუნველყო დამატებითი ფინანსების გამოყოფა დამხმარე მასალების, სახელმძღვანელოების, თვალსაჩინოებებისა და საჭირო ავეჯის და/ან ტექნიკის შესაძენად.

ამ მიმართულებით, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმის“ შესრულებაზე შეიძლება ითქვას, რომ სამინისტროს ხელშესახები პროგრესი საგანმანათლებლო რესურსებისა და ადაპტური ტექნოლოგიების უზრუნველყოფის კუთხით მხოლოდ სპეციალიზებულ სკოლებში და პროფესიულ სასწავლებლებში აქვს. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების უმრავლესობა ისევ ადაპტური საგანმანათლებლო რესურსების გარეშე რჩება.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
უმრავლესობა ისევ ადაპტური საგანმანათლებლო
რესურსების გარეშე რჩება.

სკოლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო რესურსების დეფიციტზე საუბრობს შეფასების რესპონდენტების უმრავლესობა. ირინე ობოლაძე, საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტის უფროსი, აცხადებს, რომ ადაპტირებული საგანმანათლებლო რესურსების საკითხი განსაკუთრებით სავალალოა საქართველოს რეგიონებსა და შორეულ სოფლებში.

კითხვაზე: „უზრუნველყოფს თუ არა სამინისტრო საგანმანათლებლო დაწესებულებებს ინკლუზიური განათლებისათვის აუცილებელი საგანმანათლებლო რესურსებით?“ რესპონდენტთა 95% პასუხობს, რომ „არა“, მათ შორის მშობლები, მასწავლებლები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომად-

გენლები. საგანმანათლებლო რესურსების დეფიციტს ადასტურებს არსებული კვლევებიც. როგორც „ინკლუზიური განათლების მაჩვენებლები საქართველოში“ კვლევის ანგარიშშია (ჭინჭარაული, ჯავახიშვილი, 2013) მითითებული, სენსორული დარღვევების მქონე (მხედველობა, სმენა) მოსწავლეებისათვის ბრაილისა და ჟესტური ენის სწავლება ძირითადად სპეციალიზებულ სკოლებშია შესაძლებელი. ამავე ანგარიშის თანახმად, კომუნიკაციისა და აუგმენტური და ალტერნატიული ფორმების სწავლება ამ სკოლებში პილოტირების ეტაპზეა. თუმცა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ადაპტური ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა და შესაბამისი მომზადების მქონე მასწავლებლების საკითხი მოუგვარებელი რჩება (ჭინჭარაული, ჯავახიშვილი, 2013, გვ.13-14).

საგანმანათლებლო რესურსების მხრივ არსებული გამოწვევები ამყარებს იმ ფაქტს, რომ სამოქმედო გეგმაში მითითებული ბევრი აქტივობის განხორციელება ფინანსურად და ადამიანური რესურსით არ არის უზრუნველყოფილი. საბოლოო ჯამში, საგანმანათლებლო რესურსების ნაკლებობა ინკლუზიური განათლების პროცესს აფერხებს და სწავლა-სწავლების პროცესსა და ზოგადად ინკლუზიური განათლების ეფექტურ და ხარისხიან განხორციელებაზე უარყოფითად აისახება.

ჟესტური ენის ტერმინოლოგიური ლექსიკონების შექმნა

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით, სმენის დარღვევის მქონე სტუდენტთათვის ხარისხიანი პროფესიული განათლების უზრუნველყოფისთვის აუცილებლად განისაზღვრა ქართული ჟესტური ენის განვითარების ხელშეწყობა - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლებასთან დაკავშირებული ქართული ჟესტების იდენტიფიცირება, რეგისტრირება და პოტენციურ მომხმარებელთა შორის გავრცელება.

შეიქმნა ქართული ჟესტების რეგისტრაციის ელექტრონული პროგრამა - SignWiki-ის ანალოგი. ექვსი თვის განმავლობაში ვებგვერდზე განთავსდა ჟესტური ენით მოსარგებლე სმენადაქვეითებული პირების მიერ შეგროვებული და ვიდეოფირზე აღბეჭდილი 2,748 ჟესტი, განსაზღვრული 15 პროფესიული პროგრამისთვის.

გამოწვევები:

- სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების ფინანსური უზრუნველყოფის საკითხი.
- ინტეგრირებული კლასების მარეგულირებელი დოკუმენტის შემუშავება.

- სკოლამდელ და ზოგად განათლებას შორის სუსტი კავშირი/ბმა.
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ჩართვა (სისტემურად) სკოლამდელ აღზრდაში.
- სპეციალიზებული პროფილის სკოლებში და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სწავლების მეთოდოლოგიის დახვეწა.
- პროფესიული სასწავლო პროგრამების გამრავალფეროვნება (ისე, რომ მეტი არჩევანი იყოს პროგრამებში) და ხარისხის გაუმჯობესება.
- უწყებათაშორისი კოორდინაცია და თანამშრომლობა პოტენციურ დამსაქმებლებთან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების დასაქმების პერსპექტივის გასაუმჯობესებლად.
- ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი დღის ცენტრების გადატანა განათლების სისტემაში (სკოლებთან ტრანზიციული ფუნქციის შეძენა).
- სკოლას, ოჯახსა და თემს შორის თანამშრომლობისა და კომუნიკაციის გაუმჯობესება.
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და ჟესტური ენისა და ბრაილის მცოდნე პედაგოგების ჩართვის წახალისების მექანიზმების შექმნა.
- ადაპტირებული საგანმანათლებლო რესურსებით ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლებლების უზრუნველყოფა.
- ტიპური განვითარების ბავშვებთან და მშობლებთან ინტენსიური მუშაობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მიმართ მიმღებლობის გაზრდის მიზნით.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების მონიტორინგის მექანიზმის შემუშავება

ინკლუზიურ განათლებაში როგორც შიდა, ისე გარე მონიტორინგის მექანიზმის სისტემის დანერგვა ერთ-ერთ ყველაზე სუსტ რგოლად რჩება.

როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური პროფესიული განათლების პროექტის კოორდინატორი მარიკა ზაქარეიშვილი აღნიშნავს, ერთ-ერთი მცდელობა სამინისტროს მხრიდან მოეხდინა ინკლუზიური განათლების დანერგვის პროცესის და პროგრესის გარე შე-

ფასება იყო 2013 წელს ჩატარებული კვლევა „ინკლუზიური განათლების მაჩვენებლები საქართველოში“. კვლევა ჩატარდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ პროექტის „ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში“. აღნიშნული კვლევის მიზანი იყო ისეთი საკითხების შესწავლა და შეფასება, როგორიცაა ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი საკანონმდებლო ბაზა, ინკლუზიური განათლების პრაქტიკული განხორციელება საჯარო სკოლისა და პროფესიული სასწავლებლის დონეზე, ინკლუზიური განათლების მოდელის განვითარების პერსპექტივა, ინკლუზიური განათლების ბარომეტრის მაჩვენებლების განსაზღვრა, ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული ღირებულებათა სისტემა და ინკლუზიური განათლების მოდელის შესახებ სხვადასხვა მონაწილე მხარეთა მოსაზრებების შედარებითი ანალიზი.

გარდა ამისა, ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველოში აცხადებენ და ამასვე ადასტურებს ასოციაცია „დეას“ აღმასრულებელი დირექტორი მადონა ხარებავა, რომ ასოციაცია „დეა“ ევროკავშირის მხარდაჭერით და სამინისტროსთან თანამშრომლობით მუშაობს ინკლუზიური განათლების მონიტორინგის მოდელზე/ინსტრუმენტზე და ინდიკატორებზე განათლების ყველა საფეხურისთვის, რაც შესაძლებელს გახდის 2016 წლიდან განხორციელდეს ინკლუზიური განათლების მიმდინარეობის ხარისხის შეფასება. სამინისტროს ინფორმაციით, 2015 წლის II კვარტლის ბოლოს დასრულდა ამ მონიტორინგის ინსტრუმენტის შემუშავება, რომელმაც გაიარა პილოტირება სკოლამდელი, ზოგადი განათლების, პროფესიული განათლებისა და უმაღლესი განათლების საფეხურებზე.

ამ ეტაპზე, შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს ერთიანი რეგულაცია ან სტანდარტი, რომელიც სკოლას დაავალდებულებს, შეაფასოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლის შედეგები და პროგრესი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევასთან მიმართებით.

მონიტორინგის ერთ-ერთი მექანიზმი, რომელსაც სამინისტრო იყენებს, არის მულტიდისციპლინური გუნდის წევრების მიერ შეფასებების გაკეთება და გეგმური მონიტორინგი. თუმცა, როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, მომართვიანობა გუნდის მიმართ ძალიან არის გაზრდილი (150-200 ბავშვი თვეში). ამიტომ მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მეორად შეფასებას, გადაფასებას და პროგრესის მონიტორინგს ფრაგმენტული და წერტილოვანი ხასიათი აქვს.

საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა, სტუდენტთა ადრეული იდენტიფიკაციის, შეფასებისა და გადაფასების მექანიზმის დანერგვა სტანდარტიზებული ინსტრუმენტებისა და პროცედურების გამოყენებით

ინკლუზიური განათლების დანერგვისა და განხორციელების პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია სტანდარტიზებული ინსტრუმენტების გამოყენებით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებების შეფასება და იდენტიფიცირება. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით, შესაბამისი მომართვის საფუძველზე მულტიდისციპლინური გუნდის მიერ განხორციელდა ყველა იმ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის შეფასება, რომლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი გამოთქვამდა სურვილს, ბავშვს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ესწავლა.

როგორც ქვემოთ მითითებულ დიაგრამაზე ჩანს, 2014 წლის სექტემბრის ჩათვლით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შემოვიდა 1656 განაცხადი მოსწავლის შესაფასებლად (იხ. დიაგრამა 4).

დიაგრამა 4



წყარო: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2015

- 2015 წელს (პირველ და მეორე კვარტალში) ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის წევრების მიერ სკოლების მოთხოვნისა და მშობლის მომართვის საფუძველზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადგენის მიზნით განხორციელდა შეფასებები, რის შედეგადაც 1047 მოსწავლეს დაუდგინდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება.
- 2014-2015 წლებში ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის მიღების მიზნით მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შეფასდა 34 აბიტურიენტი.
- 2014-2015 წლებში სკოლის გამოსაშვებ გამოცდებში მონაწილეობის მიღების მიზნით მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შეფასდა 401 მოსწავლე.
- სპეციალიზებულ სკოლა-პანსიონებში ჩარიცხვის მიზნით მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შეფასდა 209 მოსწავლე, აქედან 77 ჩაირიცხა

სკოლა-პანსიონში, ხოლო დანარჩენმა სწავლა გააგრძელა სხვადასხვა საჯარო სკოლაში.

პროფესიულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადგენის მიზნით განხორციელდა პროფესიულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის მსურველი 65 პირის შეფასება, რომელთაგან 46 პირს აღმოაჩნდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება.

2013 წელს პროექტის „ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს ცხრა რეგიონის საჯარო სკოლებში“ ფარგლებში (რომელიც ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით ხორციელდება), აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და ორგანიზაცია „გადავარჩინოთ ბავშვების“ მხარდაჭერით და გამოცდების ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით განათლების სამინისტრომ შეფასების 3 ინსტრუმენტის ადაპტირება და სტანდარტიზაცია მოახდინა (ქართულ ნორმებზე მორგებით) – ბავშვთა ემოციური დარღვევების შეფასების მეთოდი (EDDT), Viland-ის ადაპტური ქცევის სკალა და ფართო პროფილისა და ადაპტური უნარების ტესტი WRAT-4 ეს არის ნორმაზე დაფუძნებული ტესტი, რომელიც ზომავს ძირითად აკადემიურ უნარებს - კითხვას, წერას, წინადადების გაგებას და მათემატიკურ გამოთვლებს). როგორც ორგანიზაცია „გადავარჩინოთ ბავშვების“ წარმომადგენლობის დირექტორი ნათია დეისაძე აღნიშნავს, ინსტრუმენტების ადაპტირება გამოცდების ეროვნული ცენტრის ექსპერტების მიერ მოხდა სტანდარტიზაციის ყველა წესის სრული დაცვით და ინსტრუმენტის ქართულ პოპულაციაზე მორგებით.

როგორც სამინისტროში აცხადებენ, ეს ინსტრუმენტები პედაგოგს, მშობელს და სკოლას არსებული მდგომარეობის ზუსტ სურათს უჩვენებს – როგორ და რა სახით მოხდეს ინტერვენცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სწავლა-სწავლების პროცესში ხელშესახები შედეგის მისაღებად.

ინკლუზიური განათლების ექსპერტები ცალსახად აღნიშნავენ, რომ ფსიქომეტრული ტესტების/ინსტრუმენტების გამოყენება ძალიან რთულია და დიდ პროფესიონალიზმსა და კომპეტენციას მოითხოვს. ამიტომ, ზემოაღნიშნული ინსტრუმენტების სტანდარტიზაციის პარალელურად, გაიწერა ის კომპეტენციები, რომელსაც ინსტრუმენტების გამოსაყენებლად შემფასებელი უნდა აკმაყოფილებდეს. როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, დარგის კვალიფიციური სპეციალისტების დეფიციტის გამო ამ ინსტრუმენტების სრული მასშტაბით გამოყენებას საქართველოში კიდევ დიდი დრო დასჭირდება. ამჟამად კი ამ ინსტრუმენტებს მხოლოდ მულტიდისციპლინური გუნდის წევრები იყენებენ. განათლების სამინისტროს ინფორმაციით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების იდენტიფიცირების, შეფასე-

ბის ინსტრუმენტის გამოყენებისა და ინტერპრეტირების უფლების მისაღებად ჩატარებულია კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგი მულტიდისციპლინური გუნდის წევრებისათვის.

გარდა ზემოაღნიშნული ინსტრუმენტებისა, მაკლეინის ასოციაცია მუშაობს ინტელექტის საზომ ინსტრუმენტზე (ვერბალურ ტესტზე - TONI-4), რომელიც ზომავს აბსტრაქტულ აზროვნებას და პრობლემის გადაჭრის უნარს. როგორც მაკლეინის ასოციაციაში აცხადებენ, ინტელექტის საზომ სხვა ტესტებთან შედარებით, ამ ტესტის უპირატესობა ის არის, რომ ტესტი ენობრივი ბარიერისა და ზოგადად, მეტყველების კომპონენტებისგან თავისუფალია, აქვს არავერბალური ინსტრუქციებიც, გამოიყენება მოტორული პრობლემების მქონე პირებთანაც, ტესტის არავერბალური შინაარსი შეიცავს მხოლოდ გეომეტრიულ ფიგურებს, ტესტი თავისუფალია კულტურული გავლენებისგან და რაც ასევე მნიშვნელოვანია, საკმაოდ ხანმოკლეა და საშუალოდ 15 წუთს გრძელდება. ასოციაციაში აღნიშნავენ, რომ ამ უპირატესობების გამო TONI-4 შეფასების კარგი ინსტრუმენტია იმ ადამიანებისთვის, რომელთაც აქვთ ტვინის დაზიანება ტრავმის შედეგად, ან აქვთ ინტელექტუალური სფეროს განვითარების დარღვევები, აუტისტური სპექტრი, მოტორული პრობლემები, სენსორული დეფიციტები (მაკლეინის ასოციაცია, 2015).

ზემოაღნიშნული ინსტრუმენტების არსებობა ცალსახად შეიძლება შეფასდეს, როგორც განათლების სამინისტროს მიერ წინგადადგმული ნაბიჯი. თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელია ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელება, რათა მოხდეს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისთვის მორგებული კიდევ უფრო მეტი ინსტრუმენტის სტანდარტიზაცია და შესაძლებელი გახდეს თითოეული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის შეფასება კომპლექსურად და სხვადასხვა ასპექტის გათვალისწინებით.

ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში ჩართულ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა მონაცემთა ბაზების წარმოება

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტივობა, რომელსაც „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა“ ისახავს, არის საგანმანათლებლო სისტემაში ჩართულ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა მონაცემთა ბაზის წარმოება.

დღეს ზოგადი განათლების საფეხურზე ჩართულ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა მონაცემებს აგროვებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების მართვის ერთიანი სისტემა (EMIS).

პროფესიული განათლების საფეხურზე ჩართული პირების მონაცემების წარმოების უზრუნველყოფა ხდება „ინკლუზიური განათლების განვითარება საქართველოს პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში“ პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით. უმაღლესი განათლების საფეხურზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების ზუსტი რაოდენობის შესახებ სტატისტიკა ხელმისაწვდომი არ არის.

უფრო კონკრეტულად, ზოგადი განათლების საფეხურზე EMIS-ი აგროვებს ინფორმაციას საქართველოს სკოლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების რაოდენობის შესახებ კლასების მიხედვით (მონაცემების კატეგორიზაცია შესაძლებელია გოგო-ბიჭის მიხედვით). სხვა მონაცემი და ერთიანი ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებზე EMIS-ს არ გააჩნია (მაგ., ბაზებში არ ჩანს, რა ტიპის საგანმანათლებლო საჭიროებები აქვს მოსწავლეს, არ არსებობს ზუსტი მონაცემები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა შორის რამდენია შეზღუდული შესაძლებლობის, რა ტიპის დარღვევა და შეზღუდულობა აქვს ამა თუ იმ მოსწავლეს (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტატუსის შემთხვევაში), ინდივიდუალური გეგმა, შეფასება და დასკვნები). ასევე სამინისტრო არ ფლობს ინფორმაციას იმაზე, რამდენი მოსწავლე დადის რეალურად სკოლაში (რესპონდენტების აზრით, ძალიან ხშირად სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე სკოლაში ირიცხება, მაგრამ არ დადის და გაცდენის ძალიან მაღალი მაჩვენებელი აქვს), რა არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სკოლიდან განთესვის (drop-out rate) მაჩვენებელი.

ასეთი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად 2015 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ახალი საინფორმაციო სისტემა („eSchool“), რომელიც ხელს უწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების განათლების მონიტორინგის მექანიზმის ფუნქციონირებას ზოგადი განათლების სფეროში. სისტემის დანერგვის პირველ ეტაპზე, მოსწავლეთა კონტინგენტის ორგანიზების მოდულის ფარგლებში, შესაძლებელია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ელექტრონული პირადი საქმეების წარმოება, რომელშიც ფიქსირდება მოსწავლის მონაცემები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის მობილობის პროცესის კონტროლს. სისტემის მეორე რიგის დანერგვის შემდეგ, რომელიც ითვალისწინებს ელექტრონული ჟურნალის ფუნქციონირებას, შესაძლებელი იქნება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლის მიმდინარე და საბოლოო შედეგების მონიტორინგი.

ინფორმაციის ასახვა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების

მქონე სტუდენტების შესახებ შესაძლებელია აგრეთვე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საინფორმაციო სისტემაში („eVet“). სისტემაში აისახება, როგორც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის პირადი მონაცემები, ისე ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ, საგანმანათლებლო პროგრამის მიმართულება, დარგი, სპეციალიზაცია, ფიქსირდება მონაცემები სწავლის დაწყებისა და დასრულების თაობაზე. სისტემა იძლევა შესაძლებლობას, აისახოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადაპტირების შესახებ მონაცემები, მაგალითად, როგორიცაა: პანდუსი, ლიფტი, ადაპტირებული ავეჯი, ადაპტირებული ხელსაწყოები, ადაპტირებული სველი წერტილი, ადაპტირებული ეზო და ადაპტირებული გარე სახელოსნოს მისაწვდომობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში აცხადებენ, რომ 2016 წლიდან იწყებენ მონაცემთა ბაზის უფრო კომპლექსურ წარმოებას EMIS-თან თანამშრომლობით.

აღსანიშნავია, რომ განათლების სამინისტრომ დაიწყო პროგრამაც „განათლების მეორე შესაძლებლობა“, რომლის ფარგლებში იგეგმება ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ 2 დღის ცენტრში შესვლა და ბავშვების სკოლებში ტრანზიცია.

> იმისათვის, რომ სამინისტრომ საჭიროებებზე დაფუძნებული სხვადასხვა სერვისი შესთავაზოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს, აუცილებელია, ჰქონდეს ერთიანი სურათი და სტატისტიკური ინფორმაცია თითოეულ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეზე.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა მონაცემთა ბაზის წარმოების საკითხის განხილვისას უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების გარკვეული ნაწილი (ზუსტი სტატისტიკის მოპოვება არ გახდა შესაძლებელი) სახლებში რჩება და ისინი არ არიან ასახულნი ზემოაღნიშნულ მონაცემთა ბაზებში.

ამ ეტაპზე, რაც განათლების სამინისტროს მხრიდან კეთდება აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად, არის ის, რომ გარდამავალ ეტაპზე შემუშავებულია სკოლის მიღმა დარჩენილ ან დარჩენის მაღალი რისკის მქონე ბავშვთა იდენტიფიკაციისა და მათ შესახებ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ბაზებში ინფორმაციის ასახვისა და მონიტორინგის ჩარჩო. გარდა ამისა, განათლების სამინისტროს ინფორმაციით, სხვადასხვა სა-

ხელმწიფო უწყებაში (შინაგან საქმეთა სამინისტროში, ჯანდაცვის სამინისტროში, საჯარო რეესტრში, ადგილობრივ თვითმმართველობებში) დაგზავნილია წერილები მოთხოვნით, რათა შედგეს ჯგუფი, ხელი მოეწეროს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, მოხდეს მონაცემთა ბაზების ქროს–სექტორული შედარება, შეიქმნას ერთიანი ბაზა ან გაკეთდეს ისე, რომ განათლების სამინისტროს ჰქონდეს წვდომა სხვადასხვა უწყების მონაცემთა ბაზებზე.

> გაეროს ბავშთა ფონდის საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი მაია ყუფარაძე აცხადებს, რომ განათლების სამინისტროს ერთიანი მაჩვენებელი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების შესახებ არ აქვს. „თუ არ ვიცით ინკლუზიურ განათლებაში ჩართული ბავშვების რაოდენობა რა პროცენტია იმ ბავშვების მთლიანი რაოდენობის, რომლებიც სასკოლო ასაკის არიან, შეუძლებელია პრობლემის მასშტაბურობა შევაფასოთ“.

ფაქტია, რომ ჯერჯერობით განათლების სამინისტრო მხოლოდ იმ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებზე ფლობს ინფორმაციას, რომლებიც სკოლაში ირიცხებიან. „სისტემა არ ეძებს და ვერ ხედავს ბავშვს მანამდე, სანამ ბავშვი თვითონ არ მოვა სკოლაში და კარზე არ დააკაკუნებს“, აცხადებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინკლუზიის პოლიტიკის ექსპერტი, მაგული შაღაშვილი. ქვეყანაში არ არსებობს სტატისტიკური მონაცემი, თუ რამდენი ბავშვია (ბავშვები, რომლებიც სასკოლო ასაკის არიან, მაგრამ სკოლაში არ დადიან) ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილი.

ამ ბავშვებს რესპონდენტები „უხილავ“ ბავშვებს უწოდებენ და ამბობენ, ეს ბავშვები ხშირად სახლებში არიან გამოკეტილები, არიან გაუცხოებულები და იზოლირებულები საზოგადოებისგან და არ აქვთ არანაირი შესაძლებლობა, მოახდინონ თავიანთი უნარების რეალიზება. ამ პრობლემის მოსაგვარებლად საჭიროა პოლიტიკური ნების გამოვლენა და სახელმწიფო უწყებებს შორის თანამშრომლობა გააქტიურება, რათა შეიქმნას ერთიანი სისტემა, რომელიც ბავშვს დაბადებიდან დაწყებული განათლების ყველა საფეხურზე მიჰყვება. ასევე მნიშვნელოვანია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების ფუნქციური შეფასება და შეფასების შედეგად, ინფორმაციის შესაბამის ბაზებში განთავსება.

საჯარო სკოლის მასწავლებლების კვალიფიკაციის ზრდა ინკლუზიური განათლების მიმართულებით

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლო-

ბების უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ინკლუზიური განათლების მიმართულებით მასწავლებლების პროფესიული განვითარება.

ინკლუზიური განათლების მიმართულებით საჯარო სკოლების მასწავლებლების კვალიფიკაციის გაზრდის მიზნით მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა 2013-2014 წლებში სხვადასხვა ინიციატივა განახორციელა.

შემუშავდა 20-საათიანი ტრენინგმოდული - „სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთა ინტეგრაცია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში“. მოდული განკუთვნილია ზოგადი განათლების პედაგოგების, ფსიქოლოგებისა და სხვა სპეციალისტებისთვის, მოიცავს ინფორმაციას ინკლუზიური განათლების ზოგად პრინციპებზე და მონაწილეებს ასწავლის სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთა სწავლებისა და კლასში ინტეგრაციის სტრატეგიებს. 2014 წელს 1300-მდე სპეციალისტმა (სკოლის პედაგოგმა, ფსიქოლოგმა, ინკლუზიური განათლების სპეციალისტებმა) გაიარა ტრენინგი „სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლის ინტეგრაცია ზოგადსაგანმანათლებლო კლასში“ (ტრენინგი ჩატარდა 70 სკოლაში).

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა შეიმუშავა 8 კრედიტიანი შესავალი კურსი სპეციალურ პედაგოგიკაში (120 საკონტაქტო საათი თეორიული და პრაქტიკული ნაწილი და ასევე, ინდივიდუალური კონსულტირება თითოეული მონაწილისთვის). 295-მა სპეციალისტმა გაიარა სპეციალური პედაგოგიკის გრძელვადიანი კურსი და მათზე გაიცა კურსის წარმატებით დასრულების დამადასტურებელი სერტიფიკატი.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა შეიმუშავა ასევე ინდივიდუალური კონსულტირების (მომართვის) პროგრამა, რომელიც განკუთვნილია საჯარო სკოლის ნებისმიერი სპეციალისტისთვის, რომელიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან მუშაობს. პროგრამა უზრუნველყოფს ინდივიდუალურ მხარდაჭერას/კონსულტირებას კონკრეტული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლის/ქვეცის სირთულეებთან დაკავშირებით. კონსულტირება 2014 წელს გაიარა საჯარო სკოლების 50-მდე პედაგოგმა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტმა.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა შეიმუშავა ოთხი მოკლევადიანი კურსი სპეციალურ პედაგოგიკაში.

ბრაილის სისტემა და მისი სწავლების მეთოდიკა	აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე მოსწავლეთა სწავლება
• კურსის ხანგრძლივობა: 54 საკონტაქტო საათი • სამიზნე ჯგუფი: ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, ზოგადი განათლების მასწავლებელი/დამრიგებელი, რომელიც ასწავლის უსინათლო მოსწავლეს	• კურსის ხანგრძლივობა: 48 საკონტაქტო საათი • სამიზნე ჯგუფი: ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, ზოგადი განათლების მასწავლებელი/დამრიგებელი, რომელიც ასწავლის მოსწავლეს აუტისტური სპექტრით
ჟესტური ენა (პირველი დონე)	**რთული ქცევის მართვა**
• ხანგრძლივობა: 60 საკონტაქტო საათი • სამიზნე ჯგუფი: ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, ზოგადი განათლების მასწავლებელი/დამრიგებელი, რომელიც ასწავლის სმენის დარღვევის მქონე მოსწავლეს.	• ხანგრძლივობა: 44 საკონტაქტო საათი • სამიზნე ჯგუფი: ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პედაგოგი, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი; ადმინისტრაციის წარმომადგენელი, სკოლის პანსიონური განყოფილების წარმომადგენელი (ძიძა, აღმზრდელი).

2014 წელს ჩატარდა კურსების პილოტირება. პილოტირებაში მონაწილეობა მიიღო 85-მა სპეციალისტმა.

შემუშავდა და პილოტირება გაიარა მოდულმა „ინკლუზიური განათლება სკოლის ადმინისტრაციისთვის და რესურსცენტრებისთვის“. მოდული ადმინისტრაციის წარმომადგენლებს აწვდის ინფორმაციას ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპების შესახებ და ასწავლის ინკლუზიური სკოლის განვითარებისა და შეფასების სტრატეგიებს. პილოტირებაში მონაწილეობა მიიღო სკოლის 15-მა დირექტორმა.

შემუშავდა და ჩატარდა ტრენინგმოდული („ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისთვის წერა-კითხვის სწავლება“) ორგანიზაცია World Vision საქართველოს დაკვეთით. ტრენინგმოდული გაიარა დღის ცენტრების 20-მა პედაგოგმა.

განათლების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2015 წელს ინკლუზიური განათლების 100-მდე პედაგოგი გადის კურსს სპეციალურ პედაგოგიკაში თბილისსა და რეგიონებში.

საგნის მასწავლებლებმა, რომლებსაც გავლილი აქვთ მასწავლებლის

პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული პროფესიული უნარების გადამზადების სატრენინგო მოდული, გაიარეს ასევე თეორიები ინკლუზიური განათლების მიმართულებით. სკოლა-პანსიონის ყველა პედაგოგს, სპეცმასწავლებლებს გავლილი აქვთ სპეციალური მომზადება ამ მიმართულებით.

2014 წელს ილიას სახელობის უნივერსიტეტში პირველად გაიხსნა სპეციალური მასწავლებლის სამაგისტრო პროგრამა.

მიუხედავად ზემოაღნიშნული ძალისხმევისა, ის ფაქტი, რომ ზოგადი განათლების პედაგოგებს ინკლუზიურ სწავლებაში პროფესიული განვითარების მეტი შესაძლებლობები სჭირდებათ, ადასტურებენ როგორც არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, ისე შეფასების ფოკუსჯგუფის მონაწილეები (საგნის მასწავლებელთა ჯგუფის შეხვედრა).

მასწავლებელთა მთლიანი კოჰორტის დაახლოებით 6%-ს აქვს გავლილი მოკლევადიანი ტრენინგი ინკლუზიურ სწავლებაში.

საგნის მასწავლებლების ფოკუსჯგუფის მონაწილეთა უმრავლესობა (90%) თვლის, რომ მისი კომპეტენცია და ცოდნა არ არის საკმარისი იმისთვის, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ეფექტური სწავლება უზრუნველყოს. მიუთითებენ იმას, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ჩართვა კლასში გარკვეულ დაბნეულობას იწვევს სწავლების პროცესში და ხელს უშლის ეფექტურ სწავლებას. ასევე, საგნის პედაგოგები აღნიშნავენ, რომ გარკვეულ შედეგს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლების მხრივ მიაღწიეს იმის ხარჯზე, რომ მათი ნაწილი თვითგანვითარებაზეა ორიენტირებული და იყენებენ და ეცნობიან იმ წიგნებსა და გზამკლევებს, რომლებსაც სამინისტრო აწვდის.

აღსანიშნავია, რომ მასწავლებლების ნეგატიური დამოკიდებულება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მიმართ პირდაპირ კავშირშია მოსწავლის შეზღუდულობის ფორმასა და სიმძიმესთან. საგნის მასწავლებლები განსაკუთრებით სკეპტიკურად უდგებიან ქცევითი დარღვევისა და ინტელექტუალური დარღვევის მქონე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ჩართვის საკითხს ჩვეულებრივ საკლასო გარემოში. მიუთითებენ იმასაც, რომ ტრენინგები, სადაც ინკლუზიის საკითხი გამჭოლია (ინტეგრირებულია), არასაკმარისია და აუცილებელია, მათთვისაც ჩატარდეს ისეთი ტიპის ტრენინგები, რომელიც კონკრეტული იქნება და უფრო დეტალურად მიმოიხილავს ინკლუზიური განათ-

ლების სტრატეგიებსა და მეთოდებს.

კითხვაზე: „რამდენად ხშირად აძლევთ უკუკავშირს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მშობლებს?“ მასწავლებლები პასუხობენ, რომ წელიწადში ორჯერ აქვთ სავალდებულო შეხვედრა მშობლებთან. ზოგადად, უკუკავშირის სიხშირე დამოკიდებულია მშობლის მოთხოვნასა და ძალისხმევაზე. „როცა მშობლის მხარდაჭერა არ არის, მაშინ ფაქტიურად ვერ გავდივართ შედეგზე“ - აღნიშნავენ მასწავლებლები. ასევე, ფოკუსჯგუფის დროს მასწავლებლების მხრიდან გამოიკვეთა ისეთი პრობლემები, როგორიცაა მოსწავლის შეფასება, მშობლების მხრიდან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სტატუსის აღიარება და ტიპური განვითარების მქონე ბავშვების მშობლების მხრიდან დაბალი მიმღებლობა და ნეგატიური დამოკიდებულებები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მიმართ.

მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში პრობლემა არა მხოლოდ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლების სტრატეგიების არცოდნაა, არამედ ის ფაქტი, რომ ზოგადად მასწავლებლების კვალიფიკაციის დონე ძალიან დაბალია. ამას უსვამს ხაზს ინკლუზიური განათლების ექსპერტი ანა ლაღიძე, რომელიც აღნიშნავს, რომ ტრენინგებში მონაწილე მასწავლებლების კოჰორტის ზოგადი დონე დაბალია. „თუ ჩვენ გვეყოლება კვალიფიციური და მოტივირებული მასწავლებლები, რომელთაც იციან გაკვეთილის დაგეგმვა, სწავლის მეთოდები, გარემოს მოწყობა, დიფერენცირებული სტრატეგიები, მაშინ მათთვის ინკლუზიური განათლების პრინციპების სწავლება ძალიან მარტივი იქნება“.

მიუხედავად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ძალისხმევისა, მასწავლებელთა უმრავლესობას ინკლუზიურ სწავლებაში არანაირი ტრენინგი არ აქვს გავლილი. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (GeoStat 2015) მონაცემის თანახმად, საქართველოში მასწავლებლების რაოდენობა 67,394-ს შეადგენს. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, დღემდე დაახლოებით 4000 მასწავლებელს აქვს გავლილი ტრენინგი ინკლუზიურ განათლებაში.

მასშტაბების გათვალისწინებით, ამ პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია, სახელმწიფომ პირველ რიგში დამატებითი რესურსები გამოყოს, შეიმუშაოს როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი სტრატეგია და ჩანაცვლების სისტემა, ასევე მასწავლებლების შემდგომი მხარდაჭერისა და წახალისების მექანიზმი, რათა მასწავლებლების კვალიფიკაციის დონე თანმიმდევრულად და ეტაპობრივად გაზარდოს.

სპეციალური პედაგოგებისა და სხვა დამხმარე სპეციალისტების ჩართვა ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული განათლების სისტემაში

როგორც უკვე აღინიშნა, ერთ-ერთი უმთავრესი ძალისხმევა 2013-2015 წლებში, რაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის კუთხით სახელმწიფოს მხრიდან განხორციელდა, იყო სპეციალური პედაგოგებისა და სხვა დამხმარე სპეციალისტების ჩართვა ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული განათლების სისტემაში. დღეს ყველა სკოლაში, სადაც თუნდაც ერთი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეა, არსებობს სპეციალური პედაგოგი, რომელიც ხელს უწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლის პროცესში ჩართულობას.

2013 წლიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს ქვეპროგრამას „ინკლუზიური განათლების დანერგვის ხელშეწყობა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში“, რომლის ფარგლებშიც საჭიროების შესაბამისად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა საგანმანათლებლო პროცესში ინტეგრირების ხელშეწყობის მიზნით დამატებით ხდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ადამიანური და მატერიალური რესურსით უზრუნველყოფა. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს საშტატო განრიგით აქვთ განსაზღვრული ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ასისტენტების შტატი, ამ სპეციალისტების რეკომენდაციების საფუძველზე ხორციელდება სასწავლო გარემოს ორგანიზება და სასწავლო პროცესის დაგეგმვა-განხორციელება.

განათლების სამინისტროს ინფორმაციით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტუდენტების პროფესიული განათლების პროცესში ჩართულია 20 ინკლუზიური განათლების სპეციალისტი და სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი, რომლებიც დახმარებას უწევენ პედაგოგებს საგანმანათლებლო პროცესში ინდივიდუალური მიდგომების განხორციელებაში. პროფესიული განათლების საფეხურზე უსინათლო სტუდენტებისათვის გამოყოფილია მობილობისა და ორიენტაციის ტრენერი, ხოლო ფიზიკური შეზღუდვის მქონე სტუდენტებს ემსახურებიან პირადი ასისტენტები, რომლებიც სტუდენტების ტრანსპორტირებასაც უზრუნველყოფენ.

ინკლუზიური განათლების სპეციალისტებთან ფოკუსჯგუფის შეხვედრის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სპეციპედაგოგებისა და ფსიქოლოგების დამოკიდებულება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოს-

წავლის მიმართ ბევრად პოზიტიურია, თუ შევადარებთ ზოგადი განათლების მასწავლებლების ჯგუფის შეხვედრის მონაცემებს. მაგ., კითხვაზე: „როგორ ფიქრობთ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის განცალკევებას და იზოლირებას ცუდი გავლენა ექნება მის აკადემიურ და სოციალურ განვითარებაზე?“ - ყველა მონაწილე პასუხობს, რომ „დიახ“. ასევე, სპეცმასწავლებლების აზრით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე აკადემიურ და სოციალურ უნარებს ჩვეულებრივ კლასში უკეთ განავითარებს, ვიდრე სპეციალურ კლასში. მათი აზრით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის კლასში ყოფნა დადებითად აისახება სხვა მოსწავლეებზე. მიუთითებენ იმაზეც, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან პირდაპირი ინტერაქციის შედეგად კლასელებს ბევრად უფრო ღია დამოკიდებულება და მიმღებლობა აქვთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მიმართ, ვიდრე მათ მშობლებსა და მასწავლებლებს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საგნის მასწავლებლები და მშობლები სპეცმასწავლებლების როლს ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ და ფიქრობენ, რომ მათ გარეშე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლა-სწავლების პროცესი შეუძლებელი იქნებოდა.

სპეციალური პედაგოგების საგანმანათლებლო სისტემაში ჩართვის ეფექტურობის შეფასებისას, აუცილებელია, განვიხილოთ სპეცმასწავლებლებთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხი და ხარვეზი, რომლებიც აუცილებლად განათლების სამინისტროს მხრიდან გადახედვას და გამოსწორებას საჭიროებს.

პირველ რიგშიუნდა აღინიშნოს, რომ ორგანიზაცია „გადავარჩინოთ ბავშვების“ ტექნიკური დახმარებით 2010 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშავა და დაამტკიცა სპეციალური მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი. სტანდარტის თანახმად, სპეცმასწავლებელი ჩართულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სასწავლო გარემოს მოწყობაში, შეფასებაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში, პასუხისმგებელია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან ინდივიდუალურ მუშაობაზე, საბაზო აკადემიური და სოციალური უნარების განვითარებაზე. სტანდარტის თანახმად, სპეციალური მასწავლებლების პროფესიული ცოდნა და უნარ-ჩვევები საკმაოდ ფართო და მრავალმხრივია. მიუხედავად ამისა, დღევანდელი მდგომარეობით, სპეციალური მასწავლებელი შეიძლება გახდეს უმაღლესი განათლების მქონე ნებისმიერი ადამიანი, რომელიც წარმატებით გაივლის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების 8-კრედიტიან ტრენინგს - შესავალ კურსს სპეციალურ პედაგოგიკაში (120 საკონტაქტო საათი თეორიული და პრაქტიკული

ნაწილი და ასევე ინდივიდუალური კონსულტირება თითოეული მონაწილისთვის). კურსი განკუთვნილია ინკლუზიური განათლების სპეციალისტებისთვის და მათ მინიმალურ ბაზისურ ცოდნას და უნარებს აძლევს სპეციალური პედაგოგიკის შესახებ. როგორც ინკლუზიური განათლების სპეციალისტები, ისე უშუალოდ სპეცმასწავლებლები აღნიშნავენ, რომ პროგრამა ძალიან კარგი და პრაქტიკულია, მაგრამ მისი ხანგრძლივობა საკმარისი არ არის. ეს ტრენინგი არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ სპეცმასწავლებლები ზემოაღნიშნული სტანდარტის შესაბამისად იყვნენ მომზადებული.

მეორე საკითხი, რომელიც აღნიშვნის ღირსია, არის ის, რომ სპეციალურ პედაგოგებს მას შემდეგ, რაც მოქმედი მასწავლებლები ხდებიან, არა აქვთ სათანადო შემდგომი მხარდაჭერა და დამატებითი პროფესიული ზრდისა და განვითარების შესაძლებლობა.

> მას შემდეგ ,რაც მოქმედი სპეციალური მასწავლებლები ხდებიან (in-service), არა აქვთ სათანადო შემდგომი მხარდაჭერა და დამატებითი პროფესიული ზრდის შესაძლებლობა.

ერთადერთი შემდგომი მხარდაჭერის შესაძლებლობა, რაც ფოკუსჯგუფის შეხვედრის დროს რესპონდენტებმა აღნიშნეს, არის ინკლუზიური განათლების საზაფხულო სკოლა, რომელსაც დადებითად აფასებენ.

ერთ-ერთი საკითხი, რომელიც სპეცმასწავლებლების მხრიდან ასევე დაისვა, იყო მათი როლის გაუაზრებლობა საგნის მასწავლებლების მიერ.

> „როცა ჩვენ მივდივართ სკოლაში, საგნის მასწავლებლებს უხარიათ; ფიქრობენ, რომ რახან სპეცპედაგოგი აიყვანეს სკოლაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის პრობლემებს ის მიხედავს. თუმცა ხშირად უკმაყოფილებას გამოთქვამენ, როცა იგებენ, რომ ჩვენი მისვლით მათ, პირიქით, საქმე ემატებათ და მეტი ძალისხმევის გაწევა მოუწევთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლებასთან დაკავშირებით“ - სპეც. პედაგოგების ფოკუსჯგუფი

ეს რეალობა კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ რაც შეიძლება სწრაფად უნდა დამტკიცდეს ინკლუზიური განათლების მარეგულირებელი დოკუმენტი და ყველამ, მათ შორის სკოლის ადმინისტრაციამ, სპეც. პედაგოგებმა, საგნის მასწავლებლებმა, მშობლებმა, კარგად უნდა გაიაზროს თავისი როლი და ვალდებულებები ინკლუზიური განათლების განხორციელების პროცესში.

სპეციალურ მასწავლებლებზე ლაპარაკისას, აუცილებელია, აღვნიშნოთ მათი სტატუსის საკითხიც. ზოგადი განათლების შესახებ კანონში (21-ე მუხლი, „ე“ ქვეპუნქტი) სპეციალური მასწავლებელი განმარტებულია შემდეგნაირად: **„მასწავლებელი,** რომელსაც აქვს საჭირო კვალიფიკაცია იმისათვის, რომ ასწავლოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს და ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო პროცესში მის ჩართვას“.

ერთ-ერთი ყველაზე მწვავე საკითხი ის არის, რომ სპეციალური პედაგოგი დღეს სკოლის ადმინისტრაციის ნაწილია (რაც კანონთან წინააღმდეგობაში მოდის) და არა მასწავლებელი.

„ხშირად გვაქვს შეგრძნება, რომ ჩვენ ტექნიკური პერსონალი ვართ“ – აცხადებენ სპეციპედაგოგების ფოკუსჯგუფის მონაწილეები. იქვე იმასაც აღნიშნავენ, რომ დისკრიმინირებულად გრძნობენ თავს და მაგალითისთვის მოჰყავთ ის ფაქტი, რომ მათი საშვებულებო პერიოდი 24 დღეა, რაც ორჯერ ნაკლებია სხვა მასწავლებლის შვებულებასთან შედარებით. ეს კი იმ ფონზე, როცა მათი ხელფასი მასწავლებლის საშუალო ხელფასს მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება (სპეციპედაგოგის საშუალო ხელფასი 280 ლარია (net).

ზემოაღნიშნულ ვითარებას ისიც ამწვავებს, რომ 2015 წლის 19 თებერვალს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა“. სქემის ამოცანაა მასწავლებლის მომზადების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ინტეგრირებული სისტემის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიის პრესტიჟის ზრდას, საუკეთესო ახალი კადრების მოზიდვას, არსებული პედაგოგების კვალიფიკაციისა და მოტივაციის ამაღლებას. ამ სქემაში სპეციალური მასწავლებელი საერთოდ არ არის გათვალისწინებული და მოაზრებული.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ახალ სქემაში სპეციალური მასწავლებელი საერთოდ არ არის გათვალისწინებული და მოაზრებული.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ სპეციალურ მასწავლებელს არ აქვს მოტივაცია (როგორც მონეტარული, ისე არამონეტარული), დარჩეს სკოლაში. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ სპეციალური მასწავლებლების გადინება საკმაოდ მაღალია (ზუსტი სტატისტიკა ხელმისაწვდომი არ არის და ეს დასკვნა შეფასების რესპონდენტებისგან მიღებულ ინფორმაციას ეყრდნობა).

„ერთადერთი, რის გამოც ვრჩები სპეცმასწავლებ-

ლად, არის ჩემი შვილი, რომელიც იმავე სკოლაში სწავლობს, სადაც ვასწავლი“. - ლია ტაბატაძე, სპეციალური მასწავლებელი და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მშობელი

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმის“ ამ ნაწილის ეფექტურობის შეფასებისას, ასევე აუცილებელია, აღინიშნოს სპეციალური მასწავლებლების რაოდენობის საკითხიც. სპეციალური მასწავლებლების არასაკმარის რაოდენობაზე ლაპარაკობს ყველა რესპონდენტი – მასწავლებლები, სპეცპედაგოგები და სხვა დაინტერესებული პირები. 23 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ზევით სკოლა დამატებით თანხას არ იღებს, ანუ ერთ სკოლას შეიძლება მაქსიმუმ 4 სპეცპედაგოგი ჰყავდეს. მაგალითად, ფოკუსჯგუფის მონაწილე სპეცპედაგოგი აღნიშნავს, რომ მის სკოლაში 34 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეა და ფაქტობრივად შეუძლებელია ბავშვებთან ინდივიდუალური მუშაობა. მშობლები სპეციალური მასწავლებლის როლს დადებითად აფასებენ, მაგრამ იქვე აკონკრეტებენ, რომ მათი რაოდენობა საკმარისი არ არის და ხშირად სპეციალური მასწავლებელი მათ შვილებს სათანადო დახმარებას ვერ უწევს.

ერთ-ერთი კრიტიკული საკითხი, რომელიც ასევე შეფასებისას გამოიკვეთა, არის სკოლაში ინკლუზიური განათლების ასისტენტების არარსებობა (პროფესიული განათლების საფეხურზე სამინისტრომ უზრუნველყო ასისტენტების დაქირავება). როგორც შეფასების რესპონდენტები აღნიშნავენ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს ხშირ შემთხვევაში სჭირდებათ ასისტენტი - ადამიანი, რომელიც მათ დახმარებას გაუწევთ სკოლაში ყოფნის პერიოდში (ეს შეიძლება ბევრ სხვადასხვა საჭიროებას უკავშირდებოდეს - შიდა გადაადგილება (მაგ.,საპირფარეშოში გასვლა), კვების განსაკუთრებული რეჟიმი, გარკვეული მედიკამენტების მიღება და ა.შ.). როგორც აღმოჩნდა, მშობლებს ძიძის დაქირავება უწევთ ამ პრობლემის მოსაგვარებლად, რაც თავის მხრივ ოჯახებისთვის დამატებითი ხარჯია; ან უმეტესად დედები თავს ანებებენ სამსახურს და თვითონ ესწრებიან გაკვეთილებს. ეს კი როგორც მშობლისთვის, ისე ბავშვისთვის ძალიან დიდი სტრესია და ზოგადად ინკლუზიურობის პროცესის განხორციელებას საეჭვოს ხდის.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინკლუზიური განათლების დეპარტამენტების დაარსება

სამწუხაროდ, უმაღლესი განათლების დონეზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის რაიმე კონკრეტული და შედეგზე ორიენტირებული რეფორმა ან პროგრამა არ განხორციელებულა, მათ შო-

რის არ იქნა უზრუნველყოფილი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინკლუზიური განათლების დეპარტამენტების დაარსება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. სამინისტროში აცხადებენ, რომ სტატისტიკური მონაცემებიც არ არსებობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების შესახებ. ერთადერთი, რა ინფორმაციაც აქვთ (დაუდასტურებელი), არის ის, რომ პროექტ „ევროსტუდენტის“ თანახმად, საქართველოში დაახლოებით 200-მდე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტი სწავლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტში არ არის გამოყოფილი საჯარო მოხელე, რომელიც იმუშავებდა ინკლუზიური განათლების მიმართულებით.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ თანახმად, სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ინკლუზიური განათლების სისტემის დანერგვასა და მთელი ცხოვრების მანძილზე განათლების მიღების მისაწვდომობას (მუხლი 4, პუნქტი 1). საქართველოს კანონში უმაღლესი განათლების შესახებ (მუხლი 3, „დ“ ქვეპუნქტი) აღნიშნულია, რომ „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ზრუნავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისათვის სწავლის პირობების შესაქმნელად“. უმაღლესი საგანამანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის მე-10 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად: ,,უმაღლეს საგანამანათლებლო დაწესებულებას უნდა ჰქონდეს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის“.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს არ უკრძალავს უმაღლესი განათლების მიღებას, მათთვის უმაღლესი განათლება მაინც არ არის ხელმისაწვდომი. ეს კი დაკავშირებულია იმასთან, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არ არსებობის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მხარდაჭერის მექანიზმები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების უმრავლესობა არ არის ფიზიკურად ადაპტირებული, სასწავლებლები არ უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესის ადაპტაციას საგანმანათლებლო რესურსებისა და დამხმარე ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის კუთხით და ა.შ. ასევე, არ არსებობს მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც გააკონტროლებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის განათლების ხელმისაწვდომობის კუთხით უმაღლეს სასწავლებლებში არსებულ მდგომარეობას და ზემოაღნიშნული კანონებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას.



წყარო: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2015.

სამოქმედო გეგმის თანახმად, 2014-2016 წლებში მულტიდისციპლინური გუნდის წევრების რაოდენობა უნდა გაიზარდოს თბილისში 10 წევრით, ხოლო რეგიონებში 20 ადამიანით. განათლების სამინისტროს ინფორმაციით, 2015 წლის I კვარტალში კონკურსის საფუძველზე განხორციელდა მულტიდისციპლინური გუნდის 3 ახალი წევრის აყვანა, ხოლო II კვარტალში - 4 ახალი წევრის აყვანა. გარდა ამისა, 5 ადამიანი მუშაობს პროფესიული დაწესებულებების გარე მონიტორად.

მულტიდისციპლინური გუნდის როლზე ლაპარაკისას რესპონდენტების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მათი როლი და მნიშვნელობა კარდინალური და გადამწყვეტია ინკლუზიური განათლების განხორციელების პროცესში. ისინი ფაქტობრივად აფასებენ და წყვეტენ ბავშვის საგანმანათლებლო ბედს.

გუნდის მუშაობას მთლიანობაში დადებითად აფასებენ როგორც ზოგადი, ისე სპეცმასწავლებლები და მშობლები, ექსპერტები და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები.

მულტიდისციპლინური გუნდის მუშაობას მთლიანობაში დადებითად აფასებენ როგორც ზოგადი, ისე სპეცმასწავლებლები, მშობლები, ექსპერტები და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები.

საგნის მასწავლებლების ნაწილი ამბობს, რომ მულტიდისციპლინური გუნდის წევრს პირდაპირ უკავშირდება ტელეფონით ან სკოლის ადმინისტრაციის მეშვეობით. სპეცმასწავლებლების ნაწილი აღნიშნავს, რომ მიუღია კონსულტაცია და რჩევა გუნდის წევრისგან მისი მოთხოვნის საფუძველზე. თუმცა იქვე იმასაც აღნიშნავენ, რომ გუნდის წევრების რაოდენობა არასაკმარისია და ისინი ვერ ასწრებენ სათანადო კონსულტირებას და მონიტორინგს.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებ-

ლობების უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმის“ ამ ნაწილის შეფასებისას აუცილებელია, აღვნიშნოთ რამდენიმე პრობლემა, რომელიც მულტიდისციპლინურ გუნდთან მიმართებით გამოიკვეთა.

პირველი, მათი რაოდენობისა და ხელმისაწვდომობის საკითხი – გუნდის წევრებს ვალდებულება აქვთ, უზრუნველყონ ბავშვის შეფასება, გადაფასება, მასწავლებლებისთვის კონსულტაციის გაწევა და მონიტორინგი. როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, მათი ძალიან შეზღუდული რაოდენობის გამო ისინი ძირითადად ბავშვის პირველადი შეფასებით შემოიფარგლებიან. კონსულტაციას უზრუნველყოფენ მაშინ, როცა სკოლა განგაშს ატეხს და მიმართავს მათ, რომ დაუყოვნებლივ ჩაერიონ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარებაში. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ გუნდის წევრების ჩართულობა საკმარისი არ არის და მათი მხრიდან რეაგირება ხშირ შემთხვევაში გვიანდება, რადგან მიმართვიანობა ძალიან დიდია (წელიწადში 1500 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს აჭარბებს).

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მულტიდისციპლინური გუნდის წევრების ჩართულობა საკმარისი არ არის და მათი მხრიდან რეაგირება ხშირ შემთხვევაში გვიანდება, რადგან მიმართვიანობა ძალიან დიდია.

სათანადოდ არ/ვერ ხდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მეორადი შეფასება/გადაფასება, შემთხვევის მართვა, პროგრესის გაზომვა, სასწავლო პროცესის მონიტორინგი და როგორც მშობლები ამბობენ, ბოლომდე „ბავშვის მიყოლა“.

მეორე პრობლემა, რაც გამოიკვეთა, არის მულტიდისციპლინური გუნდის წევრების კვალიფიკაცია. შეფასების რესპონდენტები საუბრობენ იმაზე, რომ რეგიონებში მულტიდისცპლინური გუნდის წევრების კომპეტენცია თბილისის გუნდის წევრებისას მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება.

„როცა მულტიდისციპლინური გუნდის წევრი მეუბნება, რომ შენი შვილი უნდა წავიდეს სკოლაში და მას შეუძლია სწავლა, სასურველია, ამას იგივე შემფასებელი მიმტკიცებდეს ყოველ წელს და აკეთებდეს ბავშვის პროგრესის შეფასებას“

ნინო ცინცაძე, საქართველოს პორტიჯის ასოციაციის დამფუძნებელი

მულტიდისციპლინური გუნდის ერთ-ერთი გამოწვევა არის გუნდში ვიწრო პროფილის სპეციალისტების ნაკლებობა. ამასთან მიმართებით რესპონდენტები სათანადოდ

მომზადებული ადამიანური რესურსებისა და კადრების ნაკლებობას აღნიშნავენ. „გადავარჩინოთ ბავშვების“ წარმომადგენლობის დირექტორი, ნათია დეისაძე ამბობს, რომ პრობლემას წარმოადგენს დეფიციტი და ნაკლებობა ისეთი სპეციალისტებისა, როგორიცაა ოკუპაციური თერაპევტი, ფსიქოლოგი, ბავშვის ფსიქიატრი. აუცილებელია, სამინისტრომ შეიმუშაოს სტრატეგიული გეგმა და იფიქროს ამ კუთხით არსებული პრობლემის (gap) აღმოფხვრაზე და ასევე ვიწრო სპეციალიზაციის მქონე ადამიანების გუნდში დამატებაზე. დაბოლოს, ყველა ამ საკითხთან ერთად, აუცილებელია, მოხდეს უშუალოდ მულტიდისციპლინური გუნდის მიერ გაწეული საქმიანობის ანალიზი და შეფასება.

გამოწვევები:

- ინკლუზიური განათლების მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დანერგვა.
- შეფასების დამატებითი ინსტრუმენტების სტანდარტიზაცია და მათ გამოყენებაში კადრების მომზადება/მოზიდვა.
- ინკლუზიური დამხმარე სპეციალისტების დაფინანსების საკითხის გადახედვა (განხილულ უნდა იქნეს სანიტრის, მეტყველების თერაპევტის, სურდო პედაგოგის, ასისტენტის დაფინანსების საკითხი).
- ერთიანი მონაცემთა ბაზების სისტემის შექმნა (უწყებათაშორისი კოორდინაციის საფუძველზე).
- განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვების საკითხის მოგვარება.
- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სპეციალიზებული პროფილის სკოლების პედაგოგების კვალიფიკაციის ზრდა და მოქმედი მასწავლებლების შემდგომი მხარდაჭერა და გადამზადება ინკლუზიური განათლების მიმართულებით.
- სპეციალური მასწავლებლების რაოდენობა, დაფინანსება (ხელფასები) და სტატუსის საკითხი.
- სპეციალური მასწავლებლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში გათვალისწინება.
- საუნივერსიტეტო დონეზე სპეცმასწავლებლების მომზადება (pre-service).
- მულტიდისციპლინური გუნდის მუდმივი გადამზადება და მათი რაოდენობის გაზრდა.
- მულტიდისციპლინური გუნდის მონიტორინგისა და კონსულტირების

ფუნქციის გაძლიერება; ასევე, გუნდში ვიწრო სპეციალიზაციის მქონე ადამიანების დამატება.

- მულტიდისციპლინური გუნდის მუშაობის ეფექტურობის შეფასება.
- განათლების სამინისტროს უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტში ინკლუზიაზე მომუშავე საჯარო მოხელის გამოყოფა.
- ინკლუზიური სწავლების მხარდაჭერა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ება საკმაოდ თანმიმდევრულია;

დასკვნები

- ინკლუზიური განათლების დანერგვის დინამიკა (სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის განათლების ხელმისაწვდომობის კუთხით) ზოგადი და პროფესიული განათლების დონეზე მზარდია;
- ქვეყანაში არ გვაქვს დადასტურებული მონაცემები/შეფასება ინკლუზიური განათლების ხარისხისა და მიღწეული შედეგების/პროგრესის და სახელმწიფო ინტერვენციების გავლენის (impact) შესახებ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებთან მიმართებაში;
- „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის განათლების ნაწილის დაახლოებით 60% შესრულებულია ან შესრულების ფაზაშია6 მყისიერი შედეგების მხრივ (output indicator-ებთან მიმართებაში);
- ინკლუზიური განათლების განვითარება სკოლამდელი და უმაღლესი განათლების საფეხურებზე არ ხდება და სტატუს-კვოს მდგომარეობაშია;
- სამოქმედო გეგმის გაწერის პროცესი მთლიანობაში მონაწილეობითი იყო; გეგმის გაწერის პროცესში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობითობას ადასტურებს შეფასების რესპონდენტების დაახლოებით 70%; რეგიონებისა და მშობლების ჩართულობა საკმარისი არ იყო;
- რესპონდენტების უმრავლესობა იცნობს ან სმენია „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის“ განათლების ნაწილის შესახებ;
- შეფასებაში ჩართული რესპონდენტების უმრავლესობისათვის ინკლუზიურ განათლებაში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციის მთავარი წყაროა განათლების სამინისტროს მიერ ორგანიზებული სამუშაო შეხვედრები და სამინისტროსთან ოფიციალური კომუნიკაცია;
- მთლიანობაში, რესპონდენტების 75%-ის აზრით, ის მიმართულებები და აქტივობები, რომლებიც სამოქმედო გეგმაშია მითითებული, რელევან-

6 სამართლებრივი ჩარჩოს გაუმჯობესების მიმართულებით შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებები და მარეგულირებელი დოკუმენტები 2015 წლის 25 ოქტომბრის მდგომარეობით დამტკიცებული არ არის.

ტური და ოპტიმალურია, მაგრამ ხშირ შემთხვევაში არსებულ რესურსებსაა მორგებული;

- სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ინსტრუმენტი არ არსებობს - გეგმის დიზაინის დროს არ იქნა მითითებული გაზომვადი ინდიკატორები და გეგმის მონიტორინგისა და შეფასების გეგმა, რაც საბოლოო ჯამში პროგრესისა და მიღწეული შედეგების შეფასებას ხელს უშლის;
- გეგმაში მითითებული ზოგიერთი აქტივობა სათანადოდ არ არის მხარდაჭერილი ფინანსური და ადამიანური რესურსებით;
- ინკლუზიური განათლების მიმართულებით იდეების ინიციირება ხშირად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქვედა რგოლის მიერ ხდება;
- განათლების სამინისტროს ინკლუზიური განათლების მიმართულებით დაბალი რგოლის მიერ ინიციირებული საკითხები ყოველთვის არ არის მხარდაჭერილი ზედა რგოლის (გადაწყვეტილების მიმღებების) მიერ;
- ინკლუზიური განათლების განხორციელებისკენ მიმართული ძალისხმევა და თანმიმდევრულობა დიდწილად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქვედა რგოლის დამსახურებაა, ასევე სამოქალქო სექტორის, საერთაშორისო ორგანიზაციების, განსაკუთრებით მშობელთა ჯგუფების ადვოკატირებისა და ძალისხმევის შედეგი;
- რესპონდენტების დაახლოებით 60%-ის აზრით, ინკლუზიური განათლების მიმართ პოლიტიკური ნება ბოლო 2 წლის განმავლობაში არ გაზრდილა;
- ბოლო 2 წლის განმავლობაში შეინიშნება ფინანსური და ადამიანური რესურსების მობილიზების კლება და დეფიციტი (რაც დაკავშირებულია საერთაშორისო დონორების მიერ დაფინანსებული დიდი პროექტების დასრულებასთან);
- ინკლუზიური განათლების საკანონმდებლო ჩარჩო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისა და სტუდენტების ინკლუზიური განათლების უზრუნველსაყოფად მწირია და იგი არ ქმნის ბავშვისა და სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ სტრუქტურიზებულ და მოქნილ სისტემას;
- ამ ეტაპზე ინკლუზიური განათლების დაფინანსება ფრაგმენტულია, არ არსებობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისა და სტუდენტის დაფინანსების ერთიანი და კონსოლიდირებული მექანიზმი/მოდელი; დაფინანსების არსებული მოდელი არ მუშაობს და ვერ პასუხობს ყველა ბავშვის საგანმანათლებლო საჭიროებებს;

- რესპონდენტების უმრავლესობის აზრით, ინტეგრირებული კლასი მხოლოდ გარდამავალი ეტაპისთვის უნდა იყოს მოაზრებული და გამოყენებული ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით ისე, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის იყოს გზა სრული ინკლუზიისაკენ;
- ადრეული განვითარება და სკოლამდელი განათლება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მიმართებით ერთ-ერთ ყველაზე დიდ გამოწვევად რჩება; არ არსებობს სახელმწიფოს მხრიდან სისტემური მიდგომა ამ პრობლემის მოსაგვარებლად და ის შედეგები, რაც სკოლამდელი განათლების დონეზე არსებობს, ძირითადად საერთაშორისო დონორებისა და სამოქალაქო სექტორის დამსახურებაა;
- სკოლამდელი ინკლუზიური განათლების საკითხი რეგიონებში სავალალოა და ბევრად უფრო მწვავედ დგას, ვიდრე თბილისში;
- სპეციალიზებული სკოლების მასწავლებლების დიდ უკმაყოფილებას იწვევს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სწავლების მეთოდოლოგიის სიმწირე და ის გარემოება, რომ სპეციალიზებულ სკოლებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მსგავსად სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ეროვნული სასწავლო გეგმით სწავლება უწევთ;
- პროფესიული განათლების საფეხურზე გამოწვევები რჩება ხარისხთან მიმართებაში, თუმცა ხელმისაწვდომობისა და შეღწევადობის კუთხით დადებითი დინამიკაა;
- ბოლო 2 წლის განმავლობაში პროფესიული განათლების საფეხურზე აქტივობების განხორციელების კომპლექსური და უფრო სისტემური მიდგომა დაკავშირებულია, ერთი მხრივ, იმასთან, რომ ამ საფეხურზე ყველა ძირითადი აქტივობა ფინანსურად არის მხარდაჭერილი ნორვეგიის მთავრობის გრანტის ფარგლებში და ამავდროულად, პროფესიული განათლების მასშტაბი, ზოგად განათლებასთან შედარებით, მნიშვნელოვნად მცირეა;
- ჟესტების ენის და/ან ბრაილის ანბანის მცოდნე, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პედაგოგების ჩართვის მხრივ რაიმე სისტემური მიდგომა არ არსებობს და ეს აქტივობა ფრაგმენტულად ხორციელდება;
- განათლების სამინისტროს საგანმანათლებლო რესურსებისა და ადაპტური ტექნოლოგიების უზრუნველყოფის კუთხით გარკვეული პროგრესი აქვს სპეციალიზებულ სკოლებშსადა პროფესიულ სასწავლებლებში (იმ სასწავლებლებში, რომლებიც პროფესიული განათლების პროექტის

ფარგლებში პილოტირებას გადიან), მაგრამ არა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში;

- არ არსებობს ერთიანი რეგულაცია ან სტანდარტი, რომელიც სკოლას დაავალდებულებს, შეაფასოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლის შედეგები და პროგრესი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევასთან მიმართებით;
- ქვეყანაში არ არსებობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისა და მოსწავლეების ერთიანი მონაცემთა წარმოების სისტემა (tracking system);
- განათლების სამინისტრო ინფორმაციას ფლობს მხოლოდ იმ მოსწავლეებზე, რომლებიც სკოლაში ირიცხებიან. ქვეყანაში არ არსებობს სტატისტიკური მონაცემი, თუ რამდენი ბავშვია ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილი;
- მასწავლებელთა (საგნის მასწავლებლების) მთლიანი კოჰორტის დაახლოებით 6%-ს აქვს გავლილი მოკლევადიანი ტრენინგი ინკლუზიურ სწავლებაში;
- საგნის მასწავლებლებს სპეციალურ პედაგოგებთან შედარებით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ნაკლები მიმღებლობა აქვთ;
- მასწავლებლების ნეგატიური დამოკიდებულება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მიმართ პირდაპირ კავშირშია მოსწავლის შეზღუდულობის ფორმასთან და სიმძიმესთან;
- საქართველოში პრობლემაა არა მხოლოდ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლების სტრატეგიების არცოდნა, არამედ ის ფაქტიც, რომ ზოგადად მასწავლებლების კვალიფიკაციის დონე ქვეყანაში ძალიან დაბალია;
- როგორც ინკლუზიური განათლების სპეციალისტები, ისე უშუალოდ სპეცმასწავლებლები აღნიშნავენ, რომ სპეცმასწავლებლის მომზადების სატრენინგო კურსი ძალიან კარგი და პრაქტიკულია, მაგრამ მისი ხანგრძლივობა არასაკმარისია;
- მას შემდეგ, რაც მოქმედი სპეციალური მასწავლებლები ხდებიან (in-service), არა აქვთ სათანადო შემდგომი მხარდაჭერა და დამატებითი პროფესიული ზრდის შესაძლებლობა;
- სპეცპედაგოგებისა და ფსიქოლოგების დამოკიდებულება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მიმართ ბევრად პო-

ზიტიურია, თუ შევადარებთ ზოგადი განათლების მასწავლებლებს;

- სპეციალური პედაგოგი სკოლის ადმინისტრაციის ნაწილია (რაც კანონთან წინააღმდეგობაში მოდის) და არა მასწავლებელი; ასევე, სპეცმასწავლებლის ხელფასი მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება საგნის მასწავლებლის ხელფასს;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ახალ სქემაში სპეციალური მასწავლებელი საერთოდ არ არის გათვალისწინებული და მოაზრებული;
- სპეციალური მასწავლებლების არასაკმარის რაოდენობაზე ლაპარაკობს ყველა რესპონდენტი: მასწავლებლები, სპეცპედაგოგები და სხვა დაინტერესებული პირები;
- მნიშვნელოვან სირთულეს წარმოადგენს სკოლაში ინკლუზიური განათლების ასისტენტების არარსებობა. როგორც აღმოჩნდა, მშობლებს უწევთ ძიძის დაქირავება ამ პრობლემის მოსაგვარებლად, რაც, თავის მხრივ, ოჯახებისთვის დამატებითი ხარჯია; უმეტესად დედები თავს ანებებენ სამსახურს და თვითონ ესწრებიან გაკვეთილებს;
- უმაღლესი განათლების დონეზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის რაიმე კონკრეტული და შედეგზე ორიენტირებული რეფორმა ან პროგრამა არ განხორციელებულა;
- მულტიდისციპლინური გუნდის მუშაობას მთლიანობაში დადებითად აფასებენ შეფასების რესპონდენტები; რამდენიმე პრობლემა გამოიკვეთა მულტიდისციპლინურ გუნდთან მიმართებით: 1) მათი რაოდენობისა და ხელმისაწვდომობის საკითხი; 2) მულტიდისციპლინური გუნდის წევრების კვალიფიკაცია რეგიონებში; 3) გუნდში ვიწრო პროფილის სპეციალისტების დამატების საკითხი.

რეკომენდაციები

- აუცილებელია, შემუშავდეს ინკლუზიური განათლების მონიტორინგის სისტემა და დროულად დაინერგოს, რათა შესაძლებელი იყოს მიღწეული შედეგებისა და პროგრესის გაზომვა;
- აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობის რევიზია და ჰარმონიზაცია „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციასთან“ (ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტების გათვალისწინებით და არა არსებულ რესურსებზე მორგებით);
- აუცილებელია კანონმდებლობის გადახედვა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების, მოსწავლეებისა და სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით (გონივრული მისადაგება, ფიზიკური გარემოს ადაპტაცია, ტრანსპორტირება, ფუნქციური მხარდაჭერა და ზრუნვა);
- აუცილებელია სკოლამდელი განათლების დონეზე საკანონმდებლო ჩარჩოს განსაზღვრა - „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ საქართველოს კანონის“ დროულად დამტკიცება ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით;
- აუცილებელია ზოგადი განათლების დონეზე ინკლუზიური განათლების მარეგულირებელი კანონქვემდებარე აქტის „საქართველოს სკოლებში ინკლუზიური განათლების განხორციელების წესის“ დროულად დამტკიცება;
- აუცილებელია ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების და მარეგულირებელი დოკუმენტის დროულად დამტკიცება;
- განათლების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის გადახედვა და ცვლილებების შეტანა;
- მიწანშეწონილია ალტერნატიული ფუნქციური კურიკულუმის შემუშავება და დამტკიცება მძიმე და მრვალმხრივი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისა და სენსორული დარღვევის მქონე მოსწავლეებისათვის;
- აუცილებელია ინტეგრირებული კლასების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების შემუშავება და დამტკიცება;

- აუცილებელია ზოგადი განათლების საფეხურის დასრულების პროცესის გადახედვა;
- განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია სკოლების ფიზიკურ ადაპტაციასთან დაკავშირებით ნორმატიული კანონქვემდებარე აქტის შემუშავება და დამტკიცება, სკოლების ფიზიკური ადაპტირება;
- აუცილებელია არსებული დაფინანსების მოდელის შეფასება – თუ რამდენად უზრუნველყოფს არსებული მოდელი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისა და სტუდენტების უწყვეტ და ხარისხიან განათლებას (კვლევის ჩატარება: რა იქნებოდა ადეკვატური განფასება და ბიუჯეტი);
- აუცილებელია თითოეული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისა და სტუდენტის კონკრეტულ საჭიროებებზე მორგებული დაფინანსების მოდელის დანერგვა (უწყებათაშორისი თანამშრომლობა და კოორდინაციის გაუმჯობესება დაფინანსების ერთიანი მოდელის განსაზღვრის პროცესში);
- აუცილებელია უწყვეტი განათლების უზრუნველსაყოფად სკოლამდელი განათლების საფეხურზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ჩართვა (სისტემურად);
- აუცილებელია პროფესიული სასწავლო პროგრამების გამრავალფეროვნება (ისე, რომ მეტი არჩევანი იყოს პროგრამებში) და ხარისხის გაუმჯობესება;
- მიზანშეწონილია უწყებათაშორისი კოორდინაცია და თანამშრომლობა პოტენციურ დამსაქმებლებთან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების დასაქმების პერსპექტივის (employability) გასაუმჯობესებლად;
- აუცილებელია ქმედითი ნაბიჯების გადადგმა ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი დღის ცენტრების განათლების სისტემაში გადატანის მიმართულებით (სკოლებთან ტრანზიციული ფუნქციის შეძენა);
- აუცილებელია სკოლასა და ოჯახს შორის თანამშრომლობის და კომუნიკაციის გაუმჯობესება;
- მიზანშეწონილია სპეციალიზებული პროფილის სკოლების მასწავლებლების გამოყენება ტრენერებად საჯარო სკოლებში (multipliers);
- აუცილებელია დამატებითი ფინანსური და ადამიანური რესურსების გამოყოფა ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლებლების საგანმანათლებ-

ლო რესურსებით უზრუნველყოფისათვის;

- მნიშვნელოვანია დამხმარე სპეციალისტების დაფინანსების საკითხის გადახედვა (საგანმანათლებლო დაწესებულებების უზრუნველყოფა სანიტრით, მეტყველების თერაპევტით, სურდო პედაგოგით, ასისტენტით);
- აუცილებელია ტიპური განვითარების ბავშვებთან და მშობლებთან ინტენსიური მუშაობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მიმართ მიმღებლობის გაზრდის მიზნით (მათ შორის სკოლებში და თემში ინკლუზიური კულტურის დანერგვისა და განსხავებულობის მიმართ პატივისცემის გაზრდის ხელშეწყობა);
- მიზანშეწონილია შეფასების დამატებითი ინსტრუმენტების სტანდარტიზაცია და მათ გამოყენებაში კადრების მომზადება;
- კრიტიკულია ინკლუზიური დამხმარე სპეციალისტების დაფინანსების საკითხის გადახედვა (უნდა იქნეს განხილული სანიტრის, მეტყველების თერაპევტის, სურდო პედაგოგის, ასისტენტის დაფინანსების საკითხი);
- აუცილებელია ერთიანი მონაცემთა ბაზების სისტემის შექმნა (უწყებათაშორისი კოორდინაციის საფუძველზე), მათ შორის განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და შესაბამისი ინტერვენციების განხორციელება;
- მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია დამატებითი რესურსების გამოყოფა და ინკლუზიის მიმართულებით მასწავლებელთა პროფესიული განვითარების როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი სტრატეგიისა და ჩანაცვლების სისტემის შემუშავება; ასევე, მასწავლებლების შემდგომი მხარდაჭერისა და წახალისების მექანიზმის შექმნა, რათა მასწავლებლების კვალიფიკაციის დონე თანმიმდევრულად და ეტაპობრივად გაიზარდოს;
- მნიშვნელოვანია ინკლუზიური პრინციპების შესახებ ტრენინგების ჩატარება და ინფორმაციის მიწოდება არა მხოლოდ მასწავლებლებისათვის, არამედ საგანმანთლებლო დაწესებულებების მთელი პერსონალისთვის (ადმინისტრაცია, ტექპერსონალი და ა.შ.)
- აუცილებელია სპეციალური მასწავლებლების რაოდენობის, დაფინანსებისა (ხელფასები) და სტატუსის საკითხის გადახედვა; ასევე, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში სპეციალური მასწავლებლების გათვალისწინება;
- მნიშვნელოვანია საუნივერსიტეტო დონეზე სპეცმასწავლებლების მომზადება (pre-service); ასევე, საბაკალავრო და სადოქტორო დონეზე

სპეციპედაგოგების პროგრამების მომზადება/დანერგვა;

- აუცილებელია მულტიდისციპლინური გუნდის მუდმივი გადამზადება და მათი რაოდენობის გაზრდა; მულტიდისციპლინური გუნდის მუშაობის ეფექტურობის შეფასება;
- აუცილებელია მულტიდისციპლინური გუნდის მონიტორინგისა და კონსულტირების ფუნქციის გაძლიერება; ასევე, ვიწრო სპეციალიზაციის მქონე ადამიანების დამატება;
- მნიშვნელოვანია, განათლების სამინისტროს უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტში ინკლუზიაზე მომუშავე საჯარო მოხელის გამოყოფა;
- სასურველია, მოხდეს საერთაშორისო დონორებისა და სამოქალაქო სექტორის მიერ განხორციელებული პროექტების შედეგების შეფასება და რეპლიკაცია (თუ კონკრეტულ პროექტს მნიშვნელოვანი შედეგები ექნება და ამას დაადასტურებს, ამან უნდა იმოქმედოს სამთავრობო დონეზე ცვლილებების შეტანაზე და ასახვა პოვოს სისტემურ ცვლილებებში).

გამოყენებული ლიტერატურა:

- კვაჭაძე, არავიაშვილი (2009). საქართველოს 13 სპეციალიზირებული პროფილის მქონე სკოლის სიტუაციური ანალიზი და სკოლის და მასწავლებლების საჭიროებების კვლევა. http://tpdc.ge/images/stories/pdf/danarti_7.pdf (წვდომის თარიღი: 24.09.2015).
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი (2013). „სპეციალური და ინკლუზიური განათლების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა“ (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაცია).
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი (2014). „სპეციალური და ინკლუზიური განათლების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ანგარიში“ (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაცია).
- საქართველოს პარლამენტი (2014). ადგილობრივი თვითმმართველობების კოდექსი. http://static.mrdi.gov.ge/5326b29e0cf287919443293a.pdf (წვდომის თარიღი: 15.09.2015).
- გაეროს ბავშვთა ფონდი (2015). სკოლამდელი განათლება. http://unicef.ge/10/სკოლამდელი-განათლება/25 (წვდომის თარიღი: 24.09.2015).
- საქართველოს მთავრობა (2014). №76 დადგენილება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“. http://gov.ge/files/381_40157_501181_76200114.pdf (წვდომის თარიღი: 15.09.2015).
- საქართველოს მთავრობა (2013). №244 დადგენილება ,,პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2637795 (წვდომის თარიღი: 21.09.2015).
- საქართველოს მთავრობა (2013). №9 დადგენილება „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური

ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“. http://gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=276&info_id=35754 (წვდომის თარიღი: 21.09.2015).

- საქართველოს მთავრობა (2015). №68 დადგენილება „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2739007(წვდომის თარიღი: 22.09.2015).
- საქართველოს პარლამენტი (2004). საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ (2005). http://www.mes.gov.ge/uploads/Licenzireba/kanoni zogadi ganatlebis shesaxeb.pdf (წვდომის თარიღი: 15.09.2015).
- საქართველოს პარლამენტი (2007).საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ. http://mes.gov.ge/content.php?id=193&module=legislation&page=detals&leg_id (წვდომის თარიღი: 15.09.2015).
- საქართველოს პარლამენტი (2007). საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ. http://www.mes.gov.ge/old/upload/publication/geo/1192003936_!UmaglesiGanatleba.pdf (წვდომის თარიღი: 15.09.2015).
- „საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ (კანონპროექტი). (საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის შეხვედრა: 22.10.2015).
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (2015). „საქართველოს სკოლებში ინკლუზიური განათლების განხორციელების წესი“ (განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული სამუშაო ვერსია).
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (2011). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №36/ნ „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“. http://mes.gov.ge/~mesgov/content.php?id=3923&lang=geo (წვდომის თარიღი: 17.09.2015).
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (2012). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №113/ნ ბრძანება „ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“. http://publicinfo.emis.ge/wp-content/uploads/2013/12 (წვდომის თარიღი: 17.09.2015)

► საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. (2015). შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში (განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაცია, MES 71501075009, 16.10.2015).

► საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (2013). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №152/ნ ბრძანება ,,პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“. http://vet.ge/wp-content/uploads/2013/10/152testirebisdebuleba.pdf (წვდომის თარიღი: 17.09.2015).

► საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (2010). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №99/ნ ბრძანება „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2756285 (წვდომის თარიღი: 20.09.2015)

► საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (2011). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №19/ნ ბრძანება ,,ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ“. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2771981 (წვდომის თარიღი: 20.09.2015).

► საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (2009). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №227 ბრძანება ,,სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ“. http://www.naec.ge/images/doc/kanonqvemdebare-samagistro.pdf (წვდომის თარიღი: 21.09.2015).

► საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (2015). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №28 ბრძანება „ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის პროგრამის“ დამტკიცების შესახებ (განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაცია).

► საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (2015). „ინკლუზიური განათლების განვითარება საქართველოს პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში“ პროექტის ანგარიშები 2013-2015 (განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაცია).

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (2010). სპეციალური მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტი. http://www.tpdc.ge/uploads/pdf_documents/specialuri%20maswavleblis%20standarti.pdf (წვდომის თარიღი: 21.09.2015).
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (2011). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №48/ნ ბრძანება „სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩატარების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“. http://mes.gov.ge/old/upload/editor/file/Brdzanebebi/1/48.pdf (წვდომის თარიღი: 22.09.2015).
- ქიტიაშვილი, სუმბაძე, მახარაძე. (2015). „მოწყვლადი ჯგუფების პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა საქართველოში: სიტუაციური ანალიზი“ (განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაცია).
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია (2006). http://disability.ge/images/stories/pdfs/konvencia.doc.pdf (წვდომის თარიღი: 15.09.2015).
- ჭინჭარაული, ჯავახიშვილი. (2013). ინკლუზიური განათლების მაჩვენებლები საქართველოში. http://vet.ge/wp-content/uploads/2013/10/book4.pdf (წვდომის თარიღი: 21.09.2015).
- United Nations General Assembly. (1989). Convention on the Rights of the Child. New York: United Nations.

დანართი

დანართი 1: რესპონდენტების ჩამონათვალი (ჩაღრმავებული ინტერვიუები)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

1. მარიკა ზაქარეიშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინიტროს ინკლუზიური პროფესიული განათლების პროექტის დირექტორი;
2. ეკა დგებუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინიტროს ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველოს უფროსი;
3. თათია პაჭკორია - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის ინკლუზიური განათლების კოორდინატორი;
4. ჟანა კვაჭაძე - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინკლუზიური და სპეციალური განათლების კონსულტანტი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

1. ნუცი ოდიშარია - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტის უფროსი;
2. თეა სტურუა - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის უფროსი.

ინკლუზიური განათლების ექსპერტები

1. მაგული შაღაშვილი - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინკლუზიის პოლიტიკის ექსპერტი;
2. ანა ლაღიძე - ინკლუზიური განათლების ექსპერტი.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე მომუშავე არასამთავ-

რობო ორგანიზაციები

1. ჯაბა ნაჭყეპია - გაეროს ბავშვთა ფონდის ბავშვთა დაცვისა და სოციალური კეთილდღეობის სპეციალისტი, ორგანიზაცია „საქართველოს ბავშვების“ ყოფილი დირექტორი (2006-2015);
2. ნინო ცინცაძე - საქართველოს პორტიჯის ასოციაციის დამფუძნებელი;
3. ანა არგანაშვილი - ორგანიზაცია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ (PHP) დამფუძნებელი;
4. მაია ყუფარაძე - გაეროს ბავშვთა ფონდის განათლების პროგრამების ხელმძღვანელი;
5. ვიქტორია მიდელაური - World Vision საქართველოს ინკლუზიის სპეციალისტი;
6. ნათია დეისაძე - ორგანიზაცია „გადავარჩინოთ ბავშვების“ წარმომადგენლობის დირექტორი;
7. ანდრო დადიანი - ორგანიზაცია „პარტნიორობა ბავშვებისთვის“ გამგეობის თავმჯდომარე;
8. მადონა ხარებავა - ორგანიზაცია „დეას“ აღმასრულებელი დირექტორი;
9. ლია ტაბატაძე - დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა მშობლებისა და პროფესიონალების კავშირი „ჩვენი ბავშვები“;
10. ირინე ობოლაძე - საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტის უფროსი;
11. ჯერემი გასკილი - მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისათვის (MAC) აღმასრულებელი დირექტორი;
12. ნინო ლომიძე - მაკლეინის ასოციაციის პროგრამების მენეჯერი/ფსიქოლოგი;
13. ირინა ინასარიძე - ასოციაცია „ანიკას“ დირექტორი.

დანართი 2:
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სტატისტიკა

საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა რაოდენობა თბილისსა და რეგიონებში - სულ 3,439



საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა რაოდენობა თბილისში - სულ 962



საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა რაოდენობა კლასების მიხედვით



დანართი 3:
კითხვები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამშრომლებისა და ექსპერტებისათვის (ინტერვიუს პროტოკოლი)

შეფასების შესახებ: „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის სამთავრობო სამოქმედო გეგმის“ (2014-2016) განათლების ნაწილის შეფასება ხორციელდება კოალიცია „განათლება ყველასათვის - საქართველოს“ (EFA Georgia) მიერ. შეფასებაში განხილულ იქნება განათლების მიმართულებით სამოქმედო გეგმის ოთხი პრიორიტეტული საკითხის შესრულება: სამართლებრივი ჩარჩოს გაუმჯობესება, დაფინანსების მექანიზმი საგანმანათლებლო სისტემაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა უწყვეტი და ხარისხიანი განათლება და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების მონიტორინგის მექანიზმი.

შეფასება მიზნად ისახავს, წარმოაჩინოს ინკლუზიური განათლების განვითარების პროცესში განხორციელებული პროგრამებისა და ინტერვენციების ეფექტურობა და გავლენა ზოგადად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინკლუზიის პროცესზე; შეაფასოს მიღწეული შედეგები და ის პოზიტიური და ნეგატიური ტენდენციები, რომლებიც სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში იკვეთება ან გამოწვევად რჩება.

---

1. ვის მიერ ხდება ინკლუზიურ განათლების აქტივობების/ინტერვენციების ინიციირება?
2. ვინ გაწერა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის“ განათლების ნაწილი?
3. რომელი უწყებები აგებენ პასუხს სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე?
4. რამდენია ინკლუზიური განათლების ბიუჯეტი?
5. ვინ არის პროგრამის დონორი ორგანიზაცია?
6. იყვნენ თუ არა სხვადასხვა დაინტერესებული პირები სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში ჩართული?
7. რა გამოწვევები არსებობს ინკლუზიური განათლების დანერგვის პროცესში?
8. არსებობს თუ არა სამინისტროს მხრიდან მზაობა, კიდევ უფრო ეფექ-

ტური გახადოს პროცესი, მათ შორის განიხილება თუ არა დამატებითი თანხების გამოყოფა?

9. როგორ ხორციელდება მონიტორინგის პროცესი? ვინ არის ჩართული? როგორ ხდება მონაცემთა შეგროვება და სამოქმედო გეგმის ფარგლებში მიღწეული შედეგების /პროგრესის გაზომვა?

10. თვლით თუ არა, რომ სამოქმედო გეგმის შესრულება ეფექტურად და წარმატებით მიმდინარეობს?

11. თვლით თუ არა, რომ სამოქმედო გეგმა ამომწურავად ასახავს იმ გამოწვევებს, რომლებიც ინკლუზიური განათლების დანერგვისას არსებობს?

12. განისაზღვრა თუ არა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების სამართლებრივი ჩარჩო?

13. სამართლებრივი ცვლილებების შემუშავებისას უზრუნველყოფილ იქნა თუ არა დაინტერესებული მხარეების ჩართულობა?

14. რამდენად უწყობს ხელს საკანონმდებლო დონეზე მიღებული ცვლილებები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა და სტუდენტთა ეფექტიანი, უწყვეტი და ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფას?

15. რა გავლენა იქონია დასახელებულმა ცვლილებებმა ინკლუზიური განათლების დანერგვასა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა საგანმანათლებლო სისტემაში ჩართულობაზე?

16. რა ძირითადი გამოწვევები რჩება სამართლებრივი ჩარჩოს გაუმჯობესების კუთხით?

17. უზრუნველყოფილ იქნა თუ არა ექსპერტთა ჯგუფის მიერ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისა და სტუდენტების აკადემიური მიღწევის შეფასების მექანიზმისა და სკოლის დამამთვარებელი გამოცდის, ერთიანი ეროვნული გამოცდის პროცედურების, პროფესიული განათლების დამამთავრებელი გამოცდის ორგანიზების წესის შემუშავება?

18. რამდენად ეფექტურად ინერგება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა და სტუდენტთა განათლების დაფინანსების სისტემა?

19. დაფინანსების მექანიზმის შემუშავებისას უზრუნველყოფილია თუ არა დაინტერესებული მხარეების ჩართულობა?

20. მოხდა თუ არა, თუ კი, როგორ მოხდა დაფინანსების მექანიზმის პილოტირება?

21. რამდენად უწყობს ხელს დაფინანსების მექანიზმი ინკლუზიური განათლების პროცესის გაუმჯობესებას და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის ხარისხიანი განათლების მიწოდებას?
22. რა გამოწვევები არსებობს ეფექტური დაფინანსების მექანიზმის დასანერგად და გასაუმჯობესებლად?
23. უზრუნველყოფილ იქნა თუ არა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა უწყვეტი და ხარისხიანი განათლება?
24. უზრუნველყოფილ იქნა თუ არა ალტერნატიული საგანმანათლებლო სერვისების დანერგვა (ინტეგრირებული კლასების დანერგვა)?
25. იყვნენ თუ არა პროცესში ჩართული სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები?
26. რამდენად ეფექტურად მიმდინარეობს დისტანციური სწავლების დანერგვა და რა გამოწვევები რჩება ამ მიმართულებით?
27. რამდენად ეფექტურად მიმდინარეობს სკოლამდელი მოსამზადებელი სააღმზრდელო სერვისების დანერგვა? გამოწვევები?
28. რამდენად ეფექტურად მიმდინარეობს სპეციალისტების მომზადება სპეციალიზებული პროფილის სკოლებში სწავლა-აღზრის მეთოდოლოგიების გამოყენებაში? როგორია მასწავლებელთა პროფგანვითარების ცენტრის როლი?
29. ხდება თუ არა სახელობო პროფესიული პროგრამების დანერგვა სკოლებში და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების ჩართვა პროფესიულ განათლებაში? როგორია სტატისტიკა?
30. ხდება თუ არა მეთოდური გზამკვლევების შემუშავება? სად შეიძლება მოძიება?
31. რამდენად ეფექტურად მიმდინარეობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პედაგოგების ჩართვა ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს საფეხურზე? როგორია სტატისტიკა? რა გამოწვევები არსებობს?
32. უზრუნველყოფს თუ არა სამინისტრო ინკლუზიური განათლების დანერგვისთვის აუცილებელი საგანმანათლებლო რესურსების შექმნას? სად არის რესურსები ხელმისაწვდომი?
33. რამდენად ეფექტურად ხდება მასწავლებლების გადამზადება (დამხმარე და სპეცმასწავლებლების ჩართვა და საჯარო სკოლების მასწავლებლების კვალიფიკაციის ზრდა) ინკლუზიური განათლების წარმატებით

დასანერგად? როგორია სტატისტიკა მასწავლებლებისა, რომელთაც ინკლუზიურ სწავლებაში გავლილი აქვთ ტრენინგი?

34. რა გამოწვევები არსებობს და რამდენად რელევანტურია სამინისტროს მიერ გაწეული ძალისხმევა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების უწყვეტი და ხარისხიანი განათლების უზრუნველსაყოფად?

35. არსებობს თუ არა სტანდარტიზებული ინსტრუმენტი და ხდება თუ არა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა და სტუდენტთა ადრეული იდენტიფიკაცია და შეფასება? სად შეიძლება გავეცნოთ ინსტრუმენტს?

36. რამდენად ეფექტურია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა შეფასების ინსტრუმენტი? როგორ მიმდინარეობდა ინსტრუმენტის გაწერის პროცესი?

37. უზრუნველყოფილია თუ არა და რამდენად გამართულია საგანმანათლებლო სისტემაში ჩართული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების მონაცემთა ბაზების წარმოების მექანიზმი? არის თუ არა ბაზები ხელმისაწვდომი? ვინ აკეთებს ადმინისტრირებას?

38. პერიოდულად უზრუნველყოფილია თუ არა საგანმანათლებლო სისტემაში ჩართული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების შესწავლა და ამის საფუძველზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა კონკრეტული ჯგუფების ჩართულობის გაუმჯობესება? კონკრეტული მაგალითები?

39. რამდენად ეფექტურად მიმდინარეობს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (სამივე საფეხურზე) სპეციალური და ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი სისტემის/მოდელის შექმნა? სად შეიძლება გავეცნოთ მოდელს?

40. არსებობს თუ არა უსდ-ებში ინკლუზიური განათლების დეპარტამენტი?

41. რამდენად უწყობენ ხელს უსდ-ები ინკლუზიური განათლების დანერგვას? სტატისტიკა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების უსდ-ებში?

42. გაიზარდა თუ არა მულტიდისციპლინური გუნდის წევრების რაოდენობა და რამდენად ეფექტურია მათი მუშაობა?

დანართი 4:
კითხვები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე მომუშავე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის (ინტერვიუს პროტოკოლი)

შეფასების შესახებ: „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის სამთავრობო სამოქმედო გეგმის“ (2014-2016) განათლების ნაწილის შეფასება ხორციელდება კოალიცია „განათლება ყველასათვის - საქართველოს“ (EFA Georgia) მიერ. შეფასებაში განხილულ იქნება განათლების მიმართულებით სამოქმედო გეგმის ოთხი პრიორიტეტული საკითხის შესრულება: სამართლებრივი ჩარჩოს გაუმჯობესება, დაფინანსების მექანიზმი საგანმანათლებლო სისტემაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა უწყვეტი და ხარისხიანი განათლება და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების მონიტორინგის მექანიზმი.

შეფასება მიზნად ისახავს, წარმოაჩინოს ინკლუზიური განათლების განვითარების პროცესში განხორციელებული პროგრამებისა და ინტერვენციების ეფექტურობა და გავლენა ზოგადად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინკლუზიის პროცესზე; შეაფასოს მიღწეული შედეგები და ის პოზიტიური და ნეგატიური ტენდენციები, რომლებიც სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში იკვეთება ან გამოწვევად რჩება.

---

1. თქვენი სახელი და გვარი, ორგანიზაციის დასახელება?
2. მუშაობს თუ არა თქვენი ორგანიზაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე? თუ დიახ, რა არის ძირითადი მიმართულებები/აქტივობები ინკლუზიის კუთხით, რომელსაც თქვენი ორგანიზაცია ახორციელებს?
3. გსმენიათ თუ არა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესახებ (განათლების ნაწილი)?
4. ინკლუზიური განათლების მიმართულებით გატარებული ღონისძიებების შესახებ საიდან იღებთ ინფორმაციას? ინფორმაციის წყარო/ები?
5. იყავით თუ არა ჩართული სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში?
6. არსებობს თუ არა სამინისტროს მხრიდან მზაობა, კიდევ უფრო ეფექტური გახადოს პროცესი, ბოლო წლების განმავლობაში; გაიზარდა თუ არა

სახელმწიფოს ძალისხმევა და პოლიტიკური ნება ამ პროცესის მიმართ?

7. ხდება თუ არა სამოქალაქო სექტორის მიერ სამოქმედო გეგმის ფარგლებში მიღწეული შედეგების /პროგრესის გაზომვა?

8. თვლით თუ არა, რომ სამოქმედო გეგმის შესრულება ეფექტურად და წარმატებით მიმდინარეობს?

9. თვლით თუ არა, რომ სამოქმედო გეგმაში მითითებული აქტივობები რელევანტურია და ამომწურავად ასახავს იმ გამოწვევებს, რომლებიც ინკლუზიური განათლების დანერგვისას არსებობს?

10. იცით თუ არა ინკლუზიური განათლების განვითარების მიმართულებით გატარებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე?

11. სამართლებრივი ცვლილებების შემუშავებისას უზრუნველყოფილ იქნა თუ არა დაინტერესებული მხარეების ჩართულობა?

12. რამდენად უწყობს ხელს საკანონმდებლო დონეზე მიღებული ცვლილებები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა და სტუდენტთა ეფექტიანი, უწყვეტი და ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფას?

13. რა ძირითადი გამოწვევები რჩება სამართლებრივი ჩარჩოს გაუმჯობესების კუთხით?

14. რამდენად ეფექტურად ინერგება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა და სტუდენტთა განათლების დაფინანსების სისტემა?

15. რა გამოწვევები არსებობს ეფექტური დაფინანსების მექანიზმის დასანერგად და გასაუმჯობესებლად? რეკომენდაციები?

16. ემხრობით თუ არა ინტეგრირებული კლასების არსებობას და გსმენიათ თუ არა ინტეგრირებული კლასების შესახებ საქართველოში?

17. რამდენად ეფექტურად მიმდინარეობს დისტანციური სწავლების დანერგვა და რა გამოწვევები რჩება ამ მიმართულებით?

18. რამდენად ეფექტურად მიმდინარეობს სკოლამდელი მოსამზადებელი სააღმზრდელო სერვისების დანერგვა? გამოწვევები?

19. რამდენად ეფექტურად მიმდინარეობს სპეციალისტების მომზადება სპეციალიზებული პროფილის სკოლებში სწავლა-აღზრის მეთოდოლოგიების გამოყენებაში?

20. ხდება თუ არა სახელობო პროფესიული პროგრამების დანერგვა სკო-

ლებში და სსმ პირების ჩართვა პროფესიულ განათლებაში?

21. როგორ ფიქრობთ, უზრუნველყოფს თუ არა სამინისტრო ინკლუზიური განათლების დანერგვისთვის აუცილებელი საგანმანათლებლო რესურსების შექმნას?

22. რამდენად ეფექტურად ხდება მასწავლებლების გადამზადება (დამხმარე და სპეცმასწავლებლების ჩართვა და საჯარო სკოლების მასწავლებლების კვალიფიკაციის ზრდა) ინკლუზიური განათლების წარმატებით დასანერგად?

23. რა გამოწვევები არსებობს და რამდენად რელევანტური და ადეკვატურია სამინისტროს მიერ გაწეული ძალისხმევა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების უწყვეტი და ხარისხიანი განათლების უზრუნველსაყოფად?

24. არსებობს თუ არა სტანდარტიზებული ინსტრუმენტი და ხდება თუ არა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა და სტუდენტთა ადრეული იდენტიფიკაცია და შეფასება?

25. უზრუნველყოფილია თუ არა და რამდენად გამართულია საგანმანათლებლო სისტემაში ჩართული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების მონაცემთა ბაზების წარმოების მექანიზმი?

26. ჩაუტარებია თუ არა თქვენს ორგანიზაციას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების საჭიროების შესწავლა/კვლევა?

27. რამდენად ეფექტურად მიმდინარეობს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (სამივე საფეხურზე) სპეციალური და ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი სისტემის/მოდელის შექმნა?

28. როგორ შეაფასებდით მულტიდისციპლინური გუნდის მუშაობას? კომენტარები?

29. როგორ ფიქრობთ, რა გამოწვევები რჩება ინკლუზიური განათლების დანერგვის პროცესში?

30. რაში ხედავთ სამოქალაქო საზოგადოების როლს ინკლუზიური განათლების დანერგვის პროცესში?

დანართი 5:
კითხვები ფოკუსჯგუფისთვის (მშობლების ჯგუფი)

შეფასების შესახებ: „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთავრობო გეგმის“ განათლების ნაწილის (ინკლუზიური განათლების განვითარება) შეფასება ხორციელდება კოალიცია „განათლება ყველასათვის - საქართველოს“ (EFA Georgia) მიერ. შეფასებაში განხილულ იქნება ინკლუზიური განათლების განვითარების სამოქმედო გეგმის ოთხი პრიორიტეტული მიმართულების შესრულება: სამართლებრივი ჩარჩოს გაუმჯობესება, დაფინანსების მექანიზმი საგანმანათლებლო სისტემაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა უწყვეტი და ხარისხიანი განათლება და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების მონიტორინგის მექანიზმი.

შეფასება მიზნად ისახავს, წარმოაჩინოს ინკლუზიური განათლების განვითარების პროცესში განხორციელებული პროგრამების და ინტერვენციების ეფექტურობა და გავლენა ზოგადად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინკლუზიის პროცესზე; შეაფასოს მიღწეული შედეგები და ის პოზიტიური და ნეგატიური ტენდენციები, რომლებიც სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში იკვეთება ან გამოწვევად რჩება.

---

1. გსმენიათ თუ არა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის“ განათლების ნაწილის შესახებ? ჩართული იყავით თუ არა გაწერის პროცესში?
2. ინკლუზიური განათლების მიმართულებით გატარებული ღონისძიებების შესახებ საიდან იღებთ ინფორმაციას? ინფორმაციის წყარო/ები?
3. რამდენად ეფექტურად მიმდინარეობს სკოლამდელი მოსამზადებელი სააღმზრდელო სერვისების დანერგვა? გამოწვევები?
4. დადის თუ არა თქვენი შვილი სკოლაში?
5. რის მიხედვით შეარჩიეთ სკოლა - საცხოვრებელი ადგილის, რესურსების თუ რაიმე სხვა ფაქტორის გამო?
6. რამდენად აქტიურად ხართ ჩართული სკოლის ცხოვრებაში?
7. გსმენიათ თუ არა მულტიდისციპლინური გუნდის შესახებ და თუ კი, როგორ შეაფასებდით მათ როლს და მუშაობას? კომენტარები?

8. კრიზისული სიტუაციების დროს ვის მიმართავთ დასახმარებლად?

9. გიწევთ თუ არა თქვენ შვილის სასწავლო პროცესის დროს დამატებითი ხარჯების გაწევა (ტრანსპორტირებისთვის, ასისტენტისთვის, კვებისთვის და აშ.)?

10. რამდენად მოქნილია სკოლაში მიღების პროცედურები? რა ბარიერს გადააწყდით თქვენი შვილის სკოლაში მიყვანისას? რამდენად მოქნილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სტატუსის მინიჭების პროცედურა?

11. თქვენი შვილი ინდივიდუალური სასწავლო პროგრამით სწავლობს?

12. იყავით თუ არა ჩართული თქვენი შვილის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გაწერაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში)?

13. მოხდა თუ არა თქვენი შვილის საჭიროების შეფასება სკოლაში მიყვანისას? ვის მიერ?

14. როგორ ფიქრობთ, საგნის მაწავლებლების კომპეტენციები არის თუ არა საკმარისი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ეფექტური სწავლების უზრუნველყოფისთვის? რამდენად ეფექტურად ხდება მასწავლებლების გადამზადება?

15. რამდენად ეხმარება სპეცპედაგოგი თქვენს შვილს სწავლის პროცესში?

16. თვლით თუ არა, რომ სკოლას უნდა ჰყავდეს ასისტენტი, რომელიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს დაეხმარება სკოლაში?

17. რამდენად ხშირად იღებთ მასწავლებლებისგან უკუკავშირს თქვენი შვილის პროგრესის შესახებ, მათ შორის აკადემიურ მიღწევებზე და სოციალური უნარების განვითარებაზე? გაქვთ თუ არა მასწავლებლებთან ხშირი ურთიერთობის შესაძლებლობა?

18. რა ბარიერებს და პრობლემებს აწყდება თქვენი შვილი სწავლის პროცესში? რა საჭიროებები აქვს თქვენს შვილს სწავლის პროცესში? რის ნაკლებობა გაქვთ: სასწავლო რესურსების, ადმინისტრაციის მხარდაჭერის, სასწავლო გარემოსი, რესურსოთახის?

19. რამდენად ინტეგრირებულია თქვენი შვილი სასწავლო პროცესში?

20. რამდენად ითვალისწინებს ექსტრაკურიკულუმი/არასასწავლო აქტივობები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების საჭიროებებსა და ინტერესებს?

21. გსემენიათ თუ არა ინტეგრირებული კლასების შესახებ? ემხრობით თუ არა ინტეგრირებული კლასების არსებობას?

22. როგორ ფიქრობთ, ჩვეულებრივი საკლასო გარემო ხელს შეუწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის აკადემიურ განვითარებას?

23. როგორ ხდება თქვენი შვილის შეფასება სკოლაში? შეფასების რა მეთოდს იყენებენ მასწავლებლები?

24. ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ ჩვეულებრივ სკოლაში სწავლის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ მხოლოდ იმ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს, რომელთაც მსუბუქი ტიპის შეზღუდულობა გააჩნიათ?

25. ფიქრობთ თუ არა, რომ გჭირდებათ დამატებითი ცოდნა და ტრენინგი თქვენი შვილის აღზრდის პროცესში?

26. რამდენად აქვს თქვენს შვილს განათლების შემდგომ საფეხურზე (პროფესიული და უმაღლესი) გადასვლის/ტრანზიციის შესაძლებლობა?

27. როგორ შეაფასებდით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების პროფესიულ განათლებაში ჩართვის პროცესს? რამდენად ეფექტურად მიმდინარეობს ის?

28. რა დამატებით სერვისებს მოითხოვდით სკოლაში თქვენი შვილის სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად?

29. რა გამოწვევები არსებობს და რამდენად რელევანტური და ადეკვატურია სამინისტროს მიერ გაწეული ძალისხმევა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების უწყვეტი და ხარისხიანი განათლების უზრუნველსაყოფად?

დანართი 6:
კითხვები ფოკუსჯგუფისთვის
(საგნის მასწავლებლების ჯგუფი)

შეფასების შესახებ: „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთავრობო გეგმის“ განათლების ნაწილის (ინკლუზიური განათლების განვითარება) შეფასება ხორციელდება კოალიცია „განათლება ყველასათვის - საქართველოს“ (EFA Georgia) მიერ. შეფასებაში განხილულ იქნება ინკლუზიური განათლების განვითარების სამოქმედო გეგმის ოთხი პრიორიტეტული მიმართულების შესრულება: სამართლებრივი ჩარჩოს გაუმჯობესება, დაფინანსების მექანიზმი საგანმანათლებლო სისტემაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა უწყვეტი და ხარისხიანი განათლება და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების მონიტორინგის მექანიზმი.

შეფასება მიზნად ისახავს, წარმოაჩინოს ინკლუზიური განათლების განვითარების პროცესში განხორციელებული პროგრამების და ინტერვენციების ეფექტურობა და გავლენა ზოგადად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინკლუზიის პროცესზე; შეაფასოს მიღწეული შედეგები და ის პოზიტიური და ნეგატიური ტენდენციები, რომლებიც სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში იკვეთება ან გამოწვევად რჩება.

---

1. გყავთ თუ არა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე კლასში?
2. გაქვთ თუ არა ინკლუზიურ განათლებაში რაიმე ტიპის ტრენინგი გავლილი? რა სახის? ვის მიერ ორგანიზებული?
3. თვლით თუ არა, რომ თქვენი ცოდნა და კომპეტენცია ინკლუზიური განათლების შესახებ საკმარისია იმისათვის, რომ უზრუნველყოთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ეფექტური სწავლება ჩვეულებრივ კლასში?
4. ჰყავს თუ არა თქვენს სკოლას სპეცმასწავლებელი?
5. როგორ ფიქრობთ, საჭიროა თუ არა სკოლაში სპეცმასწავლებლის არსებობა?
6. არის თუ არა საკმარისი მასწავლებლებისთვის ტრენინგები და პროფგადამზადება ინკლუზიურ განათლებაში, რასაც სამინისტრო უზრუნველყოფს,?

7. რა საჭიროებები გაქვთ სწავლების პროცესში, რათა უზრუნველყოთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სასწავლო პროცესში ეფექტურად ჩართვა? რის ნაკლებობა გაქვთ: სასწავლო რესურსების, ადმინისტრაციის მხარდაჭერის, სასწავლო გარემოსი?

8. გაქვთ თუ არა საკმარისი საგანმანათლებლო რესურსები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლებისას?

9. რამდენად ხშირად აძლევთ უკუკავშირს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მშობლებს?

10. განცალკევებული/სპეციალური კლასი ყველაზე მისაღებია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების საგანმანათლებლო საჭიროებებისათვის?

11. როგორ ფიქრობთ, ჩვეულებრივი საკლასო გარემო ხელს შეუწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის აკადემიურ განვითარებას?

12. რა პრობლემებს აწყდებით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლებისას? შეფასებისას?

13. იყენებთ თუ არა სამინისტროს მიერ მომზადებულ გზამკვლევებს/სახელმძღვანელოებს სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად?

14. თვლით თუ არა, რომ მასწავლებლის მხრიდან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის/ების მიმართ დამატებით ყურადღებას სხვა მოსწავლეებზე ნეგატიური გავლენა ექნება?

15. თვლით თუ არა, რომ მასწავლებლისთვის რთულია კლასში წესრიგის შენარჩუნება, როცა კლასში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეა?

16. თვლით თუ არა, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ქცევითი პრობლემა შეიძლება ცუდი მაგალითი იყოს სხვა მოსწავლეებისთვის?

17. როგორ ფიქრობთ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის განცალკევებას და იზოლირებას ცუდი გავლენა ექნება მის აკადემიურ და სოციალურ განვითარებაზე?

18. როგორ ფიქრობთ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე აკადემიურ უნარებს სპეციალურ კლასში უფრო კარგად და ადვილად განივითარებს, ვიდრე ჩვეულებრივ კლასში?

19. როგორ ფიქრობთ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე

მოსწავლის ჩვეულებრივ კლასში ჩართვა მასწავლებლის მხრიდან კლასის მართვაში დიდი ცვლილებების შეტანას მოითხოვს?

20. თვლით თუ არა, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ჩვეულებრივ კლასში ინტეგრირება სასარგებლო იქნება სხვა მოსწავლეებისთვისაც?

21. სპეცპედაგოგი გეხმარებათ აქტიურად სწავლების პროცესში?

22. არის თუ არა სკოლაში საჭიროება, არსებობდეს იკლუზიური განათლების ასისტენტი?

23. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში თუ ღებულობთ მონაწილეობას?

24. დიდი ალბათობით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ჩვეულებრივ კლასში ინკლუზია/ინტეგრირება სწავლების პროცესში გაურკვევლობას გამოიწვევს?

25. ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ ჩვეულებრივ სკოლაში სწავლის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ მხოლოდ იმ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს, რომელთაც მსუბუქი ტიპის შეზღუდულობა გააჩნიათ?

26. ჩვეულებრივი სკოლები ისეა აღჭურვილი, რომ დაკმაყოფილდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მოთხოვნები (იგულისხმება ინკლუზიური გარემო, ადაპტირებული სკოლის შენობა, საკლასო ოთახი)?

27. გსმენიათ თუ არა მულტიდისციპლინური გუნდის შესახებ და თუ კი, როგორ შეაფასებდით მათ მუშაობას? კომენტარები?

28. რომელი სერვისების გაუმჯობესებას და რა ტიპის დახმარებას ისურვებდით ინკლუზიური განათლების ეფექტურად განსახორციელებლად?

29. ტიპური განვითარების მქონე ბავშვების მშობლების მხრიდან გქონიათ თუ არა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მიმღებლობის პრობლემა?

დანართი 7:
კითხვები ფოკუსჯგუფისთვის
(ინკლუზიური განათლების სპეციალისტების ჯგუფი)

შეფასების შესახებ: „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთავრობო გეგმის“ განათლების ნაწილის (ინკლუზიური განათლების განვითარება) შეფასება ხორციელდება კოალიცია „განათლება ყველასათვის - საქართველოს“ (EFA Georgia) მიერ. შეფასებაში განხილულ იქნება ინკლუზიური განათლების განვითარების სამოქმედო გეგმის ოთხი პრიორიტეტული მიმართულების შესრულება: სამართლებრივი ჩარჩოს გაუმჯობესება, დაფინანსების მექანიზმი საგანმანათლებლო სისტემაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა უწყვეტი და ხარისხიანი განათლება და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების მონიტორინგის მექანიზმი.

შეფასება მიზნად ისახავს, წარმოაჩინოს ინკლუზიური განათლების განვითარების პროცესში განხორციელებული პროგრამებისა და ინტერვენციების ეფექტურობა და გავლენა ზოგადად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინკლუზიის პროცესზე; შეაფასოს მიღწეული შედეგები და ის პოზიტიური და ნეგატიური ტენდენციები, რომლებიც სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში იკვეთება ან გამოწვევად რჩება.

---

1. რა ტიპის ფორმალური განათლება გაქვთ მიღებული სპეციალური განათლების კუთხით? ვის მიერ ორგანიზებული?
2. თვლით თუ არა, რომ თქვენი ცოდნა და კომპეტენცია ინკლუზიური განათლების შესახებ საკმარისია იმისთვის, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ეფექტურ სწავლებას შეუწყოთ ხელი?
3. ტრენინგები და პროფგადამზადება ინკლუზიურ განათლებაში, რასაც სამინისტრო უზრუნველყოფს, არის თუ არა საკმარისი სპეცმასწავლებლებისთვის? ტრენინგების ხანგრძლივობა რა არის?
4. რამდენად გჭირდებათ დამატებითი ტრენინგები და რამდენად გაქვთ შესაძლებლობა სკოლაში მუშაობის დაწყების მერეც აიმაღლოთ კვალიფიკაცია და უნარები (in-service traning opportunities)?
5. რამდენი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეა თქვენს სკოლაში?

6. საკმარისია თუ არა სპეცმასწავლებლების რაოდენობა სკოლაში?
7. რა არის სპეცმასწავლებლის როლი? მოკლედ აღწერეთ 1 დღე/რუტინა, რასაც სკოლაში აკეთებთ.
8. ყველაზე დიდ წინააღმდეგობას რაში აწყდებით? რა არის ძირითადი ხელის შემშლელი ფაქტორები?
9. რა საჭიროებები გაქვთ სწავლების პროცესში, რათა უზრუნველყოთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სასწავლო პროცესში ეფექტურად ჩართვა? რის ნაკლებობა გაქვთ: სასწავლო/საგანმანათლებლო რესურსების, ადმინისტრაციის მხარდაჭერის, სასწავლო გარემოსი?
10. გსმენიათ თუ არა მულტიდისციპლინური გუნდის შესახებ და თუ კი, როგორ შეაფასებდით მათ მუშაობას? კომენტარები?
11. საჭიროების შემთხვევაში, რამდენად ხელმისაწვდომი არიან თქვენთვის მულტიდისციპლინური გუნდის წევრები?
12. რამდენად ეფექტურად თანამშრომლობთ საგნის მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან?
13. როგორ შეაფასებდით საგნის მასწავლებლების ცოდნას ინკლუზიური განათლების კუთხით?
14. როგორ ფიქრობთ, სპეცმასწავლებლის ხელფასი მისი დატვირთვისა და შრომის ადეკვატურია?
15. რამდენად ხშირად აძლევთ უკუკავშირს საგნის მასწავლებელს? სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მშობლებს?
16. როგორ ფიქრობთ, განცალკევებული/სპეციალური კლასი ყველაზე მისაღებია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების საგანმანათლებლო საჭიროებებისათვის?
17. თვლით თუ არა, რომ მასწავლებლის მხრიდან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის/ების მიმართ დამატებით ყურადღებას სხვა მოსწავლეებზე ნეგატიური გავლენა ექნება?
18. თვლით თუ არა, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ქცევითი პრობლემა შეიძლება ცუდი მაგალითი იყოს სხვა მოსწავლეებისთვის?
19. როგორ ფიქრობთ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის განცალკევებას და იზოლირებას ცუდი გავლენა ექნება მის

აკადემიურ და სოციალურ განვითარებაზე?

20. როგორ ფიქრობთ, ჩვეულებრივი საკლასო გარემო ხელს შეუწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის აკადემიურ განვითარებას?

21. როგორ ფიქრობთ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე აკადემიურ უნარებს სპეციალურ კლასში უფრო კარგად და ადვილად განივითარებს, ვიდრე ჩვეულებრივ კლასში?

22. აკეთებთ თუ არა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შეფასებას და როგორ? რა პრობლემებს აწყდებით შეფასების კუთხით?

23. იყენებთ თუ არა სამინისტროს მიერ მომზადებულ გზამკვლევებს/სახელმძღვანელოებს სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად?

24. როგორ ფიქრობთ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ჩვეულებრივ კლასში ჩართვა მასწავლებლის მხრიდან კლასის მართვაში დიდი ცვლილებების შეტანას მოითხოვს?

25. თვლით თუ არა, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ჩვეულებრივ კლასში ინტეგრირება სასარგებლო იქნება სხვა მოსწავლეებისთვისაც?

26. დიდი ალბათობით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ჩვეულებრივ კლასში ინკლუზია/ინტეგრირება სწავლების პროცესში გაურკვევლობას გამოიწვევს?

27. ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ ჩვეულებრივ სკოლაში სწავლის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ მხოლოდ იმ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს, რომელთაც მსუბუქი ტიპის შეზღუდულობა გააჩნიათ?

28. ჩვეულებრივი სკოლები ისეა აღჭურვილი, რომ დაკმაყოფილდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მოთხოვნები (იგულისხმება ინკლუზიური გარემო, ადაპტირებული სკოლის შენობა, საკლასო ოთახი)?